WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№09 (243) ● 27.III-2.IV.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## შვეიცარიის ელჩის გიუნტერ ბეხლერის ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს

„მე, როგორც საქართველოს მეგობარი და ანალიტიკოსი, რომელიც თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე მუშაობს, ვაცხადებ, რომ ეს მიმართვები, წერილები და განცხადებები სრულიად არ შეესაბამება პოლიტიკურ რეალობას საქართველოში.“

## გასამართლდებიან თუ არა ქართველი „რეიხს-ფიურერები“



მოძრაობა „ლაზარეს“ შეკრება რუსთაველის თეატრში

## ლევან ლევინჯიძე:



ერს ერად აქცევს მისი ენა და არა კარტოფილისა და ყურძნის მოსავლის გაზრდა

## სკანდალური ვერსია ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ



ზვიად გამსახურდია ღურწკაიების სახლში არ გარდაცვლილა, ის გია გულუას რაზმის წევრებმა გაიტაცეს, ჯერ სასტიკად ცემეს, შემდეგ მოკლეს და ცხედარი ღურწკაიების სახლში მიასვენეს

## როდემდე უნდა მართავდეს ქვეყანას „იდიოტი ბავშვი“?

## ნიკუშა შენგელაია:



„მე ძნელად გადასარჩენი „მენშევიკი“ ვარ...“

## სააკაშვილის „მეარღნემ“, ნიკა მემანიშვილმა, „რკინიგზელთა სახლის“ პარალელურად სიმფონიური ორკესტრიც დაანგრია



9 772233 398001



# საქართველომ ევროპის ჩემპიონატს ღირსეულად უმასპინძლა

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია სპორტის სამინისტროს და საერთოდ, ხელისუფლების დახმარებით აქტიურად ემზადებოდა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. ძალიან მოკლე, თითქმის სარეკორდო დროში სპორტის სასახლეში დაიდგა ოთხი საუნა, მოეწყო გასახდელები. მართალია, თბილისის საერთაშორისო ტურნირის პატრონ ქვეყანას შეჯიბრების ჩატარების გამოცდილება საკმაოდ გვაქვს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, წლევანდელ ევროპის ჩემპიონატს განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა.

ჩემპიონატის დაწყებამდე ორგანიზატორები დაძაბული იყვნენ, გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, შებოჭილებიც. ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდა, ჩემპიონატი თავისი გზით მიდიოდა. სპორტის სასახლის დაცვის მუშაკები ყურადღებით აკონტროლებდნენ ვითარებას. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისე დასრულდა ასპარეზობა, არანაირი ექსცესი არ მომხდარა.

ჩემპიონატის გახსნის ტრადიციულ ცერემონიალზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მოვიდა. მოკლე მისასალმებელ სიტყვაში ყველას წარმატება უსურვა, განსაკუთრებით კი ქართველი ათლეტები გაამხნევა. ფილა-ს და სელა-ს პრეზიდენტმა სამადლობელი სიტყვები არ დაიშურეს მის მიმართ ასპარეზობის კარგად ორგანიზების დახმარებისთვის. ფილა-ს



პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ბიძინა ივანიშვილს უმაღლესი ჯილდო — ფილას ორდენი გადასცა. ოფიციალური პირები მართლაც გულწრფელად ემადლიერებოდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

**გიორგი ედიშერაშვილმა,** (55 კგ წონითი კატეგორია) და **დავით მარსაგიშვილმა** (84 კგ) შანსი არ დაუტოვეს მეტოქეებს და გაიმარჯვეს. **ვლადიმერ ხინჩიკაშვილმა** (60 კგ) და **ქეთი პეტრიაშვილმა** (120 კგ) მართალია, მესამე ადგილები დაიკავეს, მაგრამ ასეთი ლაღი, ლამაზი ჭიდაობა გვიჩვენეს, ერთი სიამოვნება იყო მათი ხილვა. ორივე ახალგაზრდა სპორტსმენია, პეტრიაშვილი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და ყველაფერი ჯერ წინ აქვს. ალბათ, მომავალში უკეთესი შედეგებით გაგვახარებენ ჩვენი მოჭიდავეები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი 1997-1998 წლების შემდეგ ქართველ მოჭიდავეებს არ ჰქონდათ. მაშინ მედლები საქართველოს ახლანდელმა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლუკა კურტანიძემ** და ჩვენი ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა **დავით პოღოსიანმა** დაიმსახურეს. დღეს ამ შედეგს ორი ბრინჯაოს მედალიც დაემატა, უნდა ითქვას, რომ თავიანთი მოღვაწეობა პრეზიდენტმა და მწვრთნელმა წარმატებით დაიწყეს.

რაც შეეხება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს, აქ სამი მედალი ერგოთ ქართველ სპორტსმენებს — ორი ვერცხლი **ზურაბ დათუნაშვილს** (74 კგ) და **ვლადიმერ გეგეშიძეს** (84 კგ), ხოლო ბრინჯაო **გურამ ფერსელიძეს** (120 კგ). აქვე ისიც სათქმელია, რომ საკუთარი კედლები ხშირად უარყოფით როლს ასრულებს, ზედმეტად ძაბავს სპორტსმენს. ალბათ, ეს ფსიქოლოგიური წნეხი ჯერ კიდევ გადასალახავია.

აი, რა გვითხრა ასპარეზობის შემდეგ **დავით პოღოსიანმა:**

**— როგორ შეაფასებთ ჩვენი ნაკრების გამოსვლას თბილისში ევროპის ჩემპიონატზე?**

— შედეგი მართლაც კარგი გვაქვს, ამას ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე გეუბნებით. ავიღოთ თუნდაც ის გარემოება, რომ ორი ოქროს მედალი ევროპის ჩემპიონატზე 16 წელია არ გვქონია, უკაცრავად, მაგრამ მე და **ლუკა კურტანიძე** რომ გავხდით 1997-98 წლებში, მეტი აღარ ყოფილა. თუმცა მაშინ ბრინჯაოს მედლები არ გვქონია. ახლა ორი ბრინჯაოც მოიპოვეს ბიჭებმა. ამას დავუმატოთ, რომ ახალი სახეები გამოჩნდნენ 55 კგ წონით კატეგორიაში, **გიორგი ედიშერაშვილი,** რომელსაც დღემდე არავინ იცნობდა, ჩემპიონი გახდა. მძიმე წონაში გვყავს ოლიმპიური თამაშების პრიზიორი **დავით მოძმანაშვილი,** მაგრამ არჩევანი ჩვენ მწვრთნელებმა 18 წლის ჭაბუკ **გენო პეტრიაშვილზე** შევაჩერეთ. იყო საუბრები, რომ ხომ არ აჯობებდა, ისევ გამოცდილი მოჭიდავე დაგვეყენებინა ევროპის ჩემპიონატზეო. კარგ ფორმაში იყო გენო და ჩვენი არჩევანი გამართლდა, რადგან ჭიდაობის არც ერთ სახეობაში არ გამხდარა ასეთი ახალგაზრდა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, რაც შეეხება დავით მარსაგიშვილს, იგი გამოცდილი, ტიტულოვანია და ღირსეულადაც იასპარეზა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა პირველად იჭიდავა ამ წონაში, იმედია, კიდევ გაიზრდება და მომავალში უკეთეს შედეგებს ვიხილავთ.

**— ანუ თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს ნაკრებში კონკურენცია იზრდება?**

— დიახ, ამაზე გვაქვს აქცენტი გადატანილი საქართველოს ნაკრებში კი არა, საერთოდ, გაიზარდოს კონკურენცია საქართველოს ჩემპიონატში. მაგალითად, მძიმე წონაში ერთბაშად სამი მაღალი დონის მოჭიდავეა, ასევე 55 კგ წონით კატეგორიაში, მოკლედ, ყველა წონაში. მოჭიდავეს თუ აქვს კონკურენცია, მოტივი ყოველთვის ეცდება ნებისმიერ შეჯიბრებაზე აჩვენოს შესაძლებლობის მაქსიმუმი. ყველაზე მეტად გვახარებს ის გარემოება, რომ საქართველოს ნაკრებში მოხვედრის დიდი კონკურენციაა.



**— დაბოლოს, მოკლედ ეგებ გვითხრათ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ.**

— ახლა ცოტა ხნით შევისვენებთ. შემდეგ საერთაშორისო ტურნირზე ვიასპარეზებთ, ან მახაჩკალაში ან ხასავიურტში. ამის შემდეგ კი დავიწყებთ მზადებას უნგრეთში მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ამ ასპარეზობისთვის კი კანდიდატები საქართველოს თასის გათამაშების შემდეგ შეირჩევიან.

თბილისში იმყოფებოდა რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და ფილა-ს ბიუროს წევრი **მიხეილ მამიაშვილი,** **რომელსაც გავესაუბრეთ: „მინდა მადლობა ვუთხრა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტს, ჩემს მეგობარ ლუკა კურტანიძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, რომ არა პირადად მისი და საერთოდ სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა ასეთ მაღალ დონეზე არ ჩატარდებოდა. მიმდინარე ჩემპიონატი. ამიტომ მოჭიდავეთა დიდი ოჯახის სახელით მადლობას ვუხდი მას. რუსეთში მან სუფთა ადამიანის სახელი დატოვა. იცნობენ, როგორც უწესიერეს, პროფესიონალ ადამიანს, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს მეგობრები და მისი დიადი სამშობლო საქართველო“.**

ჩემპიონატი დასრულდა. ქართული ჭიდაობის სკოლამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შეუძლია ღირსეული კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერ ქვეყანას, როგორც სპორტული თვალსაზრისით, ასევე შეჯიბრების ორგანიზებაში. კმაყოფილებას ვერ მალავდა საქართველოს სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი,** დროის სიმცირის გამო მხოლოდ ეს მითხრა: „ახლა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე უნდა ვიფიქროთ შეგვიძლია!“

რაც შეეხება ლუკა კურტანიძეს, როგორც მოჭიდავე, მაქსიმალისტია, უკეთესი შედეგები სურდა. ნებისმიერ ქართველის ორთაბრძოლას მთელი გულით განიცდიდა. თვითონ იხუმრა კიდეც — ამდენი ჩემი ასპარეზობის დროსაც არ მინერვიულიაო. შემოდგომით კი მსოფლიო ჩემპიონატია.

**გია ბურდული**
551 71 27 07



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# შვეიცარიის ელჩის გიუნტერ ბეხლერის ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს



თბილისი, 2013 წლის 15 მარტი

**პატივცემულო პრემიერ-მინისტრო!**
**ძვირფასო ბატონო ბიძინა!**

ამ წერილის დაწერისკენ მიბიძგა ზოგიერთი ევროპარლამენტარის უპრეცედენტო და პარტიულმა განცხადებებმა როგორც საპარლამენტო არჩევნებამდე, ისე არჩევნების დროს და მის შემდეგ – მხედველობაში მაქვს, მაგალითად, 2013 წლის 6 მარტის მიმართვა.

მე, როგორც საქართველოს მეგობარი და ანალიტიკოსი, რომელიც თქვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე მუშაობს, ვაცხადებ, რომ ეს მიმართვები, წერილები და განცხადებები სრულიად არ შეესაბამება პოლიტიკურ რეალობას საქართველოში. გუშინდელი ღია წერილი გახლავთ შესანიშნავი პასუხი და ბრწყინვალედ გამოხატავს საქართველოს მოქალაქეთა შეშფოთებასა და ემოციებს. როგორც პრემიერ-მინისტრი, თქვენ, ალბათ, ვალდებული ბრძანდებით, მკაფიოდ უპასუხოთ ასეთ ცრუ ბრალდებებს საქართველოს ახალი და კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ვიტყოდი, რომ არც კი ღირს პასუხის გაცემა ასეთ ზედაპირულ შეფასებებსა და, როგორც ჩანს, შეთანხმულად წარმოებულ პროპაგანდაზე ზოგიერთი შეცდომაში შეყვანილი ევროპარლამენტარის მხრიდან. მეტად საინტერესოა, რამდენად კარგად აითვისა ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთმა წევრმა საბჭოთა სტილის პროპაგანდისტული მეთოდები, მეთოდები, რომლებსაც ისინი, რასაკვირველია, საჯაროდ უარყოფენ.

მართლაც, საქართველო ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე ოდესმე ყოფილა წარსულში, და ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე მისი მეზობელი ქვეყნები. საქართველოს მოქალაქეებთან საუბარში იგრძნობა მათი თავისუფლება, მათ არ აწუხებთ შიში და აღსავსე არიან იმედით, რომელიც მათი ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს უკავშირდება. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაიწყო დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში, ხოლო ,,ქართული ოცნების" მოვალეობა დემოკრატიზაციის პროცესების გაფართოება და გაღრმავება იქნება. ახლო მომავალში სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება დემოკრატიული ღირებულებების დანერგვას საქართველოს ყველა მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მისცა ხმა ხალხის დიდმა უმრავლესობამ თქვენს კოალიციას და სწორედ ამიტომ გენდობიან ისინი თქვენ, როგორც პრემიერ-მინისტრს.

საქართველოს ჯერ კიდევ ახალგაზრდა დემოკრატიამ და ხალხის ნებამ თავი იჩინა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში. მოსახლეობის უმრავლესობამ გადაწყვიტა, ხმა მიეცა ,,ვარდების რევოლუციონერთა" წინააღმდეგ, რადგანაც ისინი დემოკრატიის გზას გადაუხვიეს და მოინდომეს შეექმნათ საკმაოდ ავტორიტარული მოდერნიზებული რეჟიმი. მოქალაქეები შიშობდნენ, რომ დადგებოდა დღე, როდესაც საარჩევნო ბიულეტენი დაკარგავდა საზოგადოებაზე მზარდი კონტროლის საწინააღმდეგო იარაღის ძალას. უნდა ვაღიაროთ, რევოლუციონერებს არც თუ ისე ხშირად უხდებათ წასვლა დემოკრატიული არჩევნების შედეგად, როცა რევოლუციონერთა ლიდერებს აღარ რჩებათ სხვა გამოსავალი, გარდა იმისა, რომ დაემორჩილონ უმრავლესობის ვერდიქტის.

ძნელია არ დაინახო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების მიღწევები ძველი, კორუფციული სისტემის აღმოფხვრასთან დაკავშირებით საქართველოში. სხვათა შორის, კორუფცია კიბოს ჰგავს: ის მომაკვდინებელია ნებისმიერი დემოკრატიული და შეძლებული საზოგადოებისათვის. სწორედ ამიტომაა, რომ თქვენი ხელისუფლება, რომელმაც ესოდენ დიდი დემოკრატიული მხარდაჭერა მიიღო, ახლა ე.წ. ელიტარული კორუფციის აღმოფხვრის დიდი და რთული ამოცანის წინაშე დგას, გადასახადების გადამხდელთა სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისა და უცხოეთში ფინანსური რესურსების გადაქაჩვის ჩათვლით. საზოგადოება მხოლოდ მაშინ ხედავს სარგებელს ჯანმრთელ და მდგრად ეკონომიკასა და სოციალურ განვითარებაში, როცა კორუფცია სრულადაა აღმოფხვრილი.

არსებობს მხოლოდ ერთი წითელი ხაზი – ერთი მხრივ, დაუსჯელობის სინდრომის შეწყნარების ცრუ ალტერნატივასა და, მეორე მხრივ, ბრმა ამნისტიას შორის ყველა დანაშაულისათვის. ამ წითელ ხაზს ავლებს კანონი, და მხოლოდ დემოკრატიულად მიღებული კანონი საერთაშორისო მონიტორინგით, და სხვა არაფერი. კანონის მორჩილება გვიცავს რამდენიმე დაბრკოლებისა და მახისაგან, როგორიცაა პოლიტიზებული სამართლებრივი დევნა, უსაფუძვლო სასამართლო პროცესები თუ ანგარიშსწორების კამპანია.

მე თქვენში ვხედავ ძლიერ პოლიტიკურ ნებას, იხელმძღვანელოთ კანონითა და საერთაშორისო სტანდარტებით. ის, რომ თქვენ რჩევისათვის მიმართეთ სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, რომლებიც ნდობას იმსახურებენ (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) და ისეთ პატივცემულ და მაღალკვალიფიციურ საერთაშორისო ექსპერტებს, როგორიცაა, მაგალითად, თომას ჰამერბერგი, მიუთითებს იმას, რომ თქვენ სერიოზულად ეკიდებით არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ მიცემულ დაპირებებს. იმისათვის, რომ ხაზგასმული იყოს თქვენი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული შორსმიმავალი რეფორმების დემოკრატიული ხასიათი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს დიალოგს სამოქალაქო საზოგადოებასთან, ბიზნესსექტორთან, საერთაშორისო თანამეგობრობასთან, და ასევე პოლიტიკურ ოპოზიციასთან. ამასთან, გაძლიერდა სახალხო დამცველის ინსტიტუტიც.




ასევე საკმაოდ შთამბეჭდავი იყო პარლამენტისა და მთავრობის მიერ ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველ 100 დღეში შესრულებული სამუშაო. პირველად საქართველოს ისტორიაში, პარლამენტი იქცა ნამდვილი პოლიტიკური დებატების, საღი კანონმდებლობის და უმრავლესობისა და უმცირესობის ერთობლივი პროექტების შექმნის ადგილად, რის მაგალითადაც, მინდა მოვიტანო ახალგამოქვეყნებული ამომწურავი 19-პუნქტიანი ერთობლივი რეზოლუცია. ამასთან, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რეფორმებმა, რომლებიც მიმდინარეობს ზოგიერთ სამინისტროში – სახეზეა ახალი სტრატეგიები და კონცეფციები, ინოვაციური პროგრამები და პროექტები, ასევე წინსვლა ინსტიტუციონალური და უნარების განვითარების კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ ძალიან აქტიური და მაღალკვალიფიციური სოფლის მეურნეობის მინისტრი შვეიცარიის განვითარების კორპორაციის შესანიშნავ პარტნიორად გვევლინება. ამასთან, ფინანსთა, ეკონომიკის, რეგიონული განვითარების, გარემოს დაცვისა და, რასაკვირველია, საგარეო საქმეთა მინისტრები ასევე იძლევიან იმედს, რომ მათ მუშაობას კარგი შედეგები მოჰყვება. დიალოგი სამინისტროებსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის უდავოდ ღია, კონსტრუქციული და შედეგიანია. მე, პირადად, ვაფასებ სოფლის გაძლიერებაზე, მდგრადი და გარემოსთან ჰარმონიაში მყოფი სოფლის მეურნეობის აშენებაზე გამიზნულ თქვენს მიდგომას, უფრო დეცენტრალიზებული პოლიტიკური გარემოსა და ადგილობრივ რესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკური ზრდის პირობებში.

უფრო მეტიც, ამ მოკლე დროში თქვენ მოახერხეთ საქართველოს ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის საუბრის ტონის შეცვლა. თქვენ დანიშნეთ სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც უკვე ორჯერ შეხვდა რუსეთის წარმომადგენელს. ისინი ერთმანეთს ენდობიან და შეთანხმდნენ, არ გასცდნენ დაშვებულ ზღვარს და ყურადღება გაამახვილონ განხორციელებად პატარა ნაბიჯებზე. მე გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ თქვენი ხელისუფლება ასევე შეძლებს ურთიერთობების გაუმჯობესებას სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელმძღვანელობებთან, რათა გამოინახოს საერთო ენა ხალხისათვის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს. როგორც მოგეხსენებათ, შვეიცარია ყოველთვის თქვენს სამსახურშია, როდესაც საქმე ეხება თანამშრომლობას მშვიდობიანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის უზრუნველსაყოფად.

მე ძალიან კარგად მესმის, რომ კოჰაბიტაცია არავითარ შემთხვევაში არ გახლავთ დემოკრატიული არჩევნების ყველაზე სასურველი შედეგი. ამავდროულად, კოჰაბიტაცია განიხილება, როგორც კიდევ ერთი გარდამავალი პროცესი, რომლიდანაც მნიშვნელოვანი გაკვეთილის მიღებაა შესაძლებელი. დემოკრატიული პროცესი კოჰაბიტაციის პერიოდის ბოლოს უფრო მყარი შეიძლება გახდეს, პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენცია კი უფრო კონსტრუქციული, ხოლო პოლიტიკური კულტურა - უფრო ღია საფუძვლიანი დიალოგისა და დებატებისათვის ქვეყნის მომავლის შესახებ. მე უმორჩილესად გთხოვთ, გაეცნოთ ჩემს მოკლე სტატიას კოჰაბიტაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე, რომელიც დაიბეჭდა გამოცემა ,,The Messenger"–ის დღევანდელ ნომერში (იხ. დართული სტატია).



ნებისმიერი ხელისუფლება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უშვებს შეცდომებს. მე ვიტყოდი, რომ ზოგიერთი მთავრობისათვის უმჯობესი იქნებოდა შინ კრიზისის მოგვარება, ვიდრე სხვებისათვის ამპარტავნული ლექციების წაკითხვა. საკითხი კი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ ეპყრობა საკუთარ შეცდომებს ესა თუ ის ხელისუფლება, და სწორედ აქ ვხედავთ ყველაზე დიდ განსხვავებას. თუკი ხელისუფლება თავმდაბალია, აღიარებს შეცდომებს, ეძებს გამოსწორების გზებს, აძლევს მედიას საშუალებას კრიტიკულად შეაფასოს ხელისუფლების მოქმედებები, რჩევას ეკითხება სამოქალქო საზოგადოებას და ითხოვს მხარდაჭერას მისგან, მაშინ მოქალაქეები უფრო ტოლერანტული ხდებიან და აძლევენ ასეთ ხელისუფლებას საკუთარ შეცდომებზე სწავლის საშუალებას. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ კარგად აცნობიერებთ შეცდომებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ბოლო ასიოდე დღის განმავლობაში და თქვენ არ დაიშურებთ ენერგიასა და სიბრძნეს, რათა ასეთი შეცდომები აღარ განმეორდეს მომავალში.

არჩევნებამდე ზოგიერთი პოლიტიკოსი საქართველოში მადანაშაულებდა პოლიტიკურ მიკერძოებაში ოპოზიციის სასარგებლოდ. დიახ, შეიძლება მართლაც მიკერძოებული ვიყო. მე არასოდეს დამიმალავს, რომ მიკერძოებული ვარ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და მშვიდობიანი ურთიერთობების სასარგებლოდ. სწორედ ასეთი ვიყავი მთელი ჩემი დიპლომატიური და აკადემიური კარიერის განმავლობაში. თუკი იწვევთ შვეიცარიელ დიპლომატს, როგორც შუამავალს, ყოველთვის უნდა გქონდეთ მისი დემოკრატიული ღირებულებების რწმენა. არჩევანს პოლიტიკურ პროგრამებს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ,,ქართული ოცნებასა" თუ სხვა პარტიებს შორის უნდა აკეთებდნენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და ამომრჩევლები და არა მე, უცხოელი დიპლომატი, და არც ევროპარლამენტარები.

ბოდიშს ვუხდი საქართველოს მოქლაქეებს, თუკი ოდესმე ჩავრეულვარ საქართველოს საქმეებში. ასეთი რამ არ განმეორდება.

იმედის თვალით შევყურებ ჩვენი ღია და გულახდილი ურთიერთობების გაგრძელებას. დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველა იმ ძალისხმევისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ დემოკრატიული პროცესებისა და საქართველოს მოქალქეებისათვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

**პატივისცემით,**
**გიუნტერ ბეხლერი**

# სააკაშვილის და „ნაცმოძრაოზის“ „მეარღნემ“, ნიკა მემანიშვილმა, „რკინიგზელთა სახლის“ პარალელურად სიმფონიური ორკესტრიც დაანგრია

„საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ – „რატომ აჩუქეს 50-წლიანი მმართველობის უფლებით „რკინიგზელთა სახლი“ **ნიკა მემანიშვილს (რაჭველი)** – მკითხველის და მუსიკალური წრეების წარმომადგენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

აღმოჩნდა, რომ ნიკოლოზ მემანიშვილის „შემოქმედებითმა კაპრიზებმა“ არა მხოლოდ უნიკალური დაწესებულება იმსხვერპლა, არამედ თავად ის სიმფონიური ორკესტრიც, რომლის ხელმძღვანელიც დღეს თავად მემანიშვილი ბრძანდება.

მუსიკის სპეციალისტები, ცნობილი პედაგოგები თუ კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლების დიდი ნაწილი, აღშფოთებას ვერ მალავენ უდიდესი ტრადიციების მქონე, ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის ესოდენ შეურაცხყოფის გამო და ჩემთან საუბარში ნიკა მემანიშვილს „ხალტურშიკსა“ და „სააკაშვილის მეარღნეს“ უწოდებენ. მეტიც, ეს ადამიანები აცხადებენ,



რომ „ორკესტრიდან კვალიფიციური, პროფესიონალი მუსიკოსების ჯგუფ-ჯგუფად დათხოვნა, სიმფონიური ორკესტრისათვის პროფილის შეცვლა და მისი საესტრადო-საკონცერტო ფუნქციით ჩანაცვლება ყოვლად დაუშვებელია, რადგან 100-წლიანი ისტორიის მქონე ორკესტრს, დღეს პროფილის შეცვლა კი არა, პირიქით, გაძლიერება და სიმფონიური მუსიკის შესრულება-პროპაგანდა უნდა ევალებოდესო“.

ნიკა მემანიშვილი რომ „ვარდების ხელისუფლების“ ფავორიტი იყო, ყველამ ვიცით, მაგრამ, როგორც მუსიკალური წრეებიდან იუწყებიან, მისი პოლიტიკოსებთან დამეგობრება ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაწყებულა და როგორც ნიჭიერი პიანისტი, ერთ-ერთ რესტორანში (სადაც პატარა ნიკა უკრავდა) **ზურაბ ჟვანიას** შეუმჩნევია.

საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და როგორც წესი, აქ არაფერი იმალება... მუსიკალურ წრეებში ამბობენ, რომ –„საგუნდოსადირიჟორო და კომპოზიციის ფაკულტეტების ექსტერნად დამთავრებაში ნიკა მემანიშვილს სწორედ გავლენიან პირებთან სიახლოვე დაეხმარა. კონსერვატორიაში იმასაც იხსენებენ, რომ როცა ახალგაზრდა კომპოზიტორმა ნიკამ, სადიპლომო ნამუშევარი აუდიოჩანაწერით წარმოადგინა და როცა სანაცვლოდ პარტიტურა მოსთხოვეს –„სამსახურში დამრჩაო“, – განაცხადა. მიუხედავად ამისა, ნიკა მემანიშვილს კომპოზიტორის დიპლომი კი მისცეს, მაგრამ პროტექციის მიუხედავად, კონსერვატორიის მაშინდელმა რექტორმა **მანანა დოიჯაშვილმა** – დირიჟორის ატესტატზე ხელი არ მოუწერა.

2004 წლიდან ზურაბ ჟვანიას სურვილით, ვასო აბაშიძის მუსიკალური თეატრის (მუსკომედიის თეატრი) სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მუსიკოსს მუსიკალური საზოგადოება კარგად იცნობდა, სატელევიზიო პიარით მისი „ვუნდერკინდობა“ და „მითი“ მემანიშვილზე, როგორც „მუსიკალურ სასწაულზე“ დღემდე არ შეწყვეტილა. თუმცაღა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელოვნებო სამყაროში, **ნიკა მემანიშვილის** და **ზურაბ წერეთლის** „ფენომენს“ ერთმანეთის მსგავს სოციალურ მოვლენად მიიჩნევენ და მათ სტატუსს – ძლიერთა ამა ქვეყნის სიახლოვით ხსნიან. ავსტრიის კლინიკაში მრავალრიცხოვან გულშემატკივრებთან ერთად „ვუნდერკინდი“ მემანიშვილი – **გიგი უგულავას** მეუღლეს მშობიარობის „დღესასწაულზეც“ გახლდათ და როგორც მაშინ მუსიკოსები ხუმრობდნენ: „ის მშობიარე ლელა კილაძის სუნთქვის რიტმს განსაკუთრებული მონდომებით დირიჟორობდაო!“ ფაქტია, ნიკა რაჭველი, კარის მუსიკოსის ამპლუას ვერ გასცდა და ეს მან თუნდაც **სოფო ნიჟარაძისთვის** მორგებული „ქეთო და კოტეს“ „რიმეიკითაც“ დაამტკიცა, რისთვისაც მიხეილ სააკაშვილმა მას, როგორც „კომპოზიტორს“, რუსთაველის პრემია უბოძა. განსაკუთრებული „ღვაწლის“ გამო კი კლასიკური მუსიკის „უდიდესმა თაყვანისმცემელმა“, როგორადაც გვევლინება **ვანო მერაბიშვილი,** ნიკა მემანიშვილს 2 ჯიპი აჩუქა. აღარაფერს ვამბობ მის რამდენიმე სახლზე, გნებავთ, „ვარსკვლავების სახლში“ თუ თბილისის სხვადასხვა უბნებში, რომელიც თავად ნიკამ ბოლო 3-4 წლის განმავლობაში შეიძინა“.

ძვირფასო მკითხველო, ზემოთჩამოთვლილი ფაქტები (და უფრო მეტიც) ვინმეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ, ის, როგორც უკვე მოგახსენეთ, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ერთ-ერთმა პროფესორმა მიამბო, მაგრამ, ვფიქრობ, ნიკოლოზ მემანიშვილის „სიმფონიურ ვნებებზე“ უფრო საფუძვლიანად ის ადამიანები ისაუბრებენ, რომლებმაც თავისი გვარ-სახელები არ დამალეს და ქართველი მსმენელის ინფორმირებისთვის „საერთო გაზეთის“ რედაქციაში გვესტუმრნენ.



**შორენა წიკლაური – ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მევიოლინე:**

– ქალბატონო ირინა, თქვენს გაზეთში გაშუქებული პრობლემა, რომელიც „რკინიგზელთა სახლს“ ეხებოდა, მომეჩვენა, რომ შერბილებული იყო... ის, რაც თქვენს სტატიაშია დაწერილი, ყველაფერი ჩვენს თვალწინ ხდებოდა და სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ამ ნგრევასა და განუკითხაობას ისეთი მაღალი რანგის დირიჟორიც კი აპროტესტებდა, როგორიცაა დევიდ დელპინო კლინგე და რომელიც იმ წლებში ჩვენი ორკესტრის მთავარ დირიჟორად იყო მოწვეული 3-წლიანი კონტრაქტით. რა თქმა უნდა, ის პატიოსანი კაცი სამ წელს არ დაელოდა და ერთ წელიწადში გაიქცა თბილისიდან, მაგრამ ამ გაქცევის მიზეზი იყო ის, რომ ბატონი კლინგე არ და ვერ შეეგუა იმ ვითარებას, რაც შენობიდან დაწყებული, თითოეული მუსიკოსისადმი დამოკიდებულებაში იყო გამოხატული და ყოველთვის ეუბნებოდა ნიკას, რომ ორკესტრი ჯერ მუსიკოსია, ხოლო დანარჩენი სხვა კი წვრილმანიო! „მე ასე მინდა“, – იტყოდა ნიკა და იქ წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ ბედავდა, არადა მინდა იცოდეთ, რომ უდიპლომო დირიჟორის, ნიკა მემანიშვილის კაპრიზებს ჯერ სიმფონიური ორკესტრის ძირითადი დანიშნულება შეეწირა, ხოლო მოგვიანებით კი ის პროფესიონალი კადრები, რომლებიც 2013 წლის 7 იანვარს (შობა დღეს) ქუჩაში აღმოვჩნდით.

**– რას ნიშნავს ქუჩაში აღმოჩნდით? ანდა იქნებ განმიმარტოთ, რა მიზეზით აღმოჩნდით ორკესტრს მიღმა?**

– ჩვენ, განთავისუფლებული მუსიკოსები, ბევრ რამეს ვაპროტესტებდით, დაწყებული ორკესტრში სიმფონიური მუსიკის დიდი დეფიციტით, დამთავრებული მიზერული ხელფასებით და ეს მაშინ, როცა იგივე ორკესტრში მემანიშვილის ფავორიტ მუსიკოსებს 800 ლარიდან 1500 ლარამდე ხელფასები აქვთ დანიშნული, ხოლო ჩვენ, პროფესიონალ მუსიკოსებს 400 ლარიდან ქვემოთ თავისი დაქვითვებით. თავად მემანიშვილის ხელფასი კი 10 000 ლარია და უფრო მეტიც... იცით, რა იყო ყველაზე მეტად ჩვენი პროტესტის მიზეზი? რა და ის, რომ თითქმის ყველა კონცერტზე ნიკას „რჩეული“ მუსიკოსების და თვითონ ნიკას გადამრჩენებიც ჩვენ ვიყავით, რადგან მისეული „კონკურსებით“ მიღებული მუსიკოსების პროფესიული დონე, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა და როცა ჩვენ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სამსახურიდან გამოგვყარა – ამ ფაქტით აღშფოთებულმა კონსერვატორიის 22 პროფესორმა საპროტესტო წერილიც კი მისწერა კულტურის სამინისტროს, რათა მემანიშვილისთვის ჭკუა ესწავლებინათ!

**– რა მაგის პასუხია და... მართალია, რომ მემანიშვილი ფონოგრამაზე გასრულებინებდათ ამა თუ იმ ნაწარმოებს?**

– დიახ, მართალია! 2005 წლის 23 ნოემბერს „ვარდების რევოლუციის“ მე-2 წლისთავზე, რუსთაველის გამზირზე ღია ცის ქვეშ, ქარში და ყინვაში ბეთჰოვენის მე-9 სიმფონიის დასკვნითი ნაწილი „შევასრულეთ“, მაგრამ, სინამდვილეში, ჩვენ კი არ ვუკრავდით, მხოლოდ ხელებს ვიქნევდით ნიკასავით, რადგან ჩანაწერში უდიდესი კომპოზიტორი კარაიანი დირიჟორობდა ორკესტრს! ეს ფაქტი უდიდესი სირცხვილი იყო და მინდა გითხრათ, რომ მუსიკალური საზოგადოების სამართლიანი გულისწყრომაც გამოიწვია! თუმცა 23 ნოემბრამდე, პირველი სირცხვილი 3 ნოემბერს ვიწვნიეთ, როცა თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ანშლაგით მოსული მსმენელი მალერის მე-5 სიმფონიის მოსასმენად მოვიდა (დირიჟორი დ. კლინგე) და მათ ნიკა მემანიშვილმა უხერხული სიტუაციის შექმნის ფასად აიძულა, ჯერ საკუთარი საორკესტრო პიესა მოესმინა მაყურებელს, ხოლო მე-2 განყოფილებაში კი მალერის სიმფონია. აქვე, არ შემიძლია არ გითხრათ ისიც, რომ მემანიშვილის „გენიალური“ პიესის ნოტები, უშუალოდ კონცერტის დაწყების წინ დაგვირიგდა და ახლა თავად განსაჯეთ, ასეთი „ხალტურა“ მუსიკალური წრეებისათვის როგორი სილის გაწვნა იქნებოდა. ჩვენი ორკესტრისათვის კიდევ ერთი დიდი სირცხვილი ის იყო, რომ ძირითადად, „გასართობი“ პროგრამების შესრულებით ვიყავით დაკავებულნი და „დირიჟორი“ ნიკა მემანიშვილი ამის გამო არანაირ უხერხულობას არ განიცდიდა. პირიქით, მას სიმფონიური ორკესტრისათვის ძირითადი ფუნქციის წართმევა ერთგვარ სიამოვნებასაც კი ანიჭებდა, რადგან კლასიკური მუსიკის სფეროში ის აბსოლუტურ დილეტანტიზმს ამჟღავნებდა, ხოლო საესტრადო ჟანრში, როგორც თავად ამბობდა, „მისი ძლიერი მხარე“ წარმოჩინდებოდა. ჩვენი კიდევ ერთი დიდი სირცხვილი უკვე 2012 წელს დაფიქსირდა, როცა მემანიშვილმა იკადრა და ორკესტრი არ დაუთმო ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, კონსერვატორიის პროფესორსა და დირიჟორს, ბატონ **რევაზ ტაკიძეს,** რომელიც ათეულობით წელია ჩვენს ორკესტრთან თანამშრომლობდა და მისი საიუბილეო თარიღის – 70 წლისთავის აღსანიშნავი კონცერტი (ჩვენს ორკესტრთან ერთად) მემანიშვილის დანაშაულებრივ არაკოლეგიალობისა და უსინდისობის წყალობით ჩაიშალა. მემანიშვილი, როგორც უკვე გითხარით, სიმფონიური ორკესტრისათვის არაკვალიფიციური დირიჟორია. მას ხშირად ერეოდა მუსიკალური ზომა და სამი მეოთხედის მაგივრად იყო შემთხვევები, როცა ოთხ მეოთხედზე დირიჟორობდა.


საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს ბატონ გურამ ოდიშარიას

საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრისა და ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ყოფილი მუსიკოსების

განცხადება

ბატონო მინისტრო,

მსგავსი ხარვეზები გია ყანჩელის ნაწარმოებების შესრულების დროსაც მოსდიოდა, რადგან მის ნაწარმოებებში ხშირად იცვლება რიტმი. უჭირდა დიდი ფორმა და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ჩვენთან, მუსიკოსებთან ურთიერთობა ეძნელებოდა. ცნობილია მისი ფრაზა: „არ მინდა საბჭოთა ჟღერადობა, დაუკარით ევროპულად“. როცა ვიკითხავდი: რიხტერის, კოგანის, კისინის, ისაკაძის, ვირსალაძის, ბაშმეტის და სხვათა ჟღერადობა, ხომ მოსწონთ და მოსწონდათ ევროპაში-თქო? — ასე გვპასუხობდა: „მე ასე მინდა“-ო და მთავრდებოდა პოლემიკა... ნიკას პრობლემები საორგანიზაციო საქმეებშიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ **გოკა გაბაშვილს** და მის შემდგომ მინისტრებს ეს არ ადარდებდათ. მეტიც, მინისტრი გაბაშვილი ამბობდა: „ნიკას ფულის შოვნა შეუძლია და ჩვენ ის ძალიან გვაწყობსო!“ საერთოდაც, ნიკა მემანიშვილი ევგენი მიქელაძის ეროვნულ ორკესტრს, როგორც თავის პირად საკუთრებას, ისე განიხილავს და მას, ხან „ჯორჯიან ფილარმონიკს“ არქმევს, ხან „ჯორჯიან ბრასს“, ხან „ახალგაზრდულს“ და ხანაც რას... მას, გამოცდილი, მაღალპროფესიონალური კლასის ორკესტრანტების მიმართ არათუ პატივისცემა, არამედ ზიზღიც კი აქვს და ამის მაგალითად ერთ ფაქტს მოვიყვან... ერთ-ერთი რეპეტიციის დროს ნიკამ მევიოლინე ქალბატონს განუცხადა, რომ: „სცენაზე, ორკესტრში ველარ დაუკრავ, რადგან ძალიან მსუქანი ხარო!“



**— თვითონ ძვირადღირებული ოპერაციის შემდეგ უკვე გამხდარიყო იყო?**

— დახ... შეურაცხყოფილი მევიოლინე ადგა, სახეში გაარტყა ნიკას და მის შემდეგ ორკესტრში აღარ დაბრუნებულა. მეტიც, ნიკა რეპეტიციებზე ხშირად გვეუნებოდა, რომ „ის, რაც ძვირფასია და კარგი თქვენთვის, ჩემთვის საზიზღრობააო“, ანუ კლასიკური მუსიკა, სიმფონია და ა.შ. მემანიშვილისთვის საზიზღრობას ნიშნავდა, რადგან იგი ამ სფეროში აბსოლუტური დილეტანტი გახლავთ.

საუბარში ერთვება ორკესტრის განთავისუფლებული მუსიკოსი **გიორგი ცენტერაძე (ვოლტორნი):**

— ქალბატონო ირინა, საერთოდ ჩვენს წრეში ძალიან აქტიურად განიხილებოდა მეტად დამაფიქრებელი ტენდენცია, რომელსაც გოკა გაბაშვილის მინისტრობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი. კერძოდ, კი ის, რომ



„ვარდების ხელისუფლების“ მოსვლისთანავე 2004 წლის გაზაფხულზე, როგორც „საბჭოთა გადმონაშთი“, დაშალეს რადიო-ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრი. იმავე 2004 წელს დაშალეს ტელევიზიის საესტრადო-სიმფონიური ორკესტრიც. იმავე 2004 წელს, მაშინ როცა ნიკა მემანიშვილი მუსიკალური კომედიის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნა გაბაშვილმა — მოისპო და განადგურდა ამ თეატრში არსებული ორკესტრი. ამავე პერიოდში განადგურდა საკავშირო მნიშვნელობის და განსაკუთრებული აკუსტიკის მქონე ხმის ჩამწერი სტუდია „მელოდია“, საესტრადო-საცირკო სასწავლებელიც გააუქმეს, პარალელურად აწიოკებდნენ და ხურავდნენ მუსიკალურ სასწავლებლებს, ზოგს ერთმანეთთან აერთებდნენ, მუსიკის პედაგოგებს კი ხელფასები ძალიან შეუმცირეს, მუსიკის სწავლის საფასური მოამატეს და ამ ყველაფერს იცით, რატომ ვიხსენებ? წინა ხელისუფლებას ერთგვარი სტრატეგიული გეგმა ჰქონდა იმისა, რომ საქართველოში სერიოზული მუსიკოსი და სერიოზული მუსიკა გა-ნა-დგუ-რე-ბული-ყო!

ნიკა მემანიშვილმა სიმფონიური ორკესტრი „უნარკოზოდ“ დაჩეხა და ეს ხდება იმიტომ, რომ მას ორკესტრის რთული ორგანიზმის შეგრძნება არა აქვს. შოუბიზნესის „ვარსკვლავ“ მემანიშვილს სასაცილოდ არ ჰყოფნის გამოცდილი მუსიკოსებისა თუ კონსერვატორიის პროფესორთა აზრები, რადგან მან ორკესტრის „წელთაღრიცხვის“ ათვლა საკუთარი პერსონიდან დაიწყო.

მისი საყვარელი ფრაზაა: „ბითლზების“ ესთეტიკა ჩემი ესთეტიკაა და ჩემი თავი ფართო მასებთან ურთიერთობის გარეშე ვერ წარმომიდგენია“-ო! ეს ფრაზა მან ამასწინათ ტელევიზიითაც გაიმეორა, მაგრამ ამ ფრაზაში დამაფიქრებელი ის კი არ არის, რომ ნიკას „ბითლზები“ უყვარს, არამედ ის, რომ ამას ამბობს ადამიანი, რომელიც სიმფონიური ორკესტრის დირიჟორია და ამ ორკესტრს ნელ-ნელა საესტრადო ფუნქცია ენიჭება. ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრს სასწრაფოდ სჭირდება ახალი ხელმძღვანელი, ხოლო ახალი მთავრობის კულტურის პოლიტიკის ნებას თუ ჩავუღრმავდებით, ისინიც ამ აზრზე არიან.

**შორენა წიკლაური** (მევიოლინე): ჩვენ უკან დახევას არ ვაპირებთ, ბოლომდე ვიბრძოლებთ და ჩვენს ორკესტრს ღირსებას აუცილებლად დავუბრუნებთ. ჩვენ მოვითხოვთ, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიკოლოზ მემანიშვილი სასწრაფოდ გათავისუფლდეს ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელისა და დირიჟორის თანამდებობიდან.

— ქალბატონო შორენა და ბატონო გიორგი! მეც ვიტოვებ იმედს, რომ დღევანდელი კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობა თავიანთი წინამორბედების გზას არ დაადგება და „ფავორიტების“ ხელის დაფარებით არ გაწირავს 100-წლიანი ისტორიის მქონე ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრს. როგორც ძველი მუსიკოსი, თქვენის ნებართვით, ჩემს აზრსაც დავაფიქსირებ — ის, რომ თქვენი ორკესტრი, მემანიშვილის წყალობით, ხშირად „ხალტურშიკობდა“ და ფონოგრამებზე უკრავდა დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ ბათუმში, როცა „ქეთო და კოტეს“ კონცერტზე დენმა „თამაში“ დაიწყო და ფონოგრამა გაითიშა, ხოლო ნიკას ხელები ისევ ცაში ჰქონდა აპყრობილი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ასე გაგრძელება არ შეიძლება.

თემა: „რა ხდება რკინიგზელთა სახლის“ კედლებს მიღმა გრძელდება და შემდეგ ნომერში უკვე იმ ფინანსებზე ვისაუბრებთ, რომელსაც ბატონი ნიკოლოზი ასე უხვად იღებდა და ზოგჯერ გასცემდა კიდეც.

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

**დავით თევზაძე**: ...რაც შეეხება 2007 წელს მომზადებულ დოკუმენტს, სადაც ქართული მხარე ომის საშიშროებას ძალიან დაბალი ინდექსით აღნიშნავდა, საქმე ისაა, რომ ამ დოკუმენტების ავტორებს გაცნობიერებული არ ჰქონდათ, რას დაარქვან ომი. 2007 წელს უკვე ჩანდა, რომ აუცილებლად მოხდებოდა ცვლილება ურთიერთობებში, რაშიც, პირველ რიგში, რუსეთი იყო დაინტერესებული. რუსეთს აუცილებლად უნდა მოეგვარებინა გარკვეული პრობლემები. რუსეთი თუ დაკარგავს კონტროლს კავკასიაზე, ეს არის პირდაპირი გზა მისი დეზინტეგრაციისაკენ. ასევე საქართველოს უნდა აეცილებინა მისთვის ჩრდილოკავკასიელების ბმა გარესამყაროსთან, ანუ უნდა განხორციელებულიყო ჩრდილოკავკასიელთა იზოლაცია. საჭირო იყო გარკვეული წინაღობის, თუნდაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე. ამისთვის მას ჰქონდა ორი სეპარატისტული რეგიონი, სადაც შეძლებდა ფეხის მოკიდებას, თუკი საბაბს იპოვიდა. ამას არ სჭირდებოდა ომის კლასიკური გაგებით წარმოება. დაწყებული 2008 წლის აპრილიდან მკვეთრად გამოიკვეთა ომის კონტურები.

რუსეთს აუცილებლად უნდა მოეგვარებინა ეს პრობლემა, რღვევის ნაკადი ჩრდილოკავკასიიდან შეიძლება მოდებოდა ვოლგისპირეთს და ა.შ. უნდა მოეგვარებინა, რათა სამხრეთის ფლანგი დაცული ჰქონოდა, იმ გამოწვევებისაგან, რაც შეიძლება გამოიკვეთოს ახლო მომავალში. რუსეთში უკვე მკვეთრად იკვეთება ის წუხილი, რაც შეიძლება მოჰყვეს ნატოს ჯარების გამოყვანას ავღანეთიდან. რადგან გართულდება თალიბების მოძრაობის კონტროლი შუა აზიის მიმართულებით. ამან შეიძლება მოიცვას ყაზახეთიც, რომელთანაც რუსეთს ათასობით კილომეტრი დაუცველი საზღვარი აქვს. ბუნებრივია, იგი ამ საკითხს რომ მომზადებული შეხვდეს, სხვა საზღვარზე უნდა ჰქონდეს მოხსნილი პრობლემები. ფაქტია, მან კავკასიის პრობლემა ამ ეტაპზე მოხსნა. აფხაზეთის და სამაჩაბლოს ბაზები მას საშუალებას აძლევს, აკონტროლოს ნებისმიერი გადასასვლელი ნებისმიერ დროს. მისი შეიარაღება თურქეთთან ან ირანთან საომრად საკმარისი არ არის, სამაგიეროდ, სავსებით საკმარისია ამიერკავკასია ბუფერად შეინარჩუნოს.

რუსეთის თუნდაც გადაიარაღებული არმია ნატოს არმიასთან უძლური აღმოჩნდება, თუკი რუსეთი განახორციელებს შეტევას, მაგრამ თუ ვინმე აღმოჩნდება ჰიტლერის აზროვნების და რუსეთის მიმართულებით დაძრავს თავის ტექნიკას, უბრალოდ, იმ სივრცეებში გაიხლართება. რომლის მოვლის თავი ნატოს ჯერჯერობით არ აქვს. ერაყის, ავღანეთის კონფლიქტები ამის ნათელი მაგალითია. დუგინს აქვს ერთი ფრაზა: პარტიზანული ომის დამარცხება, თუკი იგი საკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარეობს, პრაქტიკულად, შეუძლებელია, არა იმიტომ, რომ არმია უძლურია დაამარცხოს რამდენიმე ათეული მებრძოლი, არამედ ამ დროს ადამიანი უპირისპირდება ბუნებას და ბუნებას ადამიანი ვერასოდეს დაამარცხებს...

რაც შეეხება ქართულ არმიას და ნატოში გაწევრიანებას. ბედნიერება მქონდა გავცნობოდი ამ ორგანიზაციას შიგნიდან, საკმაოდ უცნაური ორგანიზაციაა. ერთ დღეს ნატომ შეიძლება მიიღოს ეს გადაწყვეტილება, გააჩნია, რა პოლიტიკური არჩევანის წინაშე დადგებიან ქვეყნები, ობიექტური მონაცემები, რომ მიგვიღიონ, ჯერჯერობით არ არსებობს. მიგვიღებენ თუ არა, ამაზე საუბარი სამომავლოდ გადავდოთ.

რაც შეეხება ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, სამწუხაროდ, სახელმწიფოს სააზროვნო სივრცეში შეიქმნა დოგმა, რომ შეიარაღებული ძალები იცავენ ქვეყანას. ამ დროს იგი ერთ-ერთი კომპონენტია ქვეყნის დაცვისა. სინამდვილეში, ქვეყანას იცავს სწორად გააზრებული ქვეყნის თავდაცვის სტრატეგია, სადაც შეიარაღებული ძალების გარდა მობილიზებულია ქვეყანაში არსებული რესურსები. რამდენად ეფექტურად იყენებს ამას, აქედან გამომდინარე, კარგავს რაოდენობრივი მახასიათებლები თავის მნიშვნელობას. ამის ბევრი მაგალითი ვიცით, დაწყებული კუბის რევოლუციით, დამთავრებული ვიეტნამის გაერთიანებით. იგივე ავღანეთმა სამჯერ მოიგერია სამი უდიდესი იმპერია ერთი საუკუნის მანძილზე. ანუ როცა ქვეყნის თავდაცვა გააზრებულია, ისევე როგორც ქვეყნის ფუნქცია, მაშინ ძირითად როლს თამაშობს სტრატეგია. ამ სტრატეგიის შემუშავებაა პრობლემა, რადგან იკვეთება რომ არც ერთ დონეზე, სადაც ხდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, სამხედრო სტრატეგიული ხედვების თვალსაზრისით ვაკუუმია. ეს ვაკუუმი გამოიკვეთა 2004 წელს, როდესაც პირველად დაიწყო ცხინვალზე რაღაც მოძრაობები, რომელიც გადაიზარდა შემდეგ მსხვერპლიან ცხარე დაპირისპირებაში. მაშინ ერთ ერთ გაზეთში დავწერე, რომ უმაღლესი მთავრსარდლის გარშემო სამხედრო სტრატეგიული სივრცე ცარიელი იყო, მას არ ჰყავს არავინ, ვინ ეტყვის, რისი გაკეთება ღირს ან არა. ასევეა ახლაც. უმაღლესი მთავარსარდალი, საერთოდ, გასულია თამაშიდან. მთავრობას თავდაცვის სისტემა მიშვებული აქვს. ის ვაკუუმი, რომელზეც ვლაპარაკობდი, სტრატეგიაშიც ჩანს და თვითონ მთავრობაშიც. ამ თვალსაზრისით პრემიერის გარშემოც ვაკუუმია. ჩვენი წარმოდგენები ომის შესახებ მოძველდა და ჩარჩა მეოცე საუკუნეში, თანაც ცივი ომის წინა პერიოდში. ცივი ომიც ომი იყო, მას მესამე მსოფლიო ომს უწოდებენ უკვე. თავისი პოლიტიკური შედეგებით იგი ეთანადება იმას, რასაც მსოფლიო ომი, გლობალური რეორგანიზაცია ჰქვია. სტრატეგიის მიყენების სივრცეები შეიცვალა მეოცე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. თუ მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის სტრატეგიული სივრცე იყო ორი ზედაპირი - ხმელეთი და ზღვა, უკვე პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მას დაემატა ორი სხვა სივრცეც - ჰაერი და წყალქვეშა სივრცე. მესამე მსოფლიო ომი, ანუ ცივი ომი, რომელიც ნახევარ საუკუნეს გრძელდებოდა თითქმის, ეს ომი მოგებული იქნა სულ სხვა სივრცეში, რომელსაც ომის სივრცედ არც პოლიტიკოსები აღიქვამდნენ და



არც ჩვეულებრივი ადამიანები. ეს გახლავთ სააზროვნო სივრცე, ანუ ინფორმაციული ველი.

ანუ დღეს როდესაც ლაპარაკობ სამხედრო სტრატეგიაზე, ეს არ გახლავთ მხოლოდ ჯარების გადაადგილება ან უზრუნველყოფა გარკვეულ წერტილში და თუკი რამე გახდა ამქვეყნად გლობალური, სწორედ სამხედრო სტრატეგიის სააზროვნო სივრცე. ამ მთლიანი ხედვის დეფიციტი, რა თქმა უნდა, არსებობს. სამხედრო სკოლა, როგორც ასეთი, ჩვენ ჩვენი არა გვაქვს. 20 და 50 წელი ამისთვის ძალიან ცოტაა. იმისთვისაც ცოტაა, რომ შეიქმნას ე.წ. სამხედრო ელიტა, რომელსაც შეუძლია საზოგადოება წინ წაიყვანოს. საჭიროა იგივე ფუნდამენტური და ფილოსოფიური მეცნიერების განვითარება. და თუ არ შეივსო ეს ნაკლულობა, თუ არ იქნა გააზრებული, რა ფუნქციით არსებობს ქვეყანა, თუნდაც რეგიონში, ან რის დაცვას მთავაზობენ, როცა თოფს მაძლევენ ხელში, თუ ყოველივე ეს არ იქნა კარგად გააზრებული, ჩვენი სამხედრო ნაწილები საზღვარგარეთ უკეთ იმოქმედებენ, ვიდრე იმ სივრცეში, რაც მათთვის უფრო ბუნებრივია. იგივე ერაყში ქართველი ჯარისკაცი კი არ არის წარუმატებელი, არამედ მთლიანად სტრატეგია. გათვლა იმით კი არ უნდა დაიწყო, ჯარს მალე როგორ მიიყვან სადმე, ან რას გააკეთებს იქ შენი ჯარი, არამედ იმით, შენი ჯარი როცა წამოვა იქიდან, რა დარჩება იქ - შენთვის მომგებიანი გარემო, რომელიც შენი პოლიტიკის თანხვედრია თუ სხვისთვის მომგებიანი გარემო. და თუ ამის ვიზუალიზაცია არა მაქვს, რაც არ უნდა მომგებიანი პოზიცია მქონდეს ტექნიკაში თუ გაწვრთნილ ადამიანებში, ეს, საბოლოო ანგარიშით, ყოველთვის მარცხით დამთავრდება. ამიტომ მხოლოდ ხანგრძლივ პერსპექტივაში ხედვა არის რეალური ხედვა. ადამიანებმა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომს ამთავრებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მერე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შეძლეს ის, რომ 60 წელი ევროპის ტერიტორიაზე ომი არ ყოფილიყო.

**„მაესტრო“**

# ერს ერად აქცევს მისი ენა და არა კარტოფილისა და ყურძნის მოსავლის გაზრდა

გვესაუბრება **ლევან ღვინჯილია** ენათმეცნიერი, ფილოლოგიის დოქტორი

***— ბატონო ლევან, ახალქალაქის საკრებულოს „რესპუბლიკელმა“ წარმომადგენლებმა რამდენიმე დღის წინ სომხურისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება მოითხოვეს — "რეგიონული და უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია" ითვალისწინებს ასეთ პრივილეგიებსო. რას გვეტყვით ამის შესახებ?***

— ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხსენებული „ქარტია“, ჩემი ვარაუდით, თავიდან ბოლომდე წაკითხულიც კი არა აქვთ. როგორც ცნობილია, „ქარტიის“ ორიგინალები შედგენილია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. არსებობს ამ დოკუმენტის ქართული ვერსიაც, რომელსაც ახალქალაქის საკრებულო უბრალოდ ვერ წაიკითხავდა, ენის არცოდნის გამო, ხოლო სომხურად რამდენად სწორად არის თარგმნილი, რათა ხელმისაწვდომი ყოფილიყო საკრებულოს წევრთათვის, ჩემთვის უცნობია.



იქნებ არც კი აქვთ წაკითხული-მეთქი, ამას იმიტომაც ვამბობ, რომ რაღაცნაირად მოულოდნელად, თითქოსდა საამისოდ საგანგებოდ შერჩეულ დროს წამოსწია ვიღაცამ ეს საკითხი; ხოლო ამ ამბამდე გაცილებით ადრე რეგიონული ენის თემაზე საუბრები ისმოდა სამეგრელოში, კერძოდ - ზუგდიდში. ფიქრობ, ეს მთლად შემთხვევითი არ უნდა იყოს.

რაც შეეხება იმას, რომ საკითხი გააქტიურებულია ახალქალაქელი „რესპუბლიკელების“ ინიციატივით, ხოლო ეს პარტია, მოგეხსენებათ, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრია, ამასთან დაკავშირებით, ამ დღეებში "ყურადსაღები" აზრები მოვისმინეთ; მაგალითად, „ნაციონალების" გენერალურმა მდივანმა ივანე მერაბიშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ "მათი ზეობის დროს" ახალქალაქში "ჩამიჩუმიც" კი არ ისმოდა და სრული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიწყნარე სუფევდა. რაზეც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უპასუხეს: **ჩამიჩუმი იმიტომაც არ ისმოდა, რომ ახალქალაქში ყველაფერს სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ და მოსახლეობას მოქალაქეობრივი თავისუფლება არ ჰქონდაო**. მერე კი "რესპუბლიკელმა" მინისტრმა, ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმაც თავის ერთ-ერთ გამოსვლაში დასძინა: **მხოლოდ ახლა მიეცათ ადამიანებს აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა და ამიტომაც მოხდა ყველაფერიო.**

არ მომისმენია და არც იყო მოსალოდნელი, „რესპუბლიკური“ პარტიის ცენტრალური ოფისის წარმომადგენლებს უარეყოთ მოარული ხმები — ეს საკითხი „რესპუბლიკელებმა“ წამოსწიესო. ისინი ამბობენ: თუ გვინდა წავიდეთ "ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ" და ევროკავშირისკენ, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ქარტიის რატიფიცირებაო. ეს, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სიმართლეს. მეტსაც გეტყვით, **საქართველოში ამა თუ იმ ენისთვის რეგიონული ენის სტატუსის მინიჭება ჩვენი სახელმწიფოს პრეროგატივაა და საქართველოს "ნატოსკენ" სწრაფვასთან ამას არანაირი კავშირი არა აქვს.**

ვსვამ კითხვას — რატომ გაუგზავნა ახალქალაქმა ეს თხოვნა ქუთაისს (საქართველოს პარლამენტს) და არა - სტრასბურგს (ევროსაბჭოს)? პასუხი მარტივია: — იმიტომაც, რომ ახალქალაქში, როგორც ჩანს, კარგად იციან: ეს საქართველოს პარლამენტის გადასაწყვეტი საკითხია.

***— რას ითვალისწინებს ევროპული ქარტია და ითვლება თუ არა სომხური ენა ეროვნული უმცირესობის ენად, რათა ის რეგიონულ ენად ვაღიაროთ?***

— ქარტიაში განმარტებულია, თუ რას ნიშნავს რეგიონული ენა და იქვე მითითებულია ისიც, რომ დაუშვებელია რეგიონულ ენად იქნეს მიჩნეული მიგრანტთა ენა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ 1828 წელს რუსეთის იმპერიამ საქართველოს (სამცხე-ჯავახეთის) ტერიტორიაზე სომხები თურქეთიდან ჩამოასახლა, გამოდის, რომ ჯავახელი სომხები არიან მიგრანტები.

დღეს საქართველო უკვე მათი სამშობლოა და კიდევაც არიან საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები, მაგრამ ჯერ ჩვენ თვითონ არა გვაქვს ნათლად და გასაგებად განსაზღვრული: ვინ არის "ეროვნული უმცირესობა", რომ მერე მისი (ამ უმცირესობის) ენის სტატუსის შესახებ ვიმსჯელოთ და საქართველოში მცხოვრები რომელი ეთნიკური ჯგუფები განეკუთვნებიან დიასპორებს. სანამ ეს საკითხები არ გაგვირკვევია, "რეგიონული ენების" სტატუსზე ლაპარაკი ნაადრევია. მით უმეტეს, ტერიტორიებოკუპირებულ სახელმწიფოში.

***— თუ არა სომხური, აბა, რომელი ეთნიკური ჯგუფი ითვლება საქართველოში ეროვნულ უმცირესობებად?***

— უკვე გითხარით, ჯერ არა გვაქვს ეს განსაზღვრული, მაგრამ მე რომ მკითხონ და ჩართული ვიყო ამ საკითხებში, რა თქმა უნდა, შევეცდებოდი ჩემი აზრი გამეზიარებინა დაინტერესებული მხარეებისათვის.

**წარმოუდგენელია, რომელიმე ეთნოსის ზურგს უკან მისივე ისტორიული სამშობლო იდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით და ეს ეთნოსი მის ამჟამინდელ საცხოვრისში, რომელსაც თვითონაც "მეორე სამშობლოს" ეძახის, მიჩნეული იყოს "ეროვნულ უმცირესობად" და მის ენას ენიჭებოდეს რეგიონული ენის სტატუსი, რათა ამ ეთნოსის კულტურისა და ენის გადარჩენა და განვითარება იყოს უზრუნველყოფილი. ცხადია, ეეს ეხება არა მხოლოდ სომხურ ენასა და კულტურას.**

რატომ უნდა იზრუნოს საქართველომ სომხური ენის გადარჩენისა და განვითარებისთვის, როდესაც აგერ, ჩვენს გვერდითაა სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო — სომხეთის რესპუბლიკა, რომლის უპირველესი ზოგადსაკაცობრიო მისია სწორედ სომხური ენისა და კულტურის შენარჩუნება და განვითარებაა.

საქართველომ, როგორც სახელმწიფომ, უნდა იზრუნოს თავის მოქალაქეთა ერთიან ეროვნულ სხეულში ინტეგრირებაზე და იმავდროულად ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, რათა მათ შეინარჩუნონ თავიანთი მშობლიური ენა და კულტურა. მინდა ხაზგასმით გავიმეორო: შეინარჩუნონ და არა — განავითარონ!

**ქართული ენა და კულტურა ვერსად ვერ განვითარდება, გარდა საქართველოსი, ისევე, როგორც წარმოუდგენელია სომხური ენისა და კულტურის განვითარება სხვაგან, გარდა სომხეთისა!**




მეტსაც მოგახსენებთ, ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნება უკიდურესად შეფერხებულია (მეტი რომ არ ითქვას!) საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე, სადაც დღესაც ქართველები მოსახლეობენ, მაგრამ ბედის უკუღმართობით სხვა - მეზობელ სახელმწიფოთა საზღვრებში არიან მოქცეულნი. სამაგალითოდ მარტოოდენ საინგილოსა და ისტორიული ტაოკლარჯეთის დასახელებაც კი იკმარებდა. ვინმეს წარმოუდგენია, რომ თურქეთმა ან აზერბაიჯანმა ოდესმე ქართულს მათ ტერიტორიებზე "რეგიონული ენის " სტატუსი მიანიჭოს? რაო? ესენი ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები არ არიან?

***— ბოლოს და ბოლოს, ბატონო ლევან, მოსალოდნელია თუ არა საქართველოში სომხური ან სხვა რომელიმე ენა რეგიონის ენად გამოცხადდეს?***

— არ ვიცი! ეს იმაზეა დამოკიდებული, ჩვენი ერის დაწინაურებული ნაწილი, "ხალხის რჩეული კოჰორტა", ახლა პარლამენტში რომ მოკალათებულა, როგორ უყურებს ამ ამბავს. **მათ ნამოქმედარს რომ ვაკვირდები, ცოტა ეჭვი მეპარება, ბევრი მათგანი საღად აზროვნებდეს.** ამის მაგალითად შემიძლია მოვიყვანო ის აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა, რაც ამ რამდენიმე კვირის წინ რეკლამის კანონში ცვლილების შეტანის შესახებ გააქტიურებულ საკითხს მოჰყვა. მ

მოქმედ კანონში, რომელიც მიღებულია 1998 წელს, ანუ 15 წლის წინ, როგორც დამატებითი ტერმინი, სიტყვა „აბრა“ შეიტანეს, თითქოს აბრებზე ქართული წარწერები უნდა გაკეთდესო და ორწინადადებიან კანონპროექტში "აბრაც" კი ვერ განმარტეს სწორად; პროექტში ვკითხულობთ:

**„აბრა – ნებისმიერი ფორმისა და ზომის წარწერა, რომელიც განთავსებულია იურიდიული ან ფიზიკური პირის ობიექტზე და აღნიშნავს, რომ კონკრეტულ ობიექტზე მდებარეობს ოფისი, სავაჭრო ფირმა, ორგანიზაცია და ა.შ."**

სინამდვილეში კი სიტყვა **"აბრა"** ასე განიმარტება – **დაფა, რომელზედაც წარწერილია წარმოების, დაწესებულების სახელწოდება –ფირნიში**. როგორც ხედავთ, **"აბრა"** ყოფილა არა "**ნებისმიერი ფორმისა და ზომის წარწერა**, როგორც ეს ჩვენს დიდად პატივცემულ კანონმდებლებს მიაჩნიათ, არამედ - **დაფა! (წარწერებიანი დაფა!)**. ისე კი, "ხალხის რჩეულნი" **დაფასა და წარწერას** ერთმანეთისგან თუ გაარჩევდნენ, არ იქნებოდა ურიგო!... და თქვენ გგონიათ, ამ "დამატებაში" მარტოოდენ ეს ერთი უზუსტობაა? - იქნებ პროექტის ავტორებმა განგვიმარტონ, რას ნიშნავს ცნება – "**ფიზიკური პირის ობიექტი**"? ...ფიზიკური პირის **ობიექტი**(!) შეიძლება იყოს მისი (ამ პირის) **საკუთარი საცხოვრებელი სახლი**, მაგრამ ასეთ "ობიექტებზე" აბრები არ კეთდება. ამ ერთ წი-


იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ნადადებაში კიდევ 3-4 შეუსაბამობაა, მაგრამ მათზე მსჯელობით მკითხველს არ გადავღლი, ავტორებს კი ვურჩევ, სახელმწიფო ენას მეტი გულისხმიერებით მოეკიდონ!**

საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ენა ჰგონიათ მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალება, მაგრამ, უცხო ენათაგან განსხვავებით, **მშობლიური ენა გახლავთ ის უნიკალური ფენომენი, რომელიც აყალიბებს და განსაზღვრავს ადამიანისა და, შესაბამისად, ერის არსს. ქართველი რომ ქართველია, ეს მხოლოდ მისი გვარით არ განისაზღვრება.**

ასე რომ იყოს, მაშინ სოკოლოვი, ტრიპოლსკი ან ვოლსკი, თუნდაც მეგრელი გოგოლები და კრილოვები ქართველები არ ყოფილან?! არადა, - არიან! თუმცა, თავის დროზე, სხვა ერის წარმომადგენლები იყვნენ.

**მაშ, ვინ არის ქართველი? - ქართველია ის, ვინც ქართულ ენაში ცხოვრობს, ანუ ვისი საარსებო გარემო, სამყაროს აღქმის დონეზე არის ქართული ენა. ვისთვის რომელი ენაცაა სამყაროს აღქმის იარაღი, ის იმ ენისა და ერის წარმომადგენელია. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს არც გვარს, არც წარმომავლობას, არც რელიგიურ აღმსარებლობას და ა.შ..**

თუ გვსურს ქვეყანა — საქართველო იყოს ეროვნული სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ენას უნდა მოვუაროთ. აქედან იწყება ყველაფერი.

ამას ხშირად ვიმეორებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ სამსახურის შოვნა მინდა, ან იქნებ ვინმემ რაიმე საქმეში ჩამრთოს და ა.შ. (თუმცა პირადად ჩემთვის, როგორც ერთი ადამიანისთვის, ესეც პრობლემაა), მაგრამ, იქნებ, დამიმტკიცოს ოპონენტმა, რომ, რასაც ვამბობ, ასე არ არის?... თუ ვიზიარებთ ჩვენი დიდი მწერლის ოტია იოსელიანის აზრს, რომ „ენა უდრის ერს", მაშინ ჩვენი საქმე სადღეისოდ მთლად კარგად არ მიდის.

**საქართველო, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს - ქართველთა სახელმწიფო!** მე არ ვაკნინებ არც ერთი სხვა ეთნოსის მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ, ვინ არის საქართველოში "ძირითადი მოსახლეობა (როგორც ამბობენ — "სატიტულო ერი")", "ეროვნული უმცირესობა", "მიგრანტი" და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის არაქართულენოვან მოქალაქეებს უნდა მოვთხოვოთ, რომ მოექცნენ რეალურ სამშობლოს, მის სახელმწიფო ენასა და ქართველობას ("სატიტულო ერს") ისე, როგორც ეს მათ ეკადრებათ.

ყოველდღიურად არ უნდა გვასმენინებდნენ ტერმინს — ისტორიული სამშობლო, რომელიც თითქოს არის სადღაც შორს, სხვაგან. გამოდის, რომ საქართველო მათთვის შეძენილი ქვეყანაა და "ნამდვილი" სამშობლო კვლავაც სამებარი აქვთ. ასეთი ადამიანები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან გააღვივონ სეპარატისტული მოძრაობა იქ, სადაც ცხოვრობენ, ამ შემთხვევაში, ამისთვის არის გამოყენებული ზემოხსენებული "ქარტიაც".

**ყოველივე ეს კი, საბოლოოდ, უნდა დასრულდეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გამოყოფით, ხოლო რეგიონალურად გამოცხადებულ ენებს თანდათანობით ვიხილავთ ადმინისტრაციულ ორგანოებში, საკრებულოებში, აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში, მუნიციპალიტეტებში. ეს კი ნიშნავს, რომ რეგიონალური ენა იწყებს**




**არსებობას სახელმწიფო ენის გვერდით და მის პარალელურად. ერთ მშვენიერ დღეს კი მოსალოდნელია გვითხრან — როგორც აფხაზური ენა გაქვთ აღიარებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, ასევე აღიარეთ კონსტიტუციურად სომხური - სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე, აზერბაიჯანული - ქვემო ქართლში, ოსური - ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ა.შ. - სახელმწიფო ენებადო.**

***— როგორც ჩანს, ამ, ერთი შეხედვით უწყინარ მოთხოვნაში გაცილებით უფრო სახიფათო გეგმაა ჩადებული.***

— რა გეგმაც არ უნდა იყოს აქ ნაგულისხმევი, ამის მიუხედავად, ჩვენ მარტივად დავსვათ კითხვა — რას აკეთებს ჩვენი სახელმწიფო საიმისოდ, რომ მოწესრიგებული ჰქონდეს ენობრივი პრობლემები? რა გააკეთა ბოლო წლებში?, რას აკეთებს ახლა და რის გაკეთებას აპირებს მომავალში?! ამის შესახებ ვიცით რაიმე?... ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ არავინ არაფერს არ აკეთებს. ყველაფერი მიშვებულია თვითდინებაზე და შექმნილი ვითარებაც ამის შედეგია, ეს დილეტანტური გამოხტომებიც ამის მაჩვენებელია.

ერთადერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელმაც სახელმწიფო ენის მოვლა-პატრონობის შესახებ გვერდნახევრიანი ტექსტი შეიტანა თავის წინასაარჩევნო პროგრამაში, არის კოალიცია „ქართული ოცნება", მაგრამ ეს იყო და ეს! მას შემდეგ თითი არავის გაუტოკებია!

დიდი მადლობა პრემიერს, მისი დამტკიცების დღეს პარლამენტში ხმამაღლა რომ განაცხადა: "კოალიცია" აუცილებლად იზრუნებს სახელმწიფო ენის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ საკითხებზეო. ისიც კი თქვა, "სახელმწიფო ენა" იმიტომ ჰქვია, რომ მასზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოსო, მაგრამ როდიდან? როდის უნდა დაიწყოს ეს ზრუნვა?!

ენის კანონი დიდი ხანია მზადა გვაქვს. მისი განხილვა პარლამენტში უკვე დაწყებული იყო და, ზოგიერთი თავქარიანი დეპუტატის უდიერი საქციელის გამო, დროებით გადაიდო, მერე კი მალე საქართველოში "ახალი წელთაღრიცხვა" დაიწყო და ენისთვის ვინღა მოიცლიდა... არა! მოცლით კი მოიცალეს და ყველა მანამდე არსებული ინსტიტუცია გააუქმეს, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში!

ამ პროექტს („ენის კანონს" ვგულისხმობ!) ყველა ევროპული სტრუქტურა, მათ შორის, ევროსაბჭო და ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი (-ჰააგა!) მოვლილი აქვს, შენიშვნები გათვალისწინებულია, მხარდაჭერა მოპოვებულია და ეს კანონი კარგა ხანია უკვე უჯრაში მიდევს.

გამზადებულია დოკუმენტი. ხვალვე შეუძლია პარლამენტს მისი განხილვა დაიწყოს, მაგრამ არ არის მისადმი არანაირი ინტერესი.




კარგად გაიხსენეთ ჩვენი დიდი წინაპარი - გრიგოლ ორბელიანი, რომელმაც თქვა: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდასო", ან კიდევ: "მტერობა ენის არს მტრობა ქვეყნის"! და ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი? მმაგრამ ვინაა შემსმენი "ხმისა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა?"...

ენა უკვე წამხდარია და ერიც დაცემის პირასაა მისული. საქართველო ყოველთვის შეიძლება იყოს სახელმწიფო, ყოველთვის შეიძლება იყოს დასახლებული ტერიტორია, როგორიც არის, მაგალითად, ამერიკა, ან სინგაპური.

**ერი, რომელიც გლობალურ ტონს იძლევა და განვითარების გზას გვიჩვენებს (აშშ-ს ვგულისხმობ), ისტორიული ეთნოსების მიერ ჩამოყალიბებული ერებისაგან განსხვავებით, არ არის კაცობრიობის სახეობა,**

სამწუხაროა, რომ, არ იქნა და არ დაადგა საშველი ჩვენს თვითგამორკვევას. თვითგამორკვევა მხოლოდ ის კი არ არის, პარლამენტის ტრიბუნიდან გამოაცხადო — დამოუკიდებელი ქვეყანა ვარო; ვინა ვართ? რა ურთიერთობები გვაქვს ერთმანეთთან? ქართველური მოდგმის ტომებთან? სხვა ეთნოსებთან? რისგან შევდგებით? საით მივემართებით? თან რა მიგვაქვს? და ა.შ.. გავიაზრეთ ეს ყველაფერი?

თუ ეს ყველაფერი არ გვინდა და არც გვაინტერესებს, მაშინ იყო და არის ერთი კაცი, არ ვახსენებ სახელსა და გვარს, პატივცემული მკითხველი მიხვდება, ვისზეც ვლაპარაკობ, სინგაპურისკენ მივყავდით და ლაზიკას გვიშენებდა.

გვახსოვთ ხომ: **სინგაპურში ძირითადი მოსახლეობა მხოლოდ 17%-ია, სახელმწიფო ენა არის ინგლისური და ცხოვრობენ ბედნიერად! ისე, რომ არანაირი ეროვნული სიამაყის გრძნობა არ აწუხებთ და, კოსმოსში გაგზავნილი სინგაპურული „ჩაკრულოს" ხსენებაზე, ჩვენსავით ტანში ჟრუანტელი არ უვლით და ყელში ბურთი არ აწვებათ! იქ სხვა ღმერთი სუფევს, დოლარზე რომ ახატია, ის ღმერთია მთავარი. იქეთკენ მივყავდით იმ კაცს და დღესაც, ჯერ არ ვიცი, კვლავ იქეთკენ მივდივართ თუ — აქეთკენ შემოვბრუნდით?**

***— ეროვნების გრაფა ჩვენი პირადობის მოწმობებიდან ამოღებულია. როგორ უნდა იყოს ქვეყანაში პრიორიტეტული ქართული ენა, თუ შეუძლებელია გარკვევა ამ ქვეყანაში უმრავლესობის სასაუბრო ენა ქართულია თუ რომელიმე სხვა ენა?***

— საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მიხედვით აღიარებულია, რომ ადამიანი განეკუთვნება იმ ერსა თუ ეთნოსს, რომლის ნაწილადაც მოიაზრებს საკუთარ თავს. საქართველოში რამდენადაც ოფიციალურად არ ხდება ეთნიკურობის დაფიქსირება, ვისაც მიაჩნია თავი ქართველად, ამბობს, რომ არის ქართველი, სხვა ფიქრობს, რომ სომეხია, ბერძენია, ქურთია, რუსია და ა.შ. თუმცა ამ საკითხს თავის დროზე, სამწუხაროდ, არავინ მიუდგა უფრო სერიოზულად.

**მთელი ჩვენი პრობლემის სათავე არის არასწორი და, შეიძლება ითქვას, ფაქტობრივად, არარსებული ენობრივი პოლიტიკა. სანამ ქვეყანაში არ გვექნება განსაზღვრული და კარგად გააზრებული ენობრივი პოლიტიკა, რომელზე დაყრდნობითაც უნდა განხორციელდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესები და სახელმწიფოებრიობა, არეულობა და უწესრიგობა ქვეყანაში მუდმივად იქნება და შეიძლება, ვითარება ისე გამწვავდეს, რომ ქვეყნის ყოფნაარყოფნის მიჯნამდეც კი მივიდეთ.**

ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას, ჯერჯერობით, უპირველესად, საშურ საკითხებად მიაჩნია მძიმე სოციალური ფონის გამოკეთება, მოქალაქეთა დაზღვევა, ტარიფების შემცირება, გზების დაგება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, სოფლის აღორძინება... ყველაფერი ეს კარგია და ძალზე მნიშვნელოვანიც, მაგრამ, სასურველია, არც ის დავივიწყოთ, ყველაფერს ამას ვისთვის ვაკეთებთ და რისთვის? ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, მიზანია, თუ საშუალება უფრო დიადი მიზნის — ქართველობის, როგორც კაცობრიობის გასხვავებული და განსაკუთრებული სახეობის ეროვნული მისიის განხორციელების გზაზე?

***— რას ურჩევთ ამ კუთხით ახალ მთავრობას, რა უნდა გაკეთდეს?***

— თვალი გაახილონ! გაიაზრონ, რომ არიან ერის წინამძღოლები! ილია რომ ამბობს: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსაო". გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში პოეტი ღმერთს ესაუბრება, აქ სხვა მნიშვნელოვანი შეგონებაც დევს **— ერს ყოველთვის სჭირდება წინამძღოლი და დღევანდელ ვითარებაში ეს უნდა იყოს - ქვეყნის ხელისუფლება! ხელისუფლებას შეგნებული უნდა ჰქონდეს და უნდა იცოდეს, საით მიჰყავს ქვეყანა — ეროვნული სახელმწიფოსკენ თუ სინგაპურისკენ, ამერიკისკენ თუ საკუთარ თავისთავადობას ავითარებს თანამედროვეობაში.**

**მთავრობა ისე უნდა მოიქცეს, რომ ერი მას აღიარებდეს თავის ღირსეულ წინამძღოლად, რომელსაც შეეძლება იგი მშვიდობით გაიყვანოს უსასრულო მომავალში, ააცილოს ის ხიფათი, რაც მის ერად ყოფნას ემუქრება.**

**ერს კი ერად აქცევს მხოლოდ მისი ენა. მოუვლი ენას? იქნება ერი მოვლილი და დაფასებული, ვერ მოუვლი? - ერი დაგეშლება და, რამდენადაც გინდა, გაზარდე მერე კარტოფილის მოსავალი და მოიწიე ტონობით ყურძენი, მაინც არაფერი გამოგივა, ამით ერს, ვითარცა კაცობრიობის სახეობას, ვეღარ გადაარჩენ (ჯვარი აქაურობას! პირი ქვისკენ მიქნია!)!!!**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# მთავარია, სისტემა დაინგრეს, თორემ მონოპოლისტ კეზერაშვილის ასევე მონოპოლისტი იაკობაშვილით ჩანაცვლება არაფერს ცვლის

გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი **ლევან კალანდაძე:**

**— ლევან, ახალი ხელისუფლება წინასაარჩევნოდ გვპირდებოდა, რომ გამარჯვების შემთხვევაშიუ მონოპოლიების საკითხს გადახედავდა, რა გაკეთდა ამ მხრივ?**

— ამ მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული წინსვლა არ შეინიშნება. დღესაც, ისევე როგორც წარსულში, ვსაუბრობთ თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის დახვეწაზე, თუმცა საუბრის იქით ვერ მივდივართ. დღესაც, ისევე როგორც წარსულში გვაქვს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, რომელიც ისევე უფუნქციო და ნაკლებ ეფექტურია, როგორც ადრე იყო. ანუ, ერთია, რომ ინსტიტუციონალური თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, ანუ საკანონმდებლო რეგულაციის კუთხით საზოგადოებისთვის ახალი არაფერი შეთავაზებულა, რაც ქვეყანაში ანტიმონოპოლიური, ანტიკარტელური პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული რეგულაციის საფუძველი გახდებოდა.

პარლამენტში მმართველი გუნდის რამდენიმე დეპუტატისგან იყო მცდელობა, ფარმაცევტული და სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა გაემიჯნათ და სადაზღვეოებს ფარმაცევტული საქმიანობის უფლება აღარ ჰქონოდათ, რადგან ეს ინტერესთა კონფლიქტია, მაგრამ თავად უმრავლესობამ ეს ინიციატივა ჩააგდო. სისტემატიურად მესმის მათგან თითქოს მედიკამენტები გაიაფდა. რეალურად, მედიკამენტები არ გაიაფებულა. საქართველოს ფარმაცევტულ ქსელში თუ რამე გაიაფდა, მხოლოდ გარკვეული კამპანიური ხასიათის აქციების შედეგად, რასაც ფარმაცევტული კომპანიები ადრეც, და ახლაც ატარებენ. თორემ, ის ტვირთი, რაც სამომხმარებლო კალათაში მედიკამენტებს აქვს, არ შემცირებულა. დღემდე არ დასმულა საკითხი, რათა ერთმანეთისგან ცალსახად გაიმიჯნოს ფარმაცევტული, სადაზღვევო და ჰოსპიტალური საქმიანობა, ისე, როგორც ნებისმიერ სხვა ცივილიზებულ სამყაროშია. ეს პირდაპირ ინტერესთა კონფლიქტია, რაც ამ სფეროში მომხმარებელს აზარალებს. ამ მიმართულებითაც რეალურად არაფერი გაკეთებულა. საზოგადოებისთვის გამოგზავნილი მესიჯი — ყველანი თანაბარ პირობებში იქნებით ჩაყენებული, ბიზნესი იქნება თავისუფალი, მას არავინ დაატერორებს, წილებში არავინ ჩაუჯდებაო — ეს აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ გარკვეული მონოპოლისტურად მაღალი ფასების შესახებ შეთანხმებები ამა თუ იმ ბაზარზე აღმოფხვრას. როგორც ფარმაცევტულ სფეროში, ისე ბენზინის ბაზარზე არაფერი შეცვლილა. ახალი მოთამაშეებისთვის ისევე ძნელია ბენზინის ბაზარზე შეღწევა, როგორც ფარმაცევტულზე. ასევე ძნელი იყო წარსულშიც. ნავთობპროდუქტებზე ფასის დამდგენი პრაქტიკულად, ისევ ერთი კომპანიაა და ასე იყო წარსულშიც. ფარმაცევტულ ბაზარზე მხოლოდ სამი კომპანია განსაზღვრავს მთლიან პორტფელს და საფასო პოლიტიკას, მაშინ როცა მთელს ფარმაცევტულ ბაზარზე სხვადასხვა კომპანიების სახით 50 მოთამაშეა წარმოდგენილი. ანუ პრაქტიკულად, არაფერი შეცვლილა და ფასების დაწევის მოლოდინი რატომ უნდა გვქონდეს, არ მესმის. თუ სახელმწიფომ გარკვეული ნაბიჯები არ გადადგა, ახალი ინსტიტუცია, რეგულაცია არ დააწესა, ბუნებრივია, მონოპოლისტები მონოპოლისტურად მაღალი ფასების დაბლა დაწევაზე მოტივირებულნი და ორიენტირებულნი არ იქნებიან.



**— დღეს, ვის მოეთხოვება პასუხი იმ კარტელურ გარიგებებზე, რაც ისევ ხორციელდება?**

— ახალმა ხელისუფლებამ ცალსახად უნდა გაიაზროს, გაითვალისწინოს ის შეცდომები, რაც „ნაც. მოძრაობას“ ჰქონდა. „ნაც. მოძრაობის“ მთავარი შეცდომა და პრობლემა უსამართლო გარემოს ჩამოყალიბება იყო. ერთ-ერთი უსამართლო გარემო კი სწორედ ბიზნეს-სექტორში ჩამოყალიბდა. ერთია, რომ სახელმწიფო ტერორი, დაყაჩაღებები მიდიოდა, მეორე — ამან ბიზნეს-სტრუქტურების გარკვეული ელიტა, კასტა შექმნა, რომლებიც ხელისუფლებასთან ძალიან დაახლოებულნი იყვნენ და სწორედ ამ სიახლოვით სარგებლობდნენ და გარკვეულ მონოპოლისტურ მდგომარეობაში იყვნენ. ეს შეცდომა არ უნდა იყოს დაშვებული. ახალი ხელისუფლება ამბობს ბიზნესმენებს არ შევაწუხებთო. არ შეწუხება — მთავარი პრობლემა არაა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარია ის, რომ თითოეული ბიზნეს სტრუქტურისთვის რეალურად უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი სამუშაო პირობები. იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს ყოველთვის უჩნდებათ ცდუნება, რომ გარკვეული გარიგებების გზით ბიზნესსტრუქტურებთან ერთად ორივე მხარემ გარკვეული სარგებელი მიიღოს — ინტერესი ორმხრივია. თუ სახელმწიფო რეგულაცია ქმედითი და ეფექტური იქნება, ამ ცდუნების ალბათობა მინიმუმამდე დავა. შესაბამისად, ეს ჯანსაღ ბიზნეს-გარემოს უზრუნველყოფს, რაც თავად ბიზნესის გენერაციის უნარს უწყობს ხელს, ანუ შექმნას სამუშაო ადგილები, გაფართოვდეს, რაც ბიუჯეტში შემოსავლების ზრდაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე აისახება, ეს თავისთავად წარმატების პირობაა ეკონომიკისთვის და იმ პროგრამებისთვის, რაც ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს.





**— კეზერაშვილი საზღვარგარეთ გავისტუმრეთ, მისი ბიზნესები იაკობაშვილმა გადაიბარა, მაგრამ სახელების შეცვლით განა სიტუაცია შეიცვალა?**

— ბუნებრივია. სურათი ასეთია — კარგი, კი, ბატონო კეზერაშვილი, პეტრიაშვილი, პავლიაშვილი აღარ არიან, მაგრამ არის ვიღაც დავითაშვილი, ციციშვილი, ბაგრატიონი, ვინც ის ადამიანები ჩაანაცვლა, რომლებიც მონოპოლისტები იყვნენ. პიროვნებებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საბოლოო ჯამში, საზოგადოებას, არცერთ პიროვნებასთან არანაირი პრობლემა არ აქვს. ჩვენი პრეტენზია იმ სისტემასთანაა, რომელიც პრაქტიკულად, არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ პიროვნებები, დამფუძნებლები, მაგრამ ამით ამა თუ იმ კომპანიის მონოპოლისტური, დომინანტი მდგომარეობა ამა თუ იმ ბაზარზე, პრაქტიკულად არ შეცვლილა. შეიძლება ფარმაცევტულ კომპანიებში დამფუძნებლები შეიცვალონ, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ თავად ეს კომპანიები თავის დომინანტურ მონოპოლისტურად მაღალი ფასების შესახებ, კარტელური გარიგებების შეთანხმებას დაარღვევენ?! თუნდაც ნავთობპროდუქტების ბაზარზე შეიცვალოს დამფუძნებლები, ეს არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ საქართველოში მონოპოლისტური ფასის დაწესების პრაქტიკა გაუქმდეს? — რა თქმა უნდა, არა. მონოპოლისტური ფასების, შეთანხმებების გაუქმების და დაძლევის საფუძველი პოლიტიკაა. მთავარია სახელმწიფომ პოლიტიკის განხორციელება დაიწყოს, აღასრულოს იგი, მაგრამ პრობლემა იცით რა არის? — წინა ხელისუფლების დროს ასეთი მიდგომა იყო — ქვეყანაში მონოპოლიები არ არსებობს და შესაბამისად ანტიმონოპოლური რეგულირება საჭირო არ არისო. არის თუ არა მონოპოლია, ამის დასადგენად კვლევის ჩატარებაა საჭირო. არანაირი კვლევა არ ჩატარებულა. დღევანდელ ხელისუფლებასაც ზუსტად ისეთივე სირაქლემის პოზიცია აქვს, მას მოკვლევაც კი არ დაუწყია — არის თუ არა ბაზარზე მონოპოლისტური მდგომარეობა. ის, რომ პროკურატურა და საგამოძიებო სამსახურები ამა თუ იმ ბიზნესმენებს და ამა თუ იმ „ქეისებს“ იბარებენ, რომელიც კრიმინალის ელემენტს შეიცავს და საქმეს იძიებენ, ეს სრულიად არაა საკმარისი იმისათვის, რომ დავადგინოთ იყო თუ არა რეალურად მონოპოლისტური მდგომარეობა. ეს არის ერთეული შემთხვევები, რომელიც რამდენიმე კომპანიის დონეზე მთავრდება. სახელმწიფოში ბაზრის მონოპოლისტურ ჭრილში შესწავლა, დღესაც არ არის ხელისუფლებისთვის პრიორიტეტი.

**— დღეს გვარწმუნებენ, რომ სიტუაცია გამოსწორდა. თუნდაც კეზერაშვილის მაგალითზე, მან ბიზნესი გაყიდა და თითქოს პრობლემაც მოხსნა. რა ხდება რეალურად მაშინ, როცა ბიზნესი ფორმდება სხვაზე?**

— ამ თვალსაზრისით სახელმწიფო ინსტიტუცია უნდა მუშაობდეს, რათა მოიძიოს რა დგას ამა თუ იმ კონკრეტული გარიგების მიღმა და ხომ არ იკვეთება მხარეებს შორის ფარული, კულუარული შეთანხმება, რათა დამფუძნებლის ჩანაცვლების გზით ამა თუ იმ მონოპოლისტურ ბაზარზე შენარჩუნებული იქნას დომინანტური მდგომარეობა. ეს ვიღაცამ უნდა შეისწავლოს. ეს ვიღაცა ვერ ვიქნები ვერც მე, ვერც შენ და ვერცერთი არასამთავრობო სექტორი თუ პოლიტიკური პარტია. ეს სახელმწიფოს, ერთი კონკრეტული ინსტიტუტის — თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს პრეროგატივაა, რომელსაც, ჩვენთან, დღეს სამწუხაროდ, არც უფლებრივი და არც არანაირი ვალდებულება არ აქვს ამ საკითხებში ჩაერიოს და ასეთი გარიგებების ნიუანსები დაარეგულიროს.

მაგალითად, ქალაქის მასშტაბით ყველას სალანძღავ, სადაო საკითხად ჰქონდა გახდილი ე.წ. ყვითელი მარშუტკების ტენდერი, რომელიც პრაქტიკულად, მონოპოლისტურია — „ნაც. მოძრაობის“ ხელდასმით გარკვეული სისტემა ჩამოყალიბდა, რომელიც სხვა ოპერატორს საშუალებას არ აძლევს მარშუტკების ბაზარზე შევიდეს და ყვითელ მარშუტკებს კონკურენცია გაუწიოს. ხელისუფლება მოვიდა დაპირებით, რომ ამ საკითხებს გადახედავდა, მაგრამ რეალურად ამ ტენდერისთვის არავის გადაუხედავს. არ დაინტერესებულან განა იმიტომ, რომ იქ ყველაფერი კარგადაა. არა, რა თქმა უნდა, არამედ იმიტომ, რომ არ არსებობს პოლიტიკურ რეგულაციაში გამოხატული ნება, კანონში ცვლილებების შეტანაში სააგენტოს რეალური ამოქმედების და ა.შ. ანუ ეს ჯაჭვი არ არსებობს, შესაბამისად, არც არავინ ინტერესდება. 3 თვე გავიდა და მარშუტკების თემა დღემდე არ გადაწყვეტილა და თუ ასე გაგრძელდა არც გადაწყდება, კვლავ იქნება კამათი, რატომ 80 თეთრი და არა 60 თეთრი და ა.შ. მგზავრობა არ არის უფრო იაფი იმიტომ, რომ იგი ცალსახად მონოპოლისტია ყოფილი ხელისუფლების ხელდასმით და ახლის ამ საკითხისადმი ყურადღების არმიქცევის გამო.

**— ანუ ამ მიმართულებით, რა სქემებიც მუშაობდა იგივეა დღესაც?**

— ეს შეიძლება ხელისუფლებისთვის კომფორტულიცაა. ძალიან ძნელია ახალი ხელისუფლება დაადანაშაულო, რომ ბიზნესწრეებთან გარიგებაში არიან — ფარმაცევტულ, ნავთობკომპანიებთან და ა.შ. მაგრამ როცა ისინი ოპოზიციაში იყვნენ, საუბრობდნენ ამ პრობლემაზე, ხოლო ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ მიმართულებით არაფერს აკეთებენ. მაშინ მაქვს თუ არა საფუძვლიანი ეჭვი ვიკითხო — ამ მიმართულებით რატომ არაფერი კეთდება? — ეს ხომ ლეგიტიმური შეკითხვაა. ეს კითხვა, რაც საზოგადოებაშიცაა გაჩენილი, თუ დიდხანს პასუხგაუცემელი დარჩა, მერწმუნეთ, გაჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლებასა და ბიზნესწრეებს შორის ადგილი აქვს გარკვეულ გარიგებებს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ახალი სკანდალური ვერსია ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ

## ზვიად გამსახურდია ღურწკაიების სახლში არ გარდაცვლილა, ის გია გულუას რაზმის წევრებმა გაიტაცეს, ჯერ სასტიკად ცემეს, შემდეგ მოკლეს და ცხედარი ღურწკაიების სახლში მიასვენეს

მას შემდეგ, რაც „საერთო გაზეთში“ წერილი გამოქვეყნდა სათაურით „როდის იქნება გამოძიებული ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული გარდაცვალების საიდუმლოება?“ მრავალი ადამიანი შემოგვეხმიანა. ამჯერად გვინდა მოგითხროთ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ერთ საინტერესო ვერსიაზე, რომელიც ამ საქმეში კარგად ჩახედულმა ერთმა ადამიანმა შეგვატყობინა. მისი მონათხრობის მიხედვით, **ზვიად გამსახურდია ქველ ხიბულაში ღურწკაიების სახლში არ გარდაცვლილა, არამედ ის იქ, იმ ღამით, შუაღამისას უკვე გარდაცვლილი მიიტანეს.**



როგორც ჩვენი წყარო გვიმტკიცებს, ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლები პირები ღურწკაიების სახლისკენ მიმავალ გზაზე გია გულუას რაზმმა გააჩერა. ზვიად გამსახურდია მანქანიდან თავიანთ თეთრ ნივაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წავიდნენ.

ღურწკაიების სახლში ბესარიონ გუგუშვილი, რობიზონ მარგველანი და „სედუქსინით“ გაჭყეპილი ნახევრად მძინარე ბაჩუკი გვანცელაძე მიიყვანესო.

სხვათა შორის, ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემთან ინტერვიუში ქალბატონ ლუდმილა ღურწკაიას როცა ვკითხე, როგორ გამოიყურებოდა პრეზიდენტი-მეთქი, მიპასუხა: წვერი ჰქონდა მოშვებული, მაღალი კაცი იყო, გამხდარი, თავზე ბოხოხივით ქუდი ეხურა, არ ლაპარაკობდა, მხოლოდ ზემო სართულზე ასვლა და დაწოლა მოითხოვაო.

— *ქალბატონო ლუდმილა, პრეზიდენტი როგორ ვერ იცანით?* — ვკითხე მე.

— არასდროს მენახა, იმ პერიოდში დენი ხშირად ითიშებოდა, თითქმის არ გვქონდა ტელევიზორის ყურების საშუალება და რა ვიცი, ნანახი არ მყავდა პრეზიდენტი, ამიტომაც ვერ ვიცანი.

ჩემმა გოგომ *(გათხოვილი ქალიშვილი, რომელიც სტუმრად იყო თავისი მშობლების სახლში, მეზობელი სოფლიდან — ი.კ.)* მითხრა მერე — დედა პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაა ჩვენთან სტუმრადო“.

**ზვიად გამსახურდიას ნაცვლად, ხმა რომ გაევრცელებინათ, თითქოს გამსახურდია ღურწკაიების სახლში ნამდვილად იმყოფებოდა, უცნობი, წვერიან-ბოხოხიანი ჩეჩენი მიუყვანიათ, რომელიც, ბევრი რომ არ ელაპარაკა, მაშინვე „დასაწოლად“ აუყვანიათ სახლის მეორე სართულზე.**

აწ გარდაცვლილ ქალბატონ ლუდმილა ღურწკაიას მას შემდეგ პრეზიდენტი არც მკვდარი უნახავს, არც ცოცხალი. იმიტირებული (თუ საერთოდ არარსებული?) გასროლის შემდეგ ქალბატონი ლუდმილას მეუღლე კარლო ღურკაია და ვაჟი მაშინ 18 წლის ნუკრი ღურწკაია ავიდნენ მეორე სართულზე.

ხიბულაში ჩემი ყოფნის პერიოდში კარლო და ნუკრი ღურწკაიები რუსეთის რომელიღაც ქალაქში იყვნენ გადახვეწილნი, ხოლო იმ ქალაქს ქალბატონი ლუდმილა პრინციპულად არ ასახელებდა.

**შემდეგ, როცა ნუკრი საქართველოში ჩამოსულა, უთქვამს, მიცვალებული პრეზიდენტი კი ესვენა ლოგინზე, მაგრამ იქ მე სისხლის კვალი არ დამინახავსო...**

როგორც მითხრეს, ზვიად გამსახურდია ჯერ უცემიათ, ისე, რომ, როგორც ორიოდე წლის წინანდელი საპარლამენტო კომისიის დასკვნამაც დაადასტურა, ჩალეწილი ჰქონია მენჯის, წელის და ხერხემლის მალები, თავის ქალა შემდეგ კი მისთვის ტყვიით მოუსწრაფებიათ სიცოცხლე. გარდაცვლილი პრეზიდენტი კარლო და ლუდმილა ღურწკაიების სახლში შუაღამისას წინა კარებიდან შეუყვანიათ. წინა კარებიდანვე წასულა თავის გზაზე ჩეჩენი, რომელმაც ზვიად გამსახურდიას როლი შეასრულა მეგრელი გლეხების — ღურწკაიების წინაშე.

რაც შეეხება გუგუშვილს და მარგველანს, წყაროს ინფორმაციით, მათ ყველაფერი იცოდნენ, ძალიანაც წუხდნენ და ნერვიულობდნენ, მაგრამ დაემუქრნენ: თუ ხმას ამოიღებთ, თქვენც ზედ წაგაკლავთ თქვენს პრეზიდენტს და ისე გაგაქრობთ, თქვენს გვამებსაც ვერ იხილავენ თქვენი ოჯახის წევრები. მერე ვიტყვით, ყველამ მიატოვა ზვიადი, გაიქცნენ აფხაზეთში, იქედან სტამბულში და მარტო დარჩენილმა პრეზიდენტმა სასოწარკვეთილებით თავი მოიკლაო. აი, თქვენ ფული და უვნებლად წასვლის გარანტიები, ხმა, კრინტი არ გავიგონოთ ერთი ვერსიის გარდა: ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლაო.“

პატივცემულო მკითხველო, გამიგონია, მუდმივად უკან ყურებით წინ ვერასდროს წახვალო. არ მსურს ყოველთვის წარსულზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ეს ის წარსულია, რომელიც გვინდა თუ არა, თავს ყოველთვის გვახსენებს...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**P.S. 31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა. რომ არა საქართველოს მტრების მიერ დაგეგმილი მუხანათური ტრაგედია, ზვიად გამსახურდიას 2013 წლის 31 მარტს 74 წელი შეუსრულდებოდა.**



კარი, რომლიდანაც, სავარაუდოდ, შეიტანეს პრეზიდენტის ცხედარი

# როდემდე უნდა მართავდეს ქვეყანას „იდიოტი ბავშვი“?

**ვესაუბრებით არასამთავრობო ორგანიზაცია „მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს ბატონ პეტრე მამრაძეს**



**— ბატონო პეტრე, თვეების განმავლობაში მიმდინარეობდა პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით საკითხის განხილვა, რომელიც ბოლოს შეთანხმებით დასრულდა და ეს ცვლილებები მიღებულ იქნა, თუმცა, საბოლოო შედეგმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია როგორც მოსახლეობაში, ისე პოლიტიკურ წრეებში, თქვენ როგორ შეაფასებთ ყოველივეს?**

— პირველ რიგში, მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება იყო აუცილებელი. პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ დაითხოვოს მთავრობა პარლამენტის გარეშე, ასევე პარლამენტს უნდა ჰქონდეს უფლება გააგრძელოს მუშაობა პარლამენტის დათხოვის შემთხვევაში, ვიდრე ახალი პარლამენტი არ იქნება არჩეული, და ასევე უნდა მოხდეს პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანა, რადგანაც ამისათვის უამრავი თანხები იხარჯება, რაც ქუთაისს არანაირად არ წაადგება. რისთვის უნდა ყოფილიყო ეს ყველაფერი შეცვლილი, იმისათვის რომ ერთ ახირებულ კაცს, სააკაშვილს, რომელსაც რეიგანის ყოფილმა მრჩეველმა და პოლიტოლოგმა ***დაგ ბენდოუმ „იდიოტი ბავშვი“*** უწოდა, ასე სურდა?

**— „იდიოტი ბავშვი“ ალბათ, ცნობილმა პოლიტოლოგმა სამედიცინო თვალსაზრისით იხმარა, არა?**

— დიახ, სულ რამოდენიმე თვის წინ ის წერდა, რომ: ***„სააკაშვილის ხელში საქართველოს ნატოში შეყვანა იგივე იქნებოდა, რაც იდიოტი ბავშვისთვის ტყვიამფრქვევის ხელში „მიცემა“.*** მიაქციეთ ყურადღება „იდიოტ ჩაილდ“, მან როგორც სამედიცინო ტერმინი გამოიყენა.

ბევრი ამბობს, რომ სულაც არ იყო ეს ცვლილებები საჭირო, ყოფილიყო ეს ოქტომბრამდე, სააკაშვილი პარლამენტს მაინც არ დაითხოვდაო. ***ნურას უკაცრავად — როგორც იტყვის ჩვენი „იდიოტი ბავშვი“,*** სააკაშვილი ის კაცია, რომლმაც ათი წუთით ადრე არ იცის ***ის, თუ რას იზამს მეთერთმეტე წუთზე!*** რამდენჯერ თქვა, რომ ძალას არ გამოიყენებდა არც აფხაზეთში არც ე.წ. სამხრეთ ოსეთში, და არ დაბომბავდა ცხინვალს? უგულავა არ გააგზავნა 400 დროშით და კონცერტის ჩასატარებლად? შეიძლება მისი ნდობა?

ჩემთვის ისიც ცნობილი გახდა, (თუმცა ვერ დავადასტურებ) რომ იქამდე მივიდა საქმე, პრეზიდენტი თავად ჩავიდა ქუთაისში, შეხვდა იქ უმცირესობას და დაემუქრა მათ, რომ ახლა დავშლი პარლამენტს და არც ერთი თქვენგანი აღარ იქნება მასშიო.

**— რატომ დაემუქრა?**

— იმიტომ, რომ ჩატარებულიყო რეიტინგული კენჭისყრა. ხომ ცნობილია, რომ პარლამენტის დაშლის შემთხვევაში, „ნაცები“ 2-3 პროცენტს თუ მიიღებენ ხმებისას და ბარიერს ვერ გადალახავენ? სააკაშვილი წამსვლელია ოქტომბრიდან მაინც და მისი გუნდის წევრებს კი, არც ერთს არ სურთ პარლამენტარის სტატუსის დაკარგვა. ***ბევრი მათგანი მილიონერია, ამიტომაც ემსახურებოდა მის კლეპტოკრატიულ ავტორიტარულ რეჟიმს, იშოვეს დიდი ფული, მაგრამ დღეს სტატუსი სჭირდებათ, რომ პოლიტიკოსები არიან და თუ პროკურატურა მათ დაიბარებს და მოსთხოვს პასუხს უკანონოდ ნაშოვნი ფულის თაობაზე, ისინი ყველაფერს პოლიტიკურ დევნად შეაფასებენ*** — აი, ეს არის მათი მთავარი იდეა.

***პარლამენტარის ფიცი ავალდებულებს პარლამენტარს, კენჭისყრის დროს მოიქცეს ინდივიდუალურად, მრწამსის შესაბამისად და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე.*** ამათ კი ვაჭრობა დაიწყეს, „მივცემთ ექვს ხმას, ან რამდენსაც იტყვიან იმას და ა.შ. ამისი უფლება მათ არ ჰქონდათ. ეს რომ რომელიმე ევროპულ ქვეყანაში მომხდარიყო, მთელი ერი იხუვლებდა და ქუჩაში გამოვიდოდნენ, როგორც შეურაცხყოფილნი! ეს იყო ერის აბუჩად აგდება, როდესაც „ნაცები“ ფეოდალებივით ურიგდებოდნენ უმრავლესობას რამდენი ხმა სჭირდებოდა.

მე უპირობოდ ვუჭერ მხარს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, როგორც საქართველოს გადამრჩენელს, მაგრამ ის, რომ შეცდომებს უშვებენ მის გარშემო მყოფი ადამიანები, ეს უდავოა!

**— თქვენ თვლით, რომ თუ არა ეს გადაწყვეტილება, სააკაშვილი მთავრობას დაითხოვდა?**

— სრულიად შესაძლებელია და ამას განახორციელებდა კიდეც კონსტიტუციით 1 აპრილიდან. ეს ადამიანი ხშირად არის შეურაცხადი, ამიტომ მისი განცხადებები ყოველთვის რაციონალურად არ უნდა გავიგოთ.

მან ფსიქოლოგიურად ვერ შეძლო მოეწერა ხელი ივანიშვილისათვის მოქალაქეობის მინიჭებაზე, ამიტომ შეცვალეს კონსტიტუცია და ***დღეს ქვეყანას მართავს ქართველი ივანიშვილი — საფრანგეთის მოქალაქე! რატომ? იმიტომ რომ, მის ქვეყანას „იდიოტი ბავშვი“ ჰყავს პრეზიდენტად.*** ევროკავშირის კანონებით, საფრანგეთის კონსტიტუციით ის ფრანგია! რომელი ქვეყნის მოქალაქეც არის, იმ ერის წარმომადგენელია! რატომ? — იმიტომ რომ, სააკაშვილმა ისურვა ასე! დღეს ჩვენ გვყავს ფრანგი პრემიერ-მინისტრი!

**— რა მოხდება ამის შემდეგ, კიდევ დაშლის პრეზიდენტი პარლამენტს?**

— თუ მოინდომებს შეუძლია, დაშალოს არა მხოლოდ აპრილის თვეში, არამედ ნებისმიერ თვეში ოქტომბრამდე, თუმცა, ახლა უკვე „ბომბზე სხედან“. ***ის 53 კაცი, რომელიც ნაციონალების კვოტით არიან პარლამენტში, რადგანაც თავი რომ მოიკლას მერაბიშვილმა, ძველი კონტაქტებითა და „ობშიაკში“ დარჩენილი ფულით, ასევე უცხოეთიდან ადეიშვილიც რომ ჩაერთოს სიტუაციაში, მათ არანაირი ადმინისტრაციული რესურსი არ გააჩნიათ.*** ამიტომ არ იყო გასაკვირი ის, როდესაც დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ თუ ამ ახალ ფორმატში პრეზიდენტი დაშლის პარლამენტს, მე მათ რიგებში აღარ დავრჩებიო. ეს საგულისხმო ფაქტი გახლდათ.

**— დღევანდელი გადასახედიდან უკვე კარგად ჩანს, რატომ დაგეგმეს „ნაცებმა“ აქცია 19 აპრილს, ცხადია ეს იყო ის პერიოდი, როდესაც სააკაშვილს პარლამენტის დაშლა ჰქონდა ჩაფიქრებული?**



— ცხადია ასე იყო, სამწუხაროდ, გეგმები ჩაეშალათ, და თუ ის ამ სიგიჟეს მაინც ჩაიდენს, მას მხარს არც ერთი „ნაცი“ პარლამენტარი აღარ დაუჭერს მხარს, ისეთიც კი, როგორიც აკაკი ბობოხიძეა. საინტერესო იყო მისი ბოლო გამოსვლა, როცა განაცხადა, რომ ის არც სააკაშვილს უჭერს მხარს და არც ივანიშვილს და მოიქცევა ისე, როგორც ხალხს სურს — ეს „დიდი პოლიტიკოსის“ აზრია!

ერთი რამ მინდა დავამატო, კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დაშვებულმა შეცდომებმა მისცეს უფლება სააკაშვილს და მის თანამზრახველებს, ყველას ესმოდეს, რომ უმცირესობის ყველა წარმომადგენელი არის სახელმწიფო დამნაშავე, ვინაიდან პარლამენტარის ფიცის გამტეხნი არიან. მათ მისცეს საშუალება პრეზიდენტს თავისი ვირტუალური პიარი ჩაეტარებინა, რამაც საზოგადოების ნაწილზე გარკვეული გავლენა მოახდინა.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

---

## პოლიტიკური ლექსიკონი

# რეალპოლიტიკა

რეალპოლიტიკა ძალიან მოკლედ შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც პრაგმატული ქმედებების ერთობლიობა, რომელსაც ზურგს უმაგრებს საჭიროებები, ინტერესები და მათი დაცვისა და განხორციელების ძალა. რეალპოლიტიკის ცალსახა გამოხატულებაა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრ ლორდ პალმერსტონის სიტყვები: "ინლგისს არ ჰყავს მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები!". რას ნიშნავს ეს? რეალპოლიტიკა წინასწარი ფასეულობებისა და ღირებულებებისაგან თითქმის სრულადაა დაცლილი, განსაკუთრებით საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებისას. საერთოდაც რეალპოლიტიკის როგორც შიდა პოლიტიკური საკითხების ფაქტორი ნაკლებად მოქმედი და განხილვადია, მას უფრო საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესების აღსანიშნავად გამოყენებენ, რომელიც თავის მხრივ ზემოქმედებს, რომელიმე ქვეყნის შინაგან საქმეებზეც (და ეს ასე ბუნებრივად ხდება კიდეც).



რეალპოლიტიკის პროცესში ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს ძალა, რომელიც ურთიერთობების წარმოებისას თითქმის ან საერთოდ არ ჩანს, მაგრამ მისი არსებობა ყველამ იცის. ძალაში უპირატესად მოიაზრება სამხედრო პოტენციალი, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ სამხედრო პოტენციალი საკუთარი ინტერესების დაცვისათვის საკმარისი არაა, აქ აუცილებელია გავითვალისწინოთ მოკავშირის, კოალიციის ფაქტორები და ამასთან ზოგადად რესურსების და მისი ხელწვდომა. ყოველივესადმი მაღალი ან შედარებით მაღალი ხელწვდომისა და ფლობის შემთხვევაში სახელმწიფოები სხვა სახელმწიფოებთან მიმართებით ბევრად უფრო ღია და შესაძლოა ზეწოლის მომხდენ პოლიტიკას აწარმოებდეს, ან უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სხვა სახელმწფოებს აღარ რჩებათ სხვა არჩევანი, თუ არა ის, რომ დაემორჩილონ იმ საერთაშორისო პოლიტკური აქტორის მითითებებს, რომელიც ყველაზე ძლიერია.

ამის განსაკუთრებით ნათელი მაგალითია ბიპოლარული სამყარო ცივი ომის პერიდში, სადაც მოქმედებდა ან სოაციალისტური ან დასავლური ინტერესები. მსოფლიო პრაქტიკულად ორად იყო გაყოფილი. სოციალისტურ ბანაკს თამაშის წესებს საბჭოთა კავშირი, ხოლო დასავლურ ბანაკს უმეტესად აშშ ჰკარნახობდა. საწყის ეტაპზე ორივე მხარე მოქმედებდა თავისი ინტერესებსამებრ, რაციონალურად და პრაგმატულად, თუმცა მოგვიანებით საბჭოთა ქმედებებში არაერთი არარაციონალური ელემენტი გაჩნდა და თანდათან იმატა, რამაც კიდეც განაპირობა მისი გამოფიტვა. დასავლური ბანაკი კი მოქმედებდა მკაცრად განსაზღვრული მიზნით და ქმედებებით, რომელიც რესურსებისა და ძალის რაციონალური გამოყენებისაკენ იყო მიმართული.

თანამედროვე პოლიტიკა რაციონალურ-პრაგმატული გამოწვევებისაგან შედგება. შესაბამისად სახელმწიფოები მოქმედებენ არა სურვილებისამებრ, არამედ შესაძლებლობებისამებრ, ანუ იმის და მიხედვით თუ რამდენად შესწევთ მათ ძალა, რომ თავიანთი ინტერესები გაიტანონ საერთაშორისო მასშტაბით ან/და აწარმოონ ისინი ისე, რომ მოხდეს მაქსიმალურად მცირე დაწოლა სხვა აქტორების მხრიდან. ასე რომ როდესაც საუბარია იმაზე თუ რატომ დგამს ესა თუ ის ქვეყანა ამა თუ იმ ნაბიჯს, რომელიც შეიძლება ერთი შეხედვით სწორი არ იყოს, ყოველთვის უნდა დაისვას კითხვა: ვინ არის მთავარი აქტორის გარდა ამ ნაბიჯის განხორციელების მომხრე და დაინტერესებული? თუ ამ ნაბიჯს არ გადადგამდა ესა თუ ის სახელმწიფო, ვინ დაზარალდებოდა ამით ყველაზე მეტად? ამის შემდეგ ცალსახად ნათელი გახდება, რომ ქვეყნები მოქმედებენ არა მხოლოდ სურვილებითა და მისწრაფებებით, რომელიც შესაძლოა ხალხის მიერაც კი იყოს მხარდაჭერილი, არამედ საერთაშორისო აქტორთა გავლენებითაც. ეს კი ნიშნავს, იმას, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს ქმედება შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით (კონკრეტული ქვეყნების კონკრეტული საზოგადოების აზრით) ყოველთვის ღირსეულად შეიძლება არ შეფასდეს. ხოლო ვისაც სურს რომ თავად გახდეს გავლენიანი, ყოველთვის ცდილობს მოიპოვოს მეტი რესურსი და ჰქონდეს ძალა, როგორც რეალპოლიტიკის უმთავრესი საყრდენი.

**გიორგი კობერიძე**

# რას გადაურჩა საქართველო?



**რომან ფინმა - მწერალმა და მეცნიერმა, რუსეთის, კანადისა და საქართველოს მოქალაქემ, საბჭოთა ხანის დისიდენტმა და პოლიტპატიმარმა, საბჭოთა კავშირის (შემდგომ – რუსეთის) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემსწავლელი კანადის ინსტიტუტის დამაარსებელმა და პირველმა დირექტორმა, საკუთარი წიგნის „გადარჩენილი საქართველოს" მიხედვით ცნობილ პროფესორთან ნანი ჭანიშვილთან ერთად მოამზადა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე საქართველოს დიდი უბედურებისა და ქაოსისგან გადამრჩენთათვის: „ნობელის პრემიის" მისანიჭებელი წარდგინება, რომელიც ოსლოში 2013 წლის წლის 31 იანვარს განსახილველად იქნა მიღებული.**

**ამ დღეებში ქართველი მკითხველი მიიღებს რომან ფინის წიგნის „გადარჩენილი საქართველო" ქართულ თარგმანს.**

## რომან ფინი: გმირები, რომლებმაც საქართველო სააკაშვილის რეჟიმისგან იხსნეს, ნობელის პრემიას იმსახურებენ!



**— ბატონო რომან, ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული წიგნებში - „გადარჩენილი საქართველო" და „წერილები რუსეთისადმი" წერთ, რომ თქვენს ადრინდელ წიგნებში „ტანჯული საქართველო" და „წერილები საქართველოდან" აღწერილი საქართველოს ტრაგედია კვლავ გრძელდება, და რომ თქვენ კვლავინდებურად საქართველოს გვერდით ხართ. თუ ტრაგედია გრძელდება, გადარჩენილები როგორ ვართ?**

— წიგნში აღწერილია, თუ რამ გამოიწვია ხელისუფლების შეცვლა საქართველოში 2012 წლის ოქტომბერში და რატომ იყო ეს სასიკეთო მოვლენა ქვეყნისა და კაცობრიობისთვის, და რატომ არიან უმაღლესი მსოფლიო ჯილდოს „ნობელის პრემიის" ღირსნი მისი განმახორციელებლები.

ახსნილი მაქვს, რამ გამოიწვია საქართველოსთვის წარმოუდგენელი, დაუჯერებელი, უჩვეულო, მოულოდნელი - (თუმცა არა ყველგან, მაგრამ, ზოგადად), თითქმის ციდან ჩამოვარდნილი „წესიერი და პატიოსანი" არჩევნები, რაც ჩაიდინეს გმირებმა და არა სააკაშვილმა, რომელიც ამ გმირობის მითვისებას ამაოდ ცდილობდა. როგორ შეიძლება სინდისისა და ღირსების გრძნობას მოკლებული ადამიანების პატიოსნებაზე ლაპარაკი? ეს არა მარტო ყურს ჭრის, სიმართლეც წარყვნილია. ვამტკიცებ, აიძულეს პატიოსნად მოქცეულიყვნენ. შეაკავეს მათი არამზადობა და საქართველოში წმინდა ბიძინას დღეს, პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის წლისთავზე 2012 წლის 1 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა და მისმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ" საპარლამენტო არჩევნები მოუგო ავბედითი თვისებების ადამიანებს.

ნობელის პრემიაზე წარდგენა შეეხება 2012 წლის 2 ოქტომბრის ისტორიულ თარიღს, გამარჯვებით დაგვირგვინებულ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მომდევნო დღეს. ძველი დამანგრეველი, კრიმინალური, არაადამიანური რეჟიმი აღიგავა პირისაგან მიწისა; დამნაშავე მმართველებს ძალაუფლება წაერთვათ, ამიტომ საქართველო გადარჩენილია ნობელისეულად ღირსეულად, მშვიდობიანად, ძალადობის, სისხლისღვრის გარეშე. თუმცა მას შემდეგაც ბევრი ურთიერთმოწინააღმდეგე ძალა წეწავს ქვეყანას. ძველი ხელისუფლება, რომელიც თითქოს თვალის დახამხამებაში გაქრა, სინამდვილეში დარჩა პრეზიდენტისა და პარლამენტში წარმოდგენილი მისი მომხრეების სახით. ეს ადამიანები დიდ სიმდიდრეს ფლობენ, საზღვარგარეთის სოლიდური მხარდაჭერა აქვთ და დაკარგული პოზიციების დაბრუნებისთვის უკან არაფერზე დაიხევენ, ხოლო ახალი ხელისუფლება აყოვნებს იმ აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას, რაც მას მკვეთრად გამიჯნავ-და წარსულისაგან. საქართველო ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე თავდახსნილი. ის კვლავ საფრთხეშია. ამ მხრივ, წიგნის სათაური „გადარჩენილი საქართველო", თითქოს მართლა ეწინააღმდეგება სინამდვილეს, მაგრამ აქ მხოლოდ სანობელო ნაწილია წარმოდგენილი, მხოლოდ ის მასალა, რაც ახალი მთავრობის შექმნამდე არსებულ პერიოდს შეეხება. როგორ მოქმედებს ახალი ხელისუფლება, ეს ფრიად მტკივნეული საკითხია და მისი განხილვა კი არა, ამ ნაშრომის მიზანია იმის ჩვენება, რომ ამ ადამიანების წყალობით ქვეყანაში ისტორიის ჩარხი შემობრუნდა, სიმართლემ თავი დააღწია ტყვეობას. გაბედული, გამორჩეული – ადამიანების განსაკუთრებული დამსახურების აღიარებაა უმაღლეს ჯილდოზე წარდგენა. ეს ჯილდო ეკუთვნის საქართველოს, მის ხალხს და თავისთავად ნიშნავს ჯილდოს – ხალხისგან, ქვეყნისგან, სამშობლოსგან, რომლის ბედი სწორედ მათ გადაწყვიტეს, რადგან უზრუნველყვეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკრანებზე გაჩენილიყო ნიუსები იმის შესახებ, თუ რა მხეცურად აწამებდნენ, სცემდნენ, აბუჩად იგდებდნენ, აუპატიურებდნენ მამაკაცებს ცოცხისა და ხელკეტების გამოყენებით, დასცინოდნენ სულით ავადმყოფებს საქართველოს ციხეებში;

**— ანუ, წიგნში მხოლოდ არჩევნების პერიოდში განვითარებულ მოვლენებზეა საუბარი?**

— დიახ, ნობელის პრემიაზე წარდგენის შესახებ ვსაუბრობ ქვეყნის ბედის არჩევნებით შეცვლის ერთადერთ კონტექსტში.

**საქართველოში, სადაც რამდენიმე ასეული პარტია და ორგანიზაციაა, პრაქტიკულად, მხოლოდ „ობიექტივის" ჯგუფმა განახორციელა ბრწყინვალე ჟურნალისტური გამოძიებაზე ბევრად მეტი — ფანტასტიური საბრძოლო ოპერაცია და ფარდა ახადეს შემზარავ საიდუმლოს, მეტიც, ამ ჯგუფის გარდა ვერავინ შეძლო კავშირი დაემყარებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკებთან, საქართველოს ნამდვილ პატრიოტებთან, რომლებიც არ იზიარებდნენ ქვეყნის მმართველთა უკანონო საქმიანობას. მათგან ფასდაუდებელი დახმარება მოდიოდა. „წინააღმდეგობის მოძრაობის" წევრების გარდა არავინ აღმოჩნდა, ამგვარი სამუშაო ჩაეტარებინათ.**

ამჟამად იქმნება ნამდვილი პოლიტიკური სახალხო ძალა, პარტია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" - ქართველი ხალხის დასაყრდენი ძალა.

მთელ საქართველოს ჰქონდა გაცნობიერებული, მაგრამ უძლური იყო ქვეყანაში არსებული სამთავრობო უგნურების წინააღმდეგ, რადგან მთელი მსოფლიოსთვის სიმართლის დასანახებლად საჭირო იყო კადრები, რომელიც აჩვენებდა სისტემის რეალურ სახეს. ეს არ იყო იოლი გასაკეთებელი, მაგრამ შეძლეს და გადაღებულ იქნა კადრები ციხეებში, სადაც ცალკეული კერძო შემთხვევები კი არა, პატიმრებისგან ფულის გამოძალვისა სისტემაა ნაჩვენები, რომელიც ზ. ადეიშვილმა და ბ. ახალაიამ შექმნეს და რომლითაც ამაყობდა სააკაშვილი, რომლის „პოლიტიკური სიკვდილისკენ" მიმავალი რამდენიმეწლიანი გრძელი გზა გაიარეს და ტიტანური შრომა გასწიეს ჩვენმა გმირებმა არა მარტო საქართველოში: კონტაქტები დაამყარეს მრავალ ევროპულ სტრუქტურასთან და გადასცეს 150-ზე მეტი საქმე, დოკუმენტებიანი საქაღალდეები საქართველოს ხელმძღვანელობის, სამთავრობო დაწესებულებების დანაშაულებრივ ქმედებებზე, ადამიანის უფლებათა დარღვევაზე, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ციხეებში პატიმართა მძიმე მდგომარეობაზე



**ამასთან, ცხადია, რომ ყველაფერი უდიდეს რისკთან და ხიფათიდან იყო დაკავშირებული, მათი მხრიდან მცირედი დაუდევრობა და ვერც ერთი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა, მსოფლიო ვერასდროს შეიტყობდა სიმართლეს, აი, რატომ არიან ნობელის პრემიის ლაურეატობის ღირსნი, მაგრამ მათ შორის ბიძინა ივანიშვილი უპირველესია, რადგან ჩვენი გმირები მის გარეშე, მის მიერ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ფონის გარეშე ვერაფერს მიაღწევდნენ და ეს კადრები ისევე დარჩებოდა მსოფლიო ყურადღების გარეშე, როგორც თავად მოვლენები.**

სააკაშვილი და მისი პატრონები ძალზე დიდი სახსრებს იყენებდნენ და მოახერხეს, მოეტყუებინათ მსოფლიო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ამერიკული დანაშაულით კიდევ უფრო ფართო დანაშაულის შიგნით, მხედველობაში მაქვს მსოფლიოს დანაწილება ამერიკასა და რუსეთს შორის. ამ შემთხვევაში ეს გამოვლინდა საქართველოს დანაწილებით: ერთი ნაწილი ამერიკის პოლიტიკურ ბატონობას დაექვემდებარა მეორე - ტერიტორიული თვალსაზრისით – რუსეთს.




**16 სექტემბერი მნიშვნელოვანი ისტორიული დღეა.** იმ დროს, როცა მმართველი ნაციონალური პარტია გაცხარებული ემზადებოდა ბრძოლისთვის საპარლამენტო გვირგვინის მოსაპოვებლად, საქართველოს წარმომადგენელი ევროკავშირში სალომე სამადაშვილი გამოძახებული იქნა ევროკავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან. იქ მას განუცხადეს, რომ მოიპოვებოდა საკმარისი **მასალა** საქართველოში არსებული რეჟიმის დელეგიტიმაციისთვის.

და სააკაშვილის ტელეფონი აწკრიალდა, მისი უშუალო ვაშინგტონელი მმართველობისგან იყო ეს ზარი. მან გაიგონა დაუჯერებელი, წარმოუდგენელი, შეუძლებელი რამ, მსგავსი არ უნდა მომხდარიყო და მაინც, მას გარკვევით უთხრეს უმთავრესი სიტყვები: „არსებობს უდავო დამამტკიცებელი საბუთები თქვენს ციხეებში პატიმართა წამებისა და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობისა. თქვენმა სისტემამ კრახი განიცადა". შემდეგ დაუმატეს: „არჩევნები უნდა ჩატარდეს უაღრესად პატიოსნად, ღიად, გამჭვირვალედ, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქართველი ხალხის ნების თავისუფლად გამოხატვა". ამან გადაწყვიტა ყველაფერი, არჩევნების ბედიც. იმ ერთმა ზარმა ერთ წამში გააუქმა და შემუსრა სააკაშვილის მთელი რეჟიმი, სისტემა.

**— ბატონო რომან, რა მოხდებოა, რის გაკეთებას შეძლებდა ქვეყნის ოპოზიციური ძალა, ის ვიდეოკადრები რომ არა?**

— სახალხო ძალა დიდი იყო, მმართველთა რეიტინგი – დაბალი. არჩევნები თუ პატიოსნად ჩატარდებოდა, „ქართული ოცნება" უეჭველად გაიმარჯვებდა, თუმცა არ იქნებოდა იმდენი ახალგაზრდობა და ისინი, ვინც კოალიციას 18 სექტემბერის შემდეგ მიემხრო. მაგრამ არჩევნების პატიოსნად ჩატარების იმედი არ უნდა გვქონოდა. მმართველებს ფართო სამზადისი ჰქონდათ, კვლავ ხელთ ეგდოთ ძალაუფლება. მათ ხომ ეხერხებოდათ ამისთანა ამოცანის გადაჭრა. ისინი ხალხთან საშინელ ანგარიშსწორებას აპირებდნენ, რითაც ქვეყანა დამღუპველ მორევში ჩათრეული აღმოჩნდებოდა. არც ხალხი არც ხელისუფლება უკან არ დაიხევდა.

**— რა შეიძლებოდა მომხდარიყო, სააკაშვილს ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება ძალადობის გზით რომ მიესაკუთრებინა?**

— ხალხი ამხედრდებოდა. მაგრამ ძველი „ახლადარჩეული" „კანონიერი" ხელისუფლება თავს დაიცავდა, რადგან საშიშროებას თვალს ვერ უსწორებდნენ „ქართულ ოცნებაში", ხოლო ჯერ კიდევ საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერილ სააკაშვილს უკვე მომზადებული ჰქონდა გეგმა და საკუთარ ნამდვილ მოწინააღმდეგეზე, ანუ მთელი ხალხზე იყრიდა ჯავრს... **და ახალი სისხლისმღვრელი შეტაკება, ხოცვა-ჟლეტა, სამოქალაქო ომი გარდაუვალი იყო.** სწორედ ამას გადაარჩინეს მამაცმა ადამიანებმა საქართველო.

ამიტომ სრულიად ობიექტურია ჩვენი წარდგინება. დროულიც, რადგან აშკარად მიდის ბრძოლა ივანიშვილის სახელის შესაბღალად, არა იმიტომ, რომ მან და მისმა გუნდმა ეკონომიკური დაპირებები ვერ შეასრულა, არამედ იმიტომ, რომ ის ცდილობს უმთავრეს დაპირებას გადაუხვიოს და აღადგინოს სამართლიანობა!

**ქეთი ჩემია**

# გაიმართება თუ არა ქართული „ნიურნბერგის“ პროცესი“ და გასამართლდებიან თუ არა ქართველი „რეიხსფიურერები“

*ამა წლის 19 მარტს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდ დარბაზში, როგორც ამბობენ ხოლმე, ნემსი არ ჩავარდებოდა, ფეხზე დასადგომი ადგილიც არ იყო, რის გამოც თეატრის ადმინისტრაცია იძულებული გახდა დარბაზში შემავალი კარები გაეღო, რათა თეატრის ფოიეში მყოფ სტუმრებსაც შეძლებოდათ შეხვედრისთვის თვალყურის დევნება. საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ რიგით მეორე შეხვედრას მართავდა საზოგადოების წარმომადგენლებთან. ღონისძიებას, ბატონ რეზო ამაშუკელთან ერთად უძღვებოდა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ კიკნაძე. შეკრება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს მიერ დაწერილი ბრწყინვალე ნაწარმოებით „ერეკლე ბრძოლის წინ“ დაიწყო. დარბაზი ფეხზე იდგა. საღამო ბატონმა რეზო ამაშუკელმა გახსნა.*

*შეხვედრაზე წინა ხელისუფლების მიერ „ჩარეცხილ ინტელიგენციას“ პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ბუნებაში არარსებული ორგანიზაციის „აგენტად“ შერაცხულმა ვახტანგ მაისაიამ პოლიტპატიმრების ხმა შეუერთა, მან დამსწრე საზოგადოებას ბოდიში მოუხადა მეტყველების დეფექტის გამო, რომელიც წამებამ დააჩინა კვალად. საკუთარი განწყობისა თუ პროტესტის გამომთქმელთა რიგებში იყვნენ: ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი მამა თეოდორე; ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი; დემოგრაფი, პროფესორი ანზორ თოთაძე; სამაჩაბლოდან დევნილთა სახელით „ქართულ-ოსური მისიის“ ხელმძღვანელი მარინე კაჟაშვილი; ლექსო კობაიძე, საზოგადოება „ლაზარეს“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი; ზაზა დავითაია, ყოფილი პოლიტპატიმარი, ჟურნალისტი, მოძრაობა „ლაზარეს“ დარბაზის წევრი; იურისტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, მოძრაობა „ლაზარეს“ საზოგადოებრივი დარბაზის წევრი.*

*გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა მათგანის გამოხატული წუხილის გადმოცემა, ამდენად, გთავაზობთ მცირე ამონარიდებს, რათა მკითხველისთვის შესაძლებელი გახდეს ზოგადი აზრის გამოტანა.*

**რეზო ამაშუკელი:** — ბატონებო და ქალბატონებო! კარგი დღის გამო არ ვართ აქ ჩვენ შეკრებილნი... კარგად რომ იყოს საქმე, ჩვენ, აქ, დღეს ერთად არ ვიქნებოდით და თუ ვიქნებოდით, სხვა განწყობა იქნებოდა... მე ბევრს არ ვილაპარაკებ. არავისთან არაფერი მოსარიდებელი ჩვენ არ გვაქვს, მივხედოთ ჩვენს ქვეყანას! ხვალ შენთან მოვდივართო — ჩემთან არავინ არ მოდის, ჩვენ მივდივართ ერთმანეთთან და მივდივართ ჩვენს სამშობლოსთან და თუ გტკივა შენი სამშობლო და თუ კაცები ვართ ჩვენ და ვართ იმ ისტორიის პატრონნი, რასაც აქ ვლაპარაკობთ, არ ჩავაფურთხებინოთ სულში არავის! არავის!.. მაქსიმალურად ვეცდები, რომ ეთიკური ნორმები დავიცვა, მაგრამ ამათთან სხვანაირი



ლაპარაკი არ გამოდის. ყველაფერზე ვილაპარაკებთ დღეს ჩვენ, მაგრამ პირველი მოთხოვნა — მე არ ვამბობ, რომ ქვედა ფენები დაისაჯონ, მაგრამ „რეიხსფიურერები“, აი, ეს მონსტრები, რომლებმაც მოინდომეს ქართველების გადაკეთება, ქართველობის წაშლა, ჩვენი ისტორიის, ჩვენი კაცობის, ჩვენი ზრდილობის, ჩვენი ადათ-წესების — ამას ისე უყურებენ, ჰაიჰარად, არ ვაპატიოთ, არავითარ შემთხვევაში არ ვაპატიოთ! ის რამდენიმე „რეიხსფიურერი“ უნდა დაისაჯოს და თუ ამას ეს ხელისუფლება ვერ მოახერხებს, ნურავის ეწყინება, მე ან შევეწირები ამ სახელს, ან ყველა იმ ადამიანს, რომელიც ქვეყნის გაუბედურებას ცდილობდა დავაჯენ იმ სკამზე, სადაც ღირსნი არიან — უნდა დაისაჯონ!... დიდი მადლობა მობრძანებისთვის!“

**ელბერტ ბატიაშვილი, პროფესორი:** — „ხშირად ჩავდივარ სოფელში და ხალხის პირველი შეკითხვაა, სად არის დაპირებული სამართლიანობა — ეს მოლოდინია ხალხში! დასავლე-



თის ე.წ კოჰაბიტისტური მოწოდები — ყველაფრის თანაცხოვრება შეიძლება, მაგრამ ბოროტებისა და სიკეთის თანაცხოვრება არ შეიძლება; რატომ თქვა სულმნათმა: „ბოროტსა სძლია კეთილმან“... კონსტანტინე მამის მკვლელი სამაგალითოდ დასაჯეს კახელებმა, ალაზნის ველზე ატარეს შუბზე აგებული მისი თავი, არ აპატიეს ის, რაც არ ეკადრება ქართველ კაცს — მას შემდეგ არც მომხდარა მსგავსი რამ. მე ამისკენ არ მოვუწოდებ არავის, მაგრამ „სამართალმა პური ჭამა“ — ეს უნდა შესრულდეს. როგორც დიდი ილია ამბობდა: „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა — მხოლოდ ტკბილი სიზმარია...“

**ნანა კაკაბაძე, „ყოფილი პოლიტპატიმრები პატიმართა უფლებებისთვის“ თავმჯდომარე:** — „მე მინდა გამოვეხმაურო ბატონ რეზოს გამოსვლას, რომ საჭიროა, ყველამ აგოს პასუხი. მე ამას ვეთანხმები, მაგრამ ჩვენი ერთადერთი მიზანი არ არის მხოლოდ პასუხისგება, ჩვენი მთავარი მიზანია აღსდგეს სამართლიანობა — ამ ყველაფერს სჭირდება მექანიზმები. ჩვენ ვამბობთ, რომ გვინდა, მაგრამ ხელისუფლება ვერ თუ არ ახერ-



ხებს იმას, რომ სამართლიანობა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს და ქართველმა ხალხმა იგრძნოს, რომ მათ გაიმარჯვეს 1 ოქტომბერს. ჩვენ მოვიფიქრეთ, როგორ უნდა მოხდეს სამართლიანობის აღდგენა და ამ მიზნით 14 აპრილს 14 საათზე სპორტის სასახლეში დავგეგმეთ ფართო შეხვედრა. საბჭოთა პერიოდში ქართველი ხალხისთვის გამარჯვების ყველაზე ნათელი დღე იყო 14 აპრილი, როდესაც საბჭოთა იმპერიას სძლია და გაიმარჯვა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 2013 წლის 14 აპრილსაც გავიმარჯვებთ მეორე, კიდევ უფრო საშიშ და სერიოზულ მტერთან, ისეთთან, როგორიც იყო „ნაციონალური მოძრაობა“. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ რაღაცნაირი ზეწოლა მოვახდინოთ ხელისუფლებაზე — დაუყოვნებლივ შექმნას პარლამენტმა კომისია, რომელიც მისცემს პოლიტიკურ, იურიდიულ და მორალურ შეფასებას 9-წლიან, სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდს. ყველა ადამიანს, ვისაც მიაჩნია, რომ ეს რეჟიმი უნდა გასამრთლდეს, ვეპატიჟებით.

**ალეკო ცინცაძე, პროფესორი, მოძრაობა „ლაზარეს“ თავმჯდომარის მოადგილე:** ბოლო ათი წლის განმავლობაში განსაკუთრებული შეტევის ობიექტი იყო ჩვენი სარწმუნოება, განათლება, მეცნიერება, ჩვენი საინფორმაციო სივრცე. თქვენ გახსოვთ, როგორი ბრძოლა იყო, ერთის მხრივ გარედან მხარდაჭერილი ლიბერალური შეხედულებები და მეორე მხრივ, აქ კლანურ-მერკანტილური ინტერესებით გამზადებული ადამიანთა შემადგენლობა. სწორედ ამ პოზიციების თანხვედრამ გამოიწვია ის, რაც ვთქვათ, განათლების სისტემაში მიმდინარეობს — თქვენ კარგად იცით.



გასამართლება და „ნიურნბერგის პროცესი“ უნდა მოხდეს სამაგალითოდ არა მხოლოდ იმიტომ, ბატონებო, რომ სამართლიანობა უნდა აღსდგეს, არამედ, უპირველესად იმიტომ, რომ მაგალითად იქცეს მომავალი თაობებისთვის, რა შეიძლება მოუვიდეს მას, ვინც შეჰბედავს ეროვნულ, ტრადიციულ ღირებულებებს.

**კახა კახიშვილი, არჩევნებისა და პოლიტტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი:** მე მივმართავ საქართველოს მთავრობას, იმ ადამიანს, რომლის მიმართაც მე, პირადად, მაქვს ნდობა, რომ გადახედოს იმ ხალხს, გადახედოს იმ პრობლემას რაც რეალურადაა. მე მესმის ძალიან კარგად, რომ რომ ხდება საბნის გადაქაჩვები, შიდა პარტიული



ინტერესების ბრძოლა და პრემიერისთვის იმგვარად ფორმირება, რომ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ ყველაფერი კარგად არ არის, არადა, კარგად უნდა იყოს, იმიტომ, რომ ამ ადამიანს ავანსად ძალიან დიდი ნდობა გამოუცხადა საქართველოს მოსახლეობამ. ამ ნდობას სჭირდება გამართლება და რომ გაამართლოს, ამისთვის ხალხთან კონტაქტია საჭირო.

სამართლიანობის აღდგენა არ ნიშნავს მაინც და მაინც ვიღაცის ციხეში ჩასმას, მაგრამ ნიშნავს კანონის უზენაესობას. ამიტომ, რაც უფრო მალე აღადგენს ხელისუფლება ხალხთან კონტაქტს, რაც უფრო მალე მიხვდებიან, რომ ხალხი მხოლოდ „ამომრჩეველი“ არ არის, მით უფრო მალე დალაგდება მდგომარეობა ქვეყანაში.“

**დიმა ჯაიანი, მსახიობი:** — „რომ არა თქვენი ერთად ყოფნა,



ბატონებო და ქალბატონებო, დღეს ამ სცენაზე ბატონი რეზო არ იქნებოდა...

ცხრა წელი ჩვენ, ესენი, არ უნდა მოგვეთმინა! დღესაც, სამწუხაროდ, ისინი ყელყელაობენ. დღეს აკო მინაშვილი, გოკა გაბაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი — პარლამენტში ხმის ამოღებას ვერ უნდა ბედავდნენ!.. მე არავის წინააღმდეგ არ გამოვდივარ, მე ვამბობ სიმართლეს... გავბედავ და ვამბობ: თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, მე, აუცილებლად, ღამღამობით რომ არ მძინავს, იმ სოხუმში გავათენებ!“

**თემო გოცაძე, მხატვარი:** — „კრიტიკულად საუბარს მათ მიმართ დღეს ცოტათი ვერიდებით, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას — რა ვქნათ, დაველო-



დოთ პროცედურას, რა პროცედურითაც პროკურატურა იხილავს საქმეებს ნელა-ნელა, დინჯად, წყნარად თუ რაღაც დიდი საერო ქმედებით მოვითხოვოთ ამ ყველაფრის დაჩქარება. (დავაჩქაროთ! დავაჩქაროთ! — აგუგუნდა დარბაზი) დაჩქარებას მხოლოდ სურვილი არ ჰყოფნის, დაჩქარებას უნდა ძალიან დიდი სახალხო მოძრაობა. ეს მოძრაობა, რამდენადაც მე ვხედავ, დაწყებულია.“

**დავით მხეიძე, ჟურნალისტი, მოძრაობა „ლაზარეს“ დარბაზის წევრი:** — „ულრმესი პატივისცემის მიუხედავად ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი, მე ვერ მივიღებ იმას, რომ, თურმე, ამა-



თი სახე უნდა გადავარჩინოთ, კუბლაშვილები არიან ინტელექტუალები, ევროპას უნდა დავანახოთ, რომ ცივილიზებული ხალხი ვართ — რომელ ევროპას ხალხო!

ბატონ ბიძინასთან მაქვს, უპირველესად საქმე იმიტომ, რომ ვინც მისი ლოკომოტივობით შევიდა პარლამენტში, ძალიან კარგად ვიცით ჩვენ, ეგენი დიდი ხანია პოლიტიკურ მორგში იყვნენ და ბალზამირებაღა აკლდათ, ამიტომ, მე მათ ვერაფერზე მოვთხოვ პასუხს. ბიძინა ივანიშვილია მთავარი შემოქმედი 1 ოქტომბრის გადაწყვეტისა და მასთან მაქვს საქმე ამ შემთხვევაში, რომ არ სრულდება მთავარი, პური და ყველი კი არა, სამართლიანობის აღდგენა რომ არ მოხდა ჯერჯერობით და პირიც რომ არ უჩანს ამის გადაწყვეტას, კითხვა მაქვს, როდემდე, ბატონო ბიძინა, როდემდე?!

ჩვენ ერთი რამ დაგვავიწყდა ხალხო, ესენი იმიტომ არიან, ბოდიში მომითხოვია, „გაბლატავებულები“, რომ დავივიწყეთ მთავარი – ცოცხები დაგვავიწყდა! ამათ სხვანაირად არ უნდა ელაპარაკო, რაღაცას რომ იტყვიან, ცოცხი უნდა დაანახო, სხვა ენა ამათ არ ესმით!

ბატონმა ბიძინამ რომ შვიდგვერდიანი წერილი გააგზავნა, რა შედეგი გამოიღო, უარესი მოგვწერეს. ბატონი ბიძინას ადგილზე რომ ვყოფილიყავი, პატარა ცოცხები რომ არის, იმას გავუგზავნიდი.

**ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი:** – „სამოქალაქო საზოგადოება არ გვჭირდება ჩვენ. ჩვენ გვჭირდება მამულიშვილთა საზოგადოება, იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოების მოშველიებით დღეს



ამერიკა ცდილობს საქართველოს გადაგვარებას, გარყვნას და გაფუჭებას, 2000-ზე მეტი არასამთავრობო, ანუ სამოქალაქო საზოგადოება შექმნეს, რომლებიც ფულის გამო ემსახურებიან უცხო ქვეყნებს – ესენი არიან საქართველოს მტრები. (არის რამდენიმე მართლაც ეროვნული საზოგადოება, რომლებიც იცავენ ქართულ ღირებულებებს და ფასეულობებს) წლებია გავიძახი, რომ საქართველოში ხდება ქართველი ერის მიზანმიმართული გენოციდი. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ სააკაშვილი მართლა ქუთაისზე ფიქრობს, მისი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და იმიტომ გადაიტანა პარლამენტი – ეს ნიშნავს დეცენტრალიზაციას, სახელმწიფოს დაშლას.

რამდენიმე მიზეზი, რატომ მისცა ქართველმა ხალხმა ხმა 1 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“: ერთი, ქართველი ხალხი ვერ იტანს ზეწოლას, ქართველ ხალხს უყვარს თავისუფლება; მეორე, ქართველი ხალხი ისტორიულად ნადგურდება; მესამე, არავითარი სოციალური პრობლემები, უსამართლობა ზეიმობდა და სამართლიანობას უნდა ეზეიმა; მეოთხე, იყო და არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც ყველა მთავრობის დროს კარგად ცხოვრობს. არაფერზე პასუხი არ იქნა გაცემული.

მე ყოველთვის დიდ პატივს მივაგებ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას იმიტომ, რომ ეს ხალხი საქართველოსთვის იბრძოდა. სააკაშვილის ყველაზე დიდი დანაშაული ის გახლავთ, რომ ის არის საქართველოს ნომერ პირველი პირწავარდნილი მტერი.

უტყუარი ინფორმაციაა – ესენი ფიქრობენ, რაღაცნაირად ისევ დაიბრუნონ ხელისუფლება. იცოდეთ, თუ ეს მოხდა, საქართველო აღარ იარსებებს ექვს თვეში!

ჩვენ, ქართველმა ხალხმა, ჩვენ თვითონ უნდა ავიმაღლოთ ხმა, გამოვიდეთ და ცოცხები კი არ უნდა ვაჩვენოთ, ძალიან დიდი ბოდიში ამ საზოგადოების წინაშე, მაგრამ ის ცოცხები ზუსტად ერთ ადგილას უნდა გავუკეთოთ და ისე გავუშვათ აქედან!“

**დავით ლორთქიფანიძე:** მე, როგორც საქართველოს პარლამენტის ერთი რიგითი წევრი „ქართული ოცნებიდან“, თქვენ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ მე ვიქნები თქვენი ხმა საქართველოს პარლამენტში და მე ვიქნები ის კაცი, ვინც აი, ამ განწყობას მხარს ვუჭერ და მინდა იცოდეთ, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის უმრავლესობა, ხაზს ვუსვამ, იმ განწყობას იზიარებს, რომელიც აქ არის, რომელიც სრულიად საქართველოში არის. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის უმრავლესობის, „ქართული ოცნების“ და ბატონი ბიძინა ივანიშვილის იმედი გქონდეთ ყველა იმ ბრძოლაში, რომელსაც



ქართველი ხალხი ოდითგანვე აწარმოებდა და არც არასდროს შეწყვეტს. არასოდეს არ გექნებათ უკმაყოფილების გრძნობა!“

„რატომ არ იწყებთ პრეზიდენტის იმპიჩმენტს!“ – გაისმა დარბაზიდან ადა მარშანიას კატეგორიული ტონი, რომელმაც სცენაზე გადაინაცვლა.

**ადა მარშანია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი:** – აქ გამოვიდა ჩემი ძველი კოლეგა დავით ლორთქიფანიძე: დათო, გენაცვალე, თქვენ „ოცნებას“ წარმოადგენთ პარლამენტში? „ოცნებას“ უნდა ვკითხო: – ჩვენ ერთად ვიბრძოდით და ერთად მოვიყვანეთ 1 ოქტომბერი, რატომ არ იწყებთ იმპიჩმენტს პალამენტში, რატომ! უამრავი დევნილი და არა მხოლოდ დევნილი მეუბნება: ქალბატონო ადა, რამენაირად შეხვდით ბატონ ბიძინა ივანიშვილს, (ეს დიდი პრობლემაა), და ჰკითხეთ მას, როგორ შევუთავსოთ ერთმანეთს **NATO**-სკენ სწრაფვა და ჩვენი ტერიტორიული გამთლიანება, როგორ შევათავსოთ ეს ორი საკითხი. მესმის, რომ ეს ერთი ხელის მოსმით გადასაწყვეტი საკითხი არ არის, ეს არის ძალიან სერიოზული მსჯელობის საკითხი ჩვენს საზოგადოებაში და ბოლოს და ბოლოს, როდის დავიწყოთ ამ უსერიოზულეს საკითხზე უსერიოზულესი მსჯელობა.

ფაშისტური და ტერორისტული ბანდის მთავარი და უმძიმე-



სი დანაშაული არის ის, რომ დაკარგულს კიდევ 156 სოფელი და დასახლებული პუნქტი მიუმატა აგვისტოს ომის დროს. როგორ უნდა ვაპატიოთ ამ ადამიანს ჩემი წინაპრების, კოდორის ხეობის ჩაბარება ბოლომდე!... რა ისეთი ანგელოზური მოთმინება გვაქვს, რომ აგვისტოს შემდგომ განსაკუთრებით, ჩვენ ამ ადამიანს ვითმენთ. ვიბრძოდით, რასაკვირველია, მაგრამ მაინც არ გავბრაზდით ისე, როგორც ჩვენ გვეკადრებოდა. როგორც იტყვიან, აგერ არის ბურთი და აგერ არის მოედანი, მოდით, ჩვენ ვუპატრონოთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენი გასაკეთებელი საქმე არის ეს და ნუ ველოდებით ნურანაირ ხელისუფლებას“.

**ბაია ამაშუკელი, ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი, მოძრაობა „ლაზარეს“ კულტურის მიმართულებისა და პრესსამსახურის ხელმძღვანელი:** – „მოგეხსენებათ, რა სავალალო შედეგებამდე მიიყვანა ქვეყანა „ნაცმოძრაობის“ სიხარბემ, მავნებლურმა და უცხოეთიდან მართულმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ ყველა სფეროში – იქნება ეს განათლება, სოფლის მეურნეობა, თავდაცვა, დემოგრაფია, სახელმწიფო ქონების გასხვისება – თითქმის საბოლოოდ მოუღეს ბოლო. ამ მხრივ არც კულტურული მემკვიდრეობა აღმოჩნდა გამონაკლისი, მეტიც, საგანძურის ხელყოფაც კი გაბედა. უკვე რამდენიმე წელია ვრცელდება ინფორმაცია და ამაზე სამსახურის დაკარგვის შიშით ჩუმად ამბობენ მუზეუმის თანამშრომლებიც, რომ მუზეუმებიდან ქრება სამუზეუმო ექსპონატები. იმ დროს, როდესაც ყველა უწყებაში გამუდმებით თვითმმართველობის პრინციპებზეა საუბარი, ახალი ხელისუფლება მუზეუმებს ერთი პირის დაქვემდებარებაში აქცევს, რითიც მას მუზეუმებზე და მათში განთავსებულ ექსპონატებზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლებას აძლევს. რაც ყველაფერი ერთ ადამიანს, დავით ლორთქიფანიძეს ჩააბარეს, აღარაფერს ეკითხებიან საპატრიარქოს, პროფესიონალებს და არც საზოგადოებას, გარდა ხელისუფლებასთან შეხმატკბილებული ხელოვ-



ნებათმცოდნეებისა. არადა, „სიმონ ჯანაშიას სახელობის,“ „სახელმწიფო მუზეუმის“, „ქარვასლას“, „მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის“, ღია ცის ქვეშ „ეთნოგრაფიული მუზეუმიდან“ ექსპონატების გასხვისების ფაქტებზე დიდი ხანია მიმდინარეობს კულუარული საუბრები. გახსოვთ, ალბათ, ფიროსმანის ნახატის მუზეუმიდან გაქრობისა და „თავისით“ უკან დაბრუნების ამბავიც. იმ პერიოდში ბევრს საუბრობდნენ იმაზეც, რომ მაშინდელი აშშ-ის ელჩი ტეფტიც არაერთხელ უნახავთ მშრალ ხიდზე, რომელიც თბილისელების გატანილ ანტიკვარიატს ყიდულობდა. მე, პირადად, ელჩს ხელს ვერ დავადებ, მაგრამ საგანძურის და ექსპონატების დაპატრონების მსურველი რომ ბევრია, ესეც ფაქტია. საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე“ კიდევ ერთხელ აყენებს საზოგადოების ღირსეული წევრებისაგან შემდგარი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნას მუზეუმებში დაცული ექსპონატების ბედის გარკვევის მიზნით. სხვა შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობა, ჩვენი ისტორია, შესაძლოა, საბოლოოდ დაიკარგოს და ის უცხო ქვეყნების მუზეუმებსა და კოლექციებში აღმოჩნდეს!“

**გიგლა ბარამიძემ (პოლიტიკური დევნილი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი)** დამსწრე საზოგადოებას გააცნო მოძრაობა „ლაზარეს“ მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო თანამეგობრობისადმი, რომელიც სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმის მხილებას, კოჰაბიტაციის შეწყვეტას,





დამნაშავეთა დასჯას, სამართლიანობის აღდგენასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს. ითქვა, რომ აღნიშნულ მიმართვას საზოგადოების წარმომადგენელთა ხელმოწერები დაერთვება და წარედგინება ზემოთაღნიშნულ ადრესატებს.

**P.S. 19 მარტიდან დღემდე რვა დღე გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ბეჭდვურ მედიას და არც რომელიმე ტელევიზიას თავი არ შეუწუხებია იმ მამულიშვილური წამოწყების გასაშუქებლად, რომელიც საზოგადოებრივმა მოძრაობა „ლაზარემ“ იტვირთა.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ნიკუშა შენგელაიას: „მე ძნელად გადასარგავი მცენარე ვარ"



*საერთო გაზეთის სტუმარია მხატვარი* ***ნიკუშა შენგელაია***

## ბავშვობა

ფეხი თუშეთში ავიდგი. დედა — სოფიკო ჭიაურელი იხსენებდა — თუშური წუღები გეცვა და ამ დროს შენთან ახლოს ცხვრის ფარა მოვიდაო. ერთ-ერთი ცხვრისთვის ჩამიკიდია ხელი, ცხვარი დაძრულა და მეც თან გავყოლილვარ, ცხვარი უფრო ჩქარა მიდიოდა, ამიტომ მე ხელი გამიშვია და თვითონ გამიგრძელებია სიარული. დედა ხუმრობდა, ამის მერე წახვედი და წახვედი, მთელი მთა-ბარი, მსოფლიო მოიარეო. ბიძაჩემს ბაბუამ თურმე თარი უყიდა და სიამოვნებით უსმენდა როგორ მღეროდა იგი თუშურ სიმღერას — „თუში ვარ, მაგრამ კარგი ვარ, ბევრად ვჯობივარ კახსაო". რა თქმა უნდა, ფესვები თავისას შვება. მეც, ხომ ხედავთ, ფეხი, 8 თვისამ, თუშეთში ავიდგი და არა პარკეტზე. პაპაჩემი — ნიკოლოზ შენგელაია საოცარი კაცი იყო. იგი მონადირე, ვაჟკაცი კაცი იყო, ტყეში სიარული უყვარდა. ასევე თევზაობდა, ეზოში თევზსაშენიც გვქონდა.

ძალიან ლაღი ბავშვობა მქონდა. ბედმა გამიღიმა და ბავშვობის წლები საქართველოში გავატარე. ბავშვობაში ყველას სამყაროს აღქმის გამძაფრებული უნარი გვაქვს და აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც სახლის მიღმაა, ჩემთვის საინტერესო იყო. იმაშიც გამიმართლა, რომ ასეთი მშობლები, პაპა და ბებია მყავდა. ისინი მე და ჩემს ძმას ბევრ დროს გვითმობდნენ, რათა ჩვენი ქვეყანა გვენახა. გამომდინარე იქედან, რომ მშობლები — სოფიკო ჭიაურელი და გიორგი შენგელაია ხშირად იყვნენ გადაღებებზე, ჩვენც თან დავყავდით და ამიტომ ძალიან ბევრს ვმოგზაურობდით. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის სურვილი ბოლომდე შემომრჩა, განსაკუთრებით მთაში, ტყე-ღრეში ხეტიალი მიყვარს. სამშობლო მხოლოდ მთა-ბარი, მდინარეები როდია, არამედ ადამიანები, მათთან ურთიერთობა. იმ პერიოდში, 70-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე გარემო წყნარი, ქართველი კაცის სტუმართ-მასპინძლობა კი საყოველთაოდ ცნობილი იყო. ყველა ოჯახი, მთაშიც კი მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ჭირდა, სტუმრების დასახვედრად მუდამ მზად იყო. მთელი მთა-თუშეთი, ხევსურეთი, სვანეთი ფეხით მაქვს მოვლილი. ამიტომაც სამშობლოს ყოველთვის მძაფრად ვგრძნობ. ადამიანებისგან იმდენი სიკეთე, სითბო მაქვს მიღებული, რომ ამან, როგორც ადამიანი ძალიან გამამდიდრა. სამწუხაროდ, დღეს ცხოვრება შეიცვალა და ჩვენი შვილები მოგზაურობას ისე ხშირად ვეღარ ახერხებენ.

## მე ძნელად გადასარგავი მცენარე ვარ

ერთ ისტორიას მოგიყვებით. ჩემი ბიჭი — 5 წლის იყო, როდესაც სამეგრელოში წავიყვანე, იქ, სადაც პაპაჩემის ფესვებია წალენჯიხაში სოფელ ობუჯში. ოღონდ მანამდე ქირურგ ეგნატე ფიფიას საიუბილეო საღამოზე ვიყავით. იქვეა სოფელი ჯვარი, საიდანაც ბატონი ეგნატე იყო წარმოშობით. ჩემი ბიჭი მეკითხებოდა — რომ მითხარი სამეგრელოში მიმყევხარ, სად არის სამეგრელოო. ვუპასუხე — უკვე სამეგრელოში ვართ-მეთქი. არა, ეს არაა სამეგრელოს — მიპასუხა. ჯვარიდან პაპაჩემის მამულში — ობუჯში ჩავედით. ეზოში რომ შევედით ძალიან გაუხარდა. სამეგრელოში ეზოებში ყველგან ხასხასა მწვანე ბალახია, მსხალის დიდი ხე და პაპის დროინდელი ძველი წისქვილიც გვიდგას. ეზოში მდინარე შემოდის და ქვებისგან ამოშენებული თევზსაშენიც გვქონდა. ჩემმა ბიჭმა ეს ყველაფერი რომ დაინახა — აი, სამეგრელოო — თქვა. იქ შეიგრძნო ნამდვილი გარემო. ამით იმით თქმა მინდა, რომ ფესვებს, გენეტიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ხანდახან ხდება, რომ სხვაგან იზრდები, მაგრამ გენეტიკა, წინაპრების სისხლი ჩქეფს შენში და ამას აღიქვამ. ვფიქრობ, გენეტიკა ინფორმაციასაც გაწვდის. არიან ადამიანები, რომელთაც უპრობლემოდ შეუძლიათ მიგრაცია, სხვაგან არსებობა. პირადად მე, ეს ძალიან მიჭირს. 5 წელი პარიზში მომიწია ცხოვრება, ზაფხულობით ჩამოვდიოდი კიდეც, მაგრამ მუდმივად აქ რომ არ ვიყავი, ამას ძალიან მძაფრად განვიცდიდი, მე ძნელად გადასარგავი მცენარე ვარ. ეს ყველაფერი განაპირობა იმან, რადაც ახალგაზრდობაში ჩემი სამშობლო, საქართველო აღვიქვი. დღეს ხშირად გვესმის, რომ ცდილობენ ფული მოაგროვონ, რადგან შვილი სასწავლებლად საზღვარგარეთ გაუშვან. განათლების მისაღებად შეიძლება გაუშვა შვილი, მაგრამ მას უნდა შთაუნერგო, რომ მისი სამშობლო, მომავალი საქართველოა. მისი განათლება ქვეყანას უნდა მოახმაროს. ეჭვი მეპარება, რომ ქართველი კაცი შეიძლება სადმე სხვაგან ბედნიერი იყოს. როგორც თქვენ ბრძანეთ, როცა იქ ცხოვრობ, სადაც შენი ფესვები არაა, რა წარმატებასაც არ უნდა მიაღწიო და როგორც არ უნდა შეერწყა იმ ყველაფერს, გრძნობ, რომ მაინც რაღაც გაკლია. მიუხედავად იმისა, რომ კოსმოპოლიტი ვარ, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს მეგობრობისთვის ნაციონალობას, მაინც ვფიქრობ, რომ ადამიანი ბედნიერია იქ, სადაც გაჩნდება, სადაც მისი სამშობლოა. ნამდვილ ბედნიერებას იქ განიცდის. უნდა ვეცადოთ ისეთი პირობები შევქმნათ, რომ ქართველს სამშობლოდან გასაქცევად არ ჰქონდეს საქმე და აქვე იპოვოს თავის ბედნიერება, პროფესია, შრომაც აქ ჩადოს, აქ დაოჯახდეს, გამრავლდეს და ა.შ. ეს რთული გზაა, მაგრამ ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიდეთ.



ასე, რომ ფესვებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ადამიანში ძალიან დიდი შინაგანი გრძნობაა. ანუ ეს არის სახლი. რატომ ჰქვია სამშობლო? — ეს არის ადგილი, სადაც ჩვენი მშობლები იყვნენ. ბიოლოგიურადაც მათი გაჩენილი ვარ, სულიერადაც იმ გარემოს ვეზიარე, რაშიც ისინი არსებობდნენ, თავიდანვე შევისისხლხორცე ის ჰაერი, წყალი, ადამიანები, მეტყველება, ენა, მუსიკა.

ფესვებისკენ მობრუნებაა ის, რომ შენი წარსული შენში არსებობს, ამას ეყრდნობი და მომავალს აქედან გამომდინარე აშენებ. უნებურად თუ არაუნებურად, ეს შენში არსებობს.

## საქართველო — მშვენიერი ყვავილი მსოფლიო მინდორზე

სამშობლოს, ფესვების დაკარგვა შეუძლებელია. უბრალოდ, ბოლო 20 წლის მანძილზე განვითარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ძვრები ადამიანებზე მოქმედებს და ყოველდღიურ ყოფაში აისახება. გაჩნდა კითხვა — ხომ არ ვკარგავთ სამშობლოს? ჩვენ უფრო ანალიტიკურად, გონივრულად ვუდგებოდით საკითხებს, რაც ზუსტად ჩვენი სამშობლოს მომავალს ეხებოდა. ეს ყველაფერი, ალბათ გასავლელი იყო. 20 წელი ისტორიისთვის არ არის ძალიან დიდი დრო, რათა ადამიანებმა კარდინალური ცვლილებები გაანალიზონ. ვფიქრობ, ამას მაინც მოვახერხებთ. ქართველები სამშობლოს შეგრძნებას არასდროს დავკარგავთ. თუმცა, საზღვრების გახსნამ, ქართველების ქვეყნიდან გადინებამ — მიგრაციამ, ძალიან იმოქმედა. ვფიქრობ, ყველაფერი თავის ადგილას დაბრუნდება. უბრალოდ მეტი ანალიზი, მეტი დაფიქრება გვჭირდება, რათა სამომავლოდ იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ, რაც წარსულში დავუშვით. ამის ყველაზე დიდი საწინდარი განათლება, კულტურაა. ყველა ადამიანის ვალია ჩვენს შვილებს ისევე ვანახოთ საქართველო, როგორც ჩვენმა მშობლებმა გვაჩვენეს. კომუნიკაცია ქალაქსა და სოფელს შორის, მთასა და ბარს შორის ქმნის სწორედ ურთიერთობას. საქართველოს ყველა კუთხეში ხალხი სხვანაირია, მაგრამ ერთი რამ აერთიანებს — კაცთმოყვარე, სტუმართმასპინძელი, ურთიერთობაში თბილი ადამიანები არიან. უბრალოდ, ამ ყოფამ, გაჭირვებამ ისინი ცოტა დათრგუნა. ბოლო 10 წელი კი სხვა მხრივადაც დაითრგუნენ — ანუ როცა არ ჩათვალეს, რომ ისინი ამ ქვეყნის აღმშენებლობაში, არსებობის უფლებაში მთავარნი არიან. თითოეულ ჩვენთაგანზე ბევრია დამოკიდებული — თუ როგორ მივაწოდებთ მომავალ თაობას იმ პასუხიმგებლობას, იმ სიყვარულს, იმ ისტორიას, რისგანაც სამშობლო შედგება. ეს არ უნდა იყოს ლიტონი სიტყვები, მხოლოდ სადღეგრძელო, არამედ ეს უნდა განიცადო და ერთხელ რომ განიცდი, მერე მუდამ შენთან იქნება.

ფესვებს როცა კარგავ გარკვეულწილად, საყრდენი გეცლება. ფესვები არასდროს არ უნდა დაკარგო იმიტომ, რომ დედამიწაზე ყველას თავის ადგილი აქვს და სწორედ იმითია მშვენიერი, რომ თითოეული ჩვენთაგანი ამ ადგილს იკავებს. ეს არც უნდა ითაკილო და არც თავი უნდა მოაწონო, ან მოატყუო სხვა. თუ შენ, ზუსტად, შენს ადგილზე დგახარ, სწორედ მაშინ ხდები ყველასათვის საინტერესო, მაშინაა შენი ამა თუ იმ ადგილას დგომა ფასეული. ამიტომ გარდა სილამაზისა, ძალიან მნიშვნელოვანია ეს ადგილი. ეს ყველაფერი, ჩვენში იმდენად ღრმადაა, რომ ასე ადვილად ვერ წაიშლება. ეს ათასწლეულების ამბავია. ჩვენ მიწათმოქმედი ხალხი ვართ. ანუ კულტურა სადაც იქმნება, გლობალიზაცია ამას ესე უცებ ვერ წაშლის. შეიძლება ბევრ რამეში გაერთიანდე, მაგრამ შენის დაკარგვა ასე უცებ ვერ მოხდება. ეს თუ მოხდა, რა თქმა უნდა, ტრაგედიაა, საკუთარ სახეს კარგავ. რითაა საინტერესო მსოფლიო? — ყველას თავის თვითმყოფადობა, კულტურა, ენა, ლიტერატურა აქვს. შეუძლებელია მინდორზე ერთნაირი ყვავილები ვნახოთ. მინდორი მშვენიერი იმითაა, რომ ძალიან მრავალფეროვანია. ამიტომ, ვფიქრობ, ჩვენ ამ მსოფლიო მინდორში ერთ-ერთი მშვენიერი ყვავილი ვართ, რასაც საქართველო ჰქვია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველები ჩვენს ენას გავუფრთხილდეთ. ენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიკარგოს, ამას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ, პატარა ერი ვართ და ენას, კულტურას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. მთავარი განათლებაა. მსოფლიო კაცობრიობის მონაპოვარს აუცილებლად უნდა ეზიარო, მაგრამ შენი არ უნდა დაივიწყო, უნდა გახსოვდეს რომ იმ მსოფლიო კაცობრიობის მონაპოვარს სწორედ შენი ამდიდრებს. მოწმე ვართ ხომ რა ენაზე საუბრობენ ტელევიზიებში? — სლენგი — ეს დანამატი ყოველთვის მოჰყვება ხოლმე დროს, მაგრამ ჩვენ უნდა ვეცადოთ საფუძველი შევინარჩუნოთ. წინაპრების, პაპაჩემის —



იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მიხეილ ჭიაურელის ჩანაწერებს რომ ვუსმენ, თუ როგორ საუბრობენ, ალბათ მათთან შედარებით უკვე მეც იმ ქართულით აღარ ვსაუბრობ. მათთან შედარებით, მეც ძალიან პრიმიტიული ქართულით ვსაუბრობ. ამას ყურადღების მიქცევა უნდა — ეს ხომ ჩვენი მთავარი საძირკველია. ილია ცნობილ ტრიადაში — ენა, მამული, სარწმუნოება, შემთხვევით როდია, რომ პირველად ენაზე მიუთითებს.

### გააზრებული აუცილებლობა — ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ

სცენის მტვერი ბევრჯერ ჩამიყლაპავს, მე და ჩემი ძმა გადასაღებ მოედანზე და კულისებში გავიზარდეთ. ამ სფეროში საოცრად კარგი ხალხი იყო. ზოგადად, ის თაობა იყო ძალიან კარგი. ისინი ძალიან უბრალონი, დაუღალავად მშრომელნი იყვნენ — ამ ინდუსტრიაში ყველა სითბოთი, კეთილგანწყობით იყო ერთმანეთის მიმართ. მახსოვს, ძალიან კარგი გარემო, რაღაც კონკრეტულის თქმა, რთულია. ყველა სახასიათო, საინტერესო ადამიანი იყო. ურთიერთობები იყო მნიშვნელოვანი, ახლა ეს ცოტა დარღვეულია. ამბიციურობა სჭარბობს. ზოგისთვის წარმატება, თანამდებობა ძნელი გადასახარშია, სხვა დამოკიდებულება ეწყებათ. ასეთი ადამიანი, ალბათ ცოდოა. ხომ გაგიგიათ ადამიანი დაინიშნება თანამდებობაზე და ტელეფონს აღარ იღებს, აღარ გესალმება, ცოდოა ასეთი კაცი. ვერ გაუგია, რომ ეს პასუხისმგებლობაა და დრო სხვას უნდა მოახმაროს. იცით რა, ჩვენ ადამიანები ვართ იმიტომ, რომ ერთმანეთის მიმართ თანადგომა, თანაგრძნობა, თავმდაბლობა შეგვიძლია. წარმატების მიღწევა არ ნიშნავს, რომ რაიმეთი მეტი ხარ იმ



ადამიანზე, ვინც წარმატებას ვერ აღწევს. თუ ვერ დაინახე, რომ თანაბრად ადამიანები ვართ, თანაბარი უფლებები გვაქვს, უკვე ჩნდება კითხვის ნიშანი — ასეთ პირს საერთოდ გაუგია თუ არა ცნება — რა არის ადამიანი. ადამიანი ვერაფერმა ვერ უნდა შეგცვალოს. ავეჯივით ადვილი გადასატანი არ უნდა იყო, იმ ადგილას უნდა იდგე, შენს ადგილს შენი საქციელი უნდა აფასებდეს იმ მორალური პარამეტრებით, რასაც ქართველები სინდის-ნამუსს ვეძახით, რაც დიდი ფასეულობაა — ზნეობრივი კოდექსი. ეს ხომ ჩვენს შიგნითაა. ეს მხოლოდ ნასწავლი ხომ არაა. როგორც ჰეგელი ამბობდა — ესეც შენი გააზრებული აუცილებლობაა. მითუმეტეს, ამ გარემოში შენი პასუხისმგებლობა, მოვალეობა, რითიც ადამიანები ვართ, უფრო უნდა იყოს შენი მამოძრავებელი, ვიდრე საკუთარი თავით ტრფობა და აღტაცება, რასაც ადამიანი დაღპვისკენ მიჰყავს.

### ადამიანი ისე სწორად უნდა იყოს ნაშენები, რომ არ გაიბზაროს

თუ გაიბზარები, შენ პირველმა უნდა შეამჩნიო შენი ბზარი, არ უნდა შეგრცხვეს შენი ბზარის. საკუთარ თავს ხომ ვერ მოატყუებ. თუ ბზარები გიჩნდება, რაც ყველას გვემართება, ამას თუ აღიარებ და არ მალავ, მაშინ ბზარების შევსება იწყება. საზოგადოება გვყავს, მაგრამ არა ისეთი, როგორიც მე-19 საუკუნის მიწურულს, მე-20 საუკუნის დასაწყისში გვყავდა. ყველაფერი შედარებითია, თორემ ახლაც გვყავს საზოგადოება, რომელიც ხმას იმაღლებს უსამართლობაზე. შეიძლება ჩვენ ამ საზოგადოების ეფექტური მართვის სისტემები არ გვაქვს, რაღაცის გამო გაერთიანება გვიჭირს ხოლმე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება არ გვყავს. ერთის თქმა კი შემიძლია, ჩემი სურვილია უფრო აქტიური იყოს საზოგადოება, სახლის გარეთ გავიტანოთ ხოლმე ეს აქტიურობა და მივხვდეთ, რომ ჩვენ ერთ სახლში ვცხოვრობთ, ეს ჩვენი პასუხისმგებლობაა. საზოგადოება ყოველთვის იყო, მთელი ჩემი ახალგაზრდობა უზნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში გავიდა. 28 წლის ბიჭი ვიყავი, როცა 9 აპრილის უბედურება დატრიალდა და დღემდე ეს ვითარება გვქონდა. საზოგადოება რომ არა, ვითარება არ შეიცვლებოდა. ცხოვრება უცნაური რამაა, მთავარია მას იცნობდე. ეს ადამიანის ნიჭზე, ტვინის წყობილებაზეცაა დამოკიდებული. ამით განსხვავდება ადამიანი — ყველა ერთნაირი არ არის. შეიძლება ადამიანმა მთელი ბიბლიოთეკა წაიკითხოს და ვერ გაიგოს რა ხდება, ან ზუსტად ამოიღოს ის, რაც სჭირდება. ზოგადად ერის, ქვეყნის გამოცდილება სხვაა — ეს არ შედგება, ერთი ადამიანის ნიჭზე თუ გამოცდილებაზე. ჩვენ უფრო ემოციებს აყოლილნი ვართ და ხანდახან რეალობის, პრაგმატულობის შეგრძნება გვაკლია. ბოლო 20 წლის განმავლობაში ხშირად ჩვენს თავს ვებრძოდით მაშინ, როცა სულ სხვაგვარად შეგვეძლო მოქცევა, ხშირად თავს ვიჩენდით იქ, სადაც ჯობდა საერთოდ არ გამოვჩენილიყავით. მთავარია ვაღიაროთ, ვიმსჯელოთ, არ დავმალოთ ჩვენი სისუსტეები, ნაკლი, ღირსება და ა.შ. თუ საკუთარ თავს სიმართლეს არ ვეტყვით, ყალბ გარემოს ვერ მოვერევით.

### განვლილი წლები

ვცდილობ განვლილი ცხოვრება ნაკლებად გავიხსენო, იმიტომ, რომ მოგონებებს სინანული ერთვის. უფრო ის ადამიანები მახსენდება, ვინც იმ ცხოვრებაში მომყვებოდა და სამწუხაროდ, ახლა აღარ არიან — დედაჩემი — სოფიკო ჭიაურელი, ბებიები, ბაბუები, მეგობრები და უამრავი სხვა ადამიანი, რომელთაც სიცარიელე დამიტოვეს და ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. საკუთარი თავისთვის დროც ბევრი მაქვს დაკარგული. შემეძლო, თუნდაც ჩემს პროფესიაში — მხატვრობაში შემექმნა ბევრად მეტი. ამას გარემოს არა, მხოლოდ ჩემს თავს ვაბრალებ. ობიქტურადაც იყო ვითარება, როცა საზოგადოებრივი პოზიციიდან აქტიურობა გვიწევდა. თუმცა ეს გამამართლებელი არაა, ამ მხრივ, საკუთარი თავის უკმაყოფილო ვარ. ზოგჯერ ხელიდან გაშვებული დროის გამო სევდა მიპყრობს — ნაკლებ დროს დავკარგავდი და უფრო მეტ დროს შემოქმედებას დავუთმობდი.

ვფიქრობ დგება დრო, როცა კულტურას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება. მხოლოდ ხელოვნებას არ ვგულისხმობ. კულტურა ყველაფერშია — დაწყებული სოფლის მეურნეობიდან პოლიტიკური კულტურით დამთავრებული. ქვეყნის განვითარე-



ბის ყველაზე დიდი პოლიტიკა კულტურაა. ახლა, ამას ფაქტობრივად არანაირი ნიშა არ უჭირავს — ნაკლები მკითხველია, განათლების სფეროში პრობლემებია, ტელევიზიები ინერციით ყაყანით, სენსაციურობით არიან დაკავებულნი. მასმედიაში ეს სივრცე უნდა გაჩნდეს, საუბარი კულტურული ენით უნდა დავიწყოთ, განვავითაროთ ერი, ესაა ყველაზე დიდი სიმყარე, რათა არ დავუშვათ იგივე შეცდომები, რაც ახლო წარსულში იყო.

### ნივთები, რაშიც არსებობ

მამამ და პაპამ აღმოაჩინეს, რომ მხატვრობის ნიჭი მაქვს. მხატვრობა უფრო თავისუფალი პროფესიაა, ვიდრე კინო, როცა ამ ხელობას ვეზიარე, ძალიან შემიყვარდა, ჩემი ნაწილი გახდა. პირველად რა დავხატე არ მახსოვს, თუმცა პაპაჩემი აგროვებდა ჩემს ნახატებს. ბიჭი როცა ხარ რას აღარ ხატავ — სახლებს, მანქანებს. მე რატომღაც უფრო მეტად ბევრ თვითმფრინავს ვხატავდი. დიღომში ბაღი გვაქვს და აყვავებული ალუბლების და ატმების ძალიან ბევრი ნახატი მაქვს. მიყვარს ხატვის პროცესი. დიდი ხანია არ მიხატია და ერთი სული მაქვს დავხატო, საღებავების სუნი მომენატრა. გამორჩეულად რემბრანტი მიყვარს. ასევე, ველასკესი, ფიროსმანი, ლეონარდო. კარგი მხატვრების ნახატები ყოველთვის ცოცხალია, საუკუნეებს უძლებენ. არის მიმდინარეობები, რომელიც 10 წელი იქნება და მერე არავის ემახსოვრება. ადამიანი უნდა გადავიდეს ნახატში, მან იქ თავის სიცოცხლე უნდა დატოვოს, რათა მასში ცხოვრება გააგრძელოს. ხელოვნება სოციალურს და პოლიტიკურს მოშორებულია, თუმცა თავის თავში მოიცავს ამ ყველაფერს. ძალიან მიყვარს პორტრეტების — ადამიანის სახეების ხატვა, ასევე ნატურმორტების — იმ ნივთების ხატვა, რაშიც შენ არსებობ. ეს შენს შინაგან სამყაროს გადმოსცემს. მნიშვნელობა აქვს, როგორ, რა ფორმით გადმოსცემ ამ ყველაფერს. ყველანი საზოგადოებრივი ერთეული ვართ, მაგრამ ამავდროულად ინდივიდებიც — ყველას ჩვენი სამყარო გვაქვს. ყველაზე კარგად ჩემი განწყობა პორტრეტებში გადადის. ოჯახის წევრები არასდროს დამიხატავს, რატომ? — არ ვიცი, ასე მოხდა. რადგან ირგვლივ, გვერდით არიან, გგონია, რომ სულ იქნებიან და მერე, როცა აღარ არიან ნანობ.

**თამარ შველიძე**
**555 23 28 24**

**კახი კახიშვილი, პოლიტოლოგი:** „ქართულმა ოცნებამ" კიდევ ერთხელ შეუქმნა პირობები ნაცმოძრაობას და მან კიდევ ერთხელ მოახდინა ძალის დემონსტრირება და ყოველდღიურად ცდილობს თავი დაიმკვიდროს ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, როგორც ერთ-ერთმა ძლიერმა მოთამაშემ. როგორც იკვეთება, არანაირი კოორდინაცია არ არსებობს მთავრობასა და „ქართული ოცნების" უმრავლესობას შორის, არასწორი ინფორმაცია მიდის პრემიერთან. ამის შედეგად კი ნაცმოძრაობა ახდენს მედიის ოკუპაციას და ყოველდღიურად საკუთარ გამარჯვებაზე საუბრობს.

აცხადებს, რომ მმართველ გუნდს აკლია თანმიმდევრულობა და საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვამ ეს კარგად აჩვენა. გუშინდელიდან მიდიოდა საუბარი, რომ სარეიტინგო კენჭისყრა არის კლოუნადა და ის ამაში მონაწილეობას არ აპირებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პარლამენტის თავმჯდომარეს მოუწია ამ კლოუნადაში მონაწილეობის მიღება და მისი დირი-



ჟორობა. „ქართული ოცნება" დარწმუნებული რომ ყოფილიყო, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის საკმარისი ხმები ჰქონდა, სარეიტინგო კენჭისყრას არ დაეთანხმებოდა.

როგორც ჩანს, მათ ეს ვერ გათვალეს და როდესაც უსუფაშვილი საბოლოოდ შეხვდა უმრავლესობასაც და უმცირესობასაც, მიხვდა, რომ მოუწევდა სარეიტინგო კენჭისყრის ჩატარება, რათა არ შექმნილიყო სურათი, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ჩავარდა. სამწუხაროდ, „ნაციონალურმა მოძრაობამ" საპარლამენტო უმრავლესობის დახმარებით კიდევ ერთხელ მოახდინა ძალის დემონსტრირება და იმის დემონსტრირება, რომ მათ გარეშე რაიმე გადაწყვეტილების მიღება პრაქტიკულად, შეუძლებელია. მე ძალიან ვწუხვარ, რომ მმართველი გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობაშია პარლამენტში, თანმიმდევრული და პრაგმატული ნაბიჯების გადადგმას ვერ ახერხებს.

თავიდანვე არ იყო საჭირო იმაზე საუბარი, რომ სარეიტინგო კენჭისყრა კლოუნადაა და რომ უმცირესობიდან, ვისაც უნდა შეუძლია ხმა არ მისცეს საკონსტიტუციო ცვლილებებს, ხოლო უმრავლესობა მათ გარეშე მაინც გაიტანს კანონპროექტს. ამ ცვლილებების ჩავარდნა უფრო არ იქნებოდა პრობლემა, თუმცა მმართველი გუნდის მხრიდან თავიდანვე არ უნდა მომხდარიყო ამ ცვლილებებზე ამხელა ფსონის დადება და იმის თქმა, რომ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, რომელსაც ისინი აუცილებლად გაიტანენ. ამით ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილს კიდევ ერთხელ მისცა იმის საშუალება, რომ ილაპარაკოს იმაზე, თუ როგორი ერთიანია „ნაციონალური მოძრაობა". ხოლო „ქართული ოცნების" რეიტინგზე ეს დათმობა ძალია ცუდად აისახება.

„ქართულ ოცნებას" თუ აქვს რეიტინგი, ეს არის ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი, მაგრამ იმდენი პრობლემა გროვდება, ივანიშვილს მისი გუნდის წევრები სხვადასხვა საკითხებში სერიოზულ პრობლემებს უქმნიან, ისე ხდება რაღაც საკითხების ლობირება და თემების ისე მიტანა ბიძინა ივანიშვილთან, როგორც თვითონ აწყობთ. როგორც მივხვდი, რეალურად ივანიშვილის ნდობით ბოროტად სარგებლობენ. ძალიან ბევრი თემა დაგროვდა საზოგადოებაში ისეთი, რომელზეც უმრავლესობა შემდგომში ივანიშვილისკენ იშვერს ხელს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით ივანიშვილი შეცდომაში შეჰყავთ. აქაც იგი შეცდომაში შეიყვანეს, როდესაც თავიდან განაცხადეს, რომ აქვთ საშუალება სარეიტინგო კენჭისყრის გარეშეც მიიღონ ეს ცვლილებები, რადგან ვიღაცები „ნაციონალური მოძრაობიდან" ფარულად უჭერენ მხარს. ყურადღების გამახვილება იმაზე, დაითხოვს თუ არა პრეზიდენტი მთავრობას, საჭირო არ იყო, რადგან სააკაშვილი ამ მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ დაითხოვდა. ამას გამბედაობა სჭირდება, რაც სააკაშვილს არ გააჩნია.

სააკაშვილმა ამ ხუთი თვის განმავლობაში მოახერხა ის, რომ მიუხედავად მისი 9-წლიანი უსამართლო მმართველობისა, დღეს თავი დაიმკვიდრა, როგორც მნიშვნელობით მეორე პოლიტიკურმა ძალამ, რომლის გარეშეც გადაწყვეტილებების მიღება ვერ ხდება. ივანიშვილის გარემოცვა სააკაშვილს ამ პროცესში ყოველდღე ეხმარება და სააკაშვილი სულელი არ არის, რომ ხელი მოაწეროს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის გამოც ხალხის პროტესტი წალეკავს. როგორც აღვნიშნე, საპარლამენტო უმრავლესობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არ არის კოორდინაცია და მეტიც, ყოველდღიურად ქმნიან ისეთ პრობლემებს, რომლებთან დაკავშირებითაც „ნაციონალურ მოძრაობას" წინასწარ აქვს გამარჯვების შანსი და მას მაინც ამარჯვებინებენ და ძალის დემონსტრაციის საშუალებას აძლევენ. მეეჭვება, ხომ არ კეთდება შეგნებულად ისე, რომ ქვეყანაში რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი დარჩეს, ხოლო დანარჩენების მარგინალიზაცია მოხდეს ხელოვნურად.

**„კავკასია"**

ადრე პოლიციისგან პრობლემები იყო, წამება, მკვლელობა, გაუპატიურება, ადამიანების გაქრობა.... და არასოდეს „ხერხემალს“ ანგარიში არავისთვის, ჩაუბარებია, რაოდენ გაზრდილა დემოკრატიის ხარისხი, რომ დღეს შინაგან საქმეთა მინისტრი პირდაპირ ანგარიშს აბარებს ულირს, მაგრამ არსებულ უმცირესობას და ძირითადი ბრალდება, მხოლოდ ჩიორას ნისკარტის და სხვა ცალკეული გენეტალიური ორგანოების მცირედი დაზიანებაა.....) P.S. ის ურჩევნია მამულსაო....მეორე თაობის გაბაშვილმა გადაასწრო მამიმისს კამოობაში

როგორც მზეჭაბუკი უფოთლოდ, დღეს ისე გამოიყურებოდა უმცირესობა უწუკლაროდ))))

ეს ნადირაშვილი რატომ ხვანცალობს ასე? ზღარბზე ხომ არ ზის შიშველი დუნდულებით? და საერთოდ, რა დღეში არიან ეს ნაძირალები? ჩვენ რა, დაგვავიწყდა 26 მაისი, 7 ნოემბერი, „იმედში“ შეჭრა, ქუჩებში ჩახოცილი ბიჭები, სამაჩაბლოს ტკივილი, გაფლანგული მილიონები, უკან ცოცხგარჭობილი პატიმრები, აღვირახსნილი ორგიები? კიდევ გავაგრძელო? არც უნდა მისულიყო ირაკლი. “ნუ დაუყრი ღორებს მარგალიტსო”, – ბიბლიაშია ნათქვამი. ჯანებზე არიან ბიჭები:))

თუ “აწ უკვე განთავისუფლებული” “იმედი” ბენდუს აბლატავებს, სადუნიშვილს და გრიგოლიას გააპიარებს („რუსთავი-2“-ზე არ ვლაპარაკობ), საზმაუზე კვესიტაძე და პაიჭაძე იგულავებენ, „მაესტროზე“ მეორად ნაცებს ტრიბუნა ექნებათ, ცხადია ფბ–ში ლაპარაკით ვერ მოუგებ. პიარი არაფრად არ უვარგა დღევანდელ ხელისუფლებას. რატომაც არ უვარგა და როგორ უნდა უშველონ თავს, ამაზე თვითონ იფიქრონ, თორე მე არც მინისტრობა მინდა და არც დეპუტატობა.




# xa l xis az r iT

მიზანში ღარიბაშვილია!? ვანო მერაბიშვილს რაც ამდენი წლების მანძილზე არ უსაუბრია, ყველაფერზე პასუხი მოითხოვეს ნაციონალებმა?...... ნადირაშვილი ჩაიჭრა!..... გაბაშვილი არამოტივირებულად ილიმებოდა! ქიმერიძე დაავიწყდათ?.... რატომ არ გამოიძია წინა ხელისუფლებამ?:((( ღვინიაშვილი კი ჟურნალისტის გაუპატიურების ბრალდებით არ გავაგდეთ გორიდან?..... ბარამიძეს სვანების გვამები დაავიწყდა? – გადაშალეს წასული და პოლიციას კითხვებით მიმართეს? სირცხვილია!!!!.... ესეც ნაციონალური თავდასხმა! ამის გაგრძელება კი ბნელი ძალების მიერ პოლიციის სახელით პროვოკაციის მოწყობა არაა გამორიცხული :((( ეს მაშინ, როცა კოაბიტაცია სატყუარად გადაიქცა :((((( მოსახლეობას კი სეირის ცქერა სულაც არ აწყობს!!!......

ვატყობ, ბიძო, მანამდე არ მოეშვება მიხოს, სანამ დიოგენესავეთ კასრში არ შეასახლებს და სამაკატკით სიარულს არ დააწყებინებს))))

ერთი რამე უნდა ვთქვა, სააკაშვილი უდაოდ ძალიან ნიჭიერი პოლიტიკური ცხოველია - ის გამოსავალი, რაც მან კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით გააკეთა, ძალიან ჭკვიანი პოლიტიკოსის ნაბიჯია, მაგრამ, საუბედუროდ არა სახელმწიფო მოღვაწის. სახელმწიფო მოღვაწის პოზიცია იქნება ორპარტიული კანონის მიღება კონსენსუსის საფუძველზე – რეიტინგებზე გათვლილი ყველაფერი ცალსახად პოლიტიკანობაა, და არა სახელმწიფოებრივი აზროვნება. თუ უჭერ მხარს ცვლილებებს, დაუჭირე შე, კაი კაცო, რეიტინგი რაში გჭირდება - ეს ბევრად უფრო ღირსეულად წარმოგაჩენს მომავალშიც. ეს დაყვედრებული მხარდაჭერა პოლიტიკანობის კიდევ ერთი მაგალითია, რომელსაც სააკაშვილი მუდმივად გვაჩვენებს 9 წლის განმავლობაში. მაგრამ, მაინც კარგია რომ მოილაპარაკეს ცვლილებების მხარდაჭერა და ამით კრიზისის თავიდან აცილება.

# თამაზ ავდალიანი: ბანკებს აქვთ დიდი წილი იმ ვითარების შექმნაში, რაც დღეს ბინათმშენებლობებთან დაკავშირებით არსებობს



*ბინათმშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად პარლამენტში სპეციალური კომისია შეიქმნა. კომისიას პარლამენტის იურიდიული საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ავდალიანი უხელმძღვანელებს. კონკრეტულად როგორ, რა ფორმით გეგმავს კომისია ბინათმშენებლობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას და ვინ გაერთიანდება კომისიის შემადგენლობაში? „საერთო გაზეთს” **თამაზ ავდალიანი** ესაუბრა.*

**– ბატონო თამაზ, ვინ გაერთიანდება კომისიის შემადგენლობაში?**

– კომისიის შემადგენლობაში შევლენ სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები, პარლამენტის კომიტეტის წევრები, ბინათმშენებელთა ასოციაციის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ადვოკატები. ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოთქვა კომისიასთან თანამშრომლობის სურვილი.

**– კომისია როდის დაიწყებს ფუნქციონირებას?**

– ერთი სხდომა უკვე გვქონდა, თუმცა უამრავი ადამიანი კიდევ შემოგვიერთდა. დღეს ან ხვალ შევიკრიბებით და წარმოავდგენთ ჩვენს ხედვებს – როგორ გვესახება ამ პრობლების გადაჭრის გზები.

**– როგორ წარმოგიდგენიათ ბინათმშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა, რადგან საკითხი საკმაოდ მწვავეა?**

– პრობლემა, რადგან მწვავეა, ამიტომ ვერ გავექცევით. პრობლემა უნდა მოვაგვაროთ. საუბარია, დაახლოებით, 15 000 ოჯახზე, რომელთაც ფული გადაიხადეს და დღეს ხელში არაფერი არ უჭირავთ. ფაქტობრივად, ხშირ შემთხვევაში, იყიდებოდა მხოლოდ ჰაერი. ამის თაობაზე გამოძიებაც მიმდინარეობს და ვინც კურირებს ამ საქმეს, ალბათ, კომისიის სხდომაზე იმასაც მოვიწვევთ და ვნახოთ, რა შედეგი დადგება.

**– რა კუთხით მიმდინარეობს გამოძიება?**

– ვიცი, რომ მთავარ პროკურატურაში არის ჯგუფი, ვინც ამ კატეგორიის საქმეებზე მუშაობს. თაღლითობის ბრალდებით მიდის გამოძიება, თაღლითობაა, აბა, რა არის, როცა არ არსებობდა ბინის პროექტი, სახლი აშენებული არ იყო და უკვე იყიდებოდა. გეთანხმებით, რომ საკითხი ნამდვილად რთულია, მაგრამ ამ სიტუაციიდან უნდა გამოვიდეთ. ამაში დაგვჭირდება სახელმწიფოს დახმარება და კომისიის მუშაობაში ფინანსთა სამინისტროც ჩავრთეთ. პარალელურად უნდა განვიხილოთ თვითონ დარგის განვითარების პროცესი და პერსპექტივა მივცეთ, რომ ამ მიმართულებამ აქტიურად იმუშაოს. აასევე გვინდა დღის წესრიგში დავაყენოთ საკითხი, რომ ჩვენს ემიგრანტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ იპოთეკური სესხებით ისარგებლონ და საკუთარ სამშობლოში ააშენონ სახლი. დღეს მოქმედი კანონმდებლობით ამის უფლება არ აქვთ.

**– ჩემს ირგვლივ ბევრი ადამიანია ისეთი, ვინც სამშენებლო კომპანიას ბინის ასაშენებლად ფული გადაუხადა, მაგრამ დეველოპერმა კომპანიამ მისი ფული „შეჭამა”. როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ამ პრობლემის გადაწყვეტა, როცა სამშენებლო კომპანიას არ აქვს საშუალება, რომ ფული უკან დააბრუნოს და კლიენტიც გადახდილის უკან დაბრუნებას მოითოვს?**

– საკითხი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. შესაბამისი ორგანოები მოიძიებენ სამშენებლო კომპანიებს ქონებას და რაღაცას ვიზამთ.

**– ერთ-ერთი ინტერვიუში აცხადებთ, რომ კრიზისი, რომელიც ბინათმშენებლობებთან დაკავშირებით არსებობს, გარკვეულწილად, ბანკების ბრალია. კონკრეტულად რას გულისხმობთ?**



– ბანკებს მიუძღვის დიდი წილი იმ ვითარების შექმნაში, რაც დღეს ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით არსებობს. 2008-წლის ომის შემდეგ მათ შეწყვიტეს იპოთეკური კრედიტების გაცემა, უკვე მოქმედ კრედიტებზე გაზარდეს პროცენტული განაკვეთი და ბევრმა ვერ შეძლო მაღლი საპროცენტო განაკვეთების გადახდა. ფაქტობრივად, ბანკებმა პროცენტისა და საურავის სანაცვლოდ გადაიფორმეს დეველოპერული კომპანიების ქონება, ანუ, ფაქტობრივად, ხალხის ქონება, რომელიც ბინების აშენებას ელოდებოდა. შემდეგ კი ბანკები ბაზარზე თავად შემოვიდნენ. ადრე ბანკებს საბანკო საქმიანობის გარდა აკრძალული ჰქონდათ ყველანაირი საქმიანობა. წინა ხელისუფლების პირობებში მათ შესაძლებლობა მიეცათ, რომ სხვა საქმეც ეწარმოებინათ, ახლა, რამდენადაც ვიცი, აკრძალვა ისევ უნდა დაწესდეს. აუცილებელია, ყველამ აკეთოს თავისი საქმე. საქართველოში ყველა ვუნდერკინდია, ყველამ ყველაფერი იცის. ნორმალურ ქვეყნებში ადამიანი ერთ პროფესიას ირჩევს და თავისი საქმის პროფესიონალია. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება არსებობს ბინათმშენებლობის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით და ამასაც გავიზიარებთ.

**– კონკრეტული შედეგის მიღება, დაახლოებით, როდის შეგვეძლება?**

– თქვენ თვითონაც ახსენებთ, რომ პრობლემა საკმაოდ გლობალურია და სწორი არ იქნება სიჩქარით მოვაგვაროთ. კომპლექსურად როცა ყველა საკითხს მოვაგვარებთ, კანონმდებლობაში შესაბამის ცვლილებებსაც შევიტანთ. ალბათ, კანონპროექტის საკანონმდებლო ორგანოში ინიცირება სექტემბრისთვის მოესწრება. რაც უფრო მალე მოვაგვარებთ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს უკეთესია, მაგრამ სიჩქარის გამო ხარისხი არ უნდა დავკარგოთ. ერთხელ და სამუდამოდ, ეს პრობლემა უნდა გადავწყვიტოთ. მუშაობის დროს თუ რაიმე ხარვეზი გაგვპარება, ამის გამოსწორება შესაძლებელი იქნება.

ასევე გვსურს მშენებლობის ხარისხის გარკვეული კრიტერიუმები შევქმნათ. გვაქვს მონაცემები, რომ ბევრი შენობა უხარისხოდაა აშენებული. წინა ხელისუფლების დროს მშენებლობის ხარისხის კონტროლის სისტემა საერთოდ მოშლილი იყო. ადვოკატი ვიყავი, ამ თემასთან დაკავშირებით სხვადასხვა კატეგორიის საქმეები მიწარმოებია და ვიცი მშენებლობის ხარისხის მიმართულებით რა მძიმე მდგომარეობაა.

**– ვისი ინიციატივით შეიქმნა კომისია?**

– მოგეხსენებათ, საქართველოში ბინათმშენებელთა პრობლემა არსებობს, არიან დაზარალებულებიც. სწორედ მათ შემოიტანეს პარლამენტში ინიციატივა, რომ ბინათმშენებლობებთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად პარლამენტში სპეციალური კომისია შექმნილიყო. იურიდიული კომიტეტის გადაწყვეტილებით სწორედ მე დამევალა, რომ შევისწავლო მათი პრობლემები.

**სალომე ბახტაძე**
**598 19 39 14**

# სამშობლოჭამიები

გური ოტობაია

## ლოტოფაგები

(ინტერვენცია დემოგრაფიული პოლიტიკით). წერილი II.
ციკლიდან: **„გადამწყვეტი ბრძოლა** (ნამდვილი) **საქართველოსათვის”**
19. 03. 2013.
მობ.: + 995 571 21 27 70

**პრომეთე,** სანამ ცეცხლს მოსტაცებდეს ოლიმპიელ ღმერთებს, ჯერ ადამიანს შექმნის ტალახისაგან. თუმცა ამ ღვთაებრივ ცომს მოსულელო ძმა ეპიმეთე გაუხარჯავს ფრინველ-ცხოველთა გამოძერწვისას და პრომეთეც იძულებულია ფაუნის ეგზემპლარებს ჩამოაციცქნოს ცოტამატა. აი, რისთვის ახასიათებს ძე-ხორციელს ცხოველური ქმედებანიო, გვარწმუნებს მითოლოგია, მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი რასობრივ ნიუანსებზე. ადამიანმა საუკუნეც არ არის, რაც ქედიდან გადაიგდო შეფერილობასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული უღელი და ახლა იშვიათად ნახავთ ტრილერს, სადაც თეთრკანიანის მეწყვილე ნეგროიდი არ იყოს. მეტიც, გადასინჯულია წარღვნის საკრალურობაც და ნოეს კიდობნის გვერდით ვიხილავთ კონფუცის აღნაგობის ჩინელს პედალებიანი ნავით. „ნაცმოელები” ჩინებულად მოერგნენ ამერიკელების რასობრივი თანასწორობის დოქტრინას და საქართველო აქციეს დემოგრაფიული ინტერვენციის პოლიგონად.

**აგერ,** წეროვანში, სარეკლამო ბანერებია გამოკრული: იყიდება მიწის ნაკვეთი 2000 კვადრატული მეტრი. $მ^2$ – 5 აშშ დოლარად. იქვეა მითითებული ტელეფონის ნომრები. „ლოპოტის” ნაკვეთების სიახლოვესაც მსგავსი სურათია. სხვაგანაც – ხევ-ხუვებში, ველობებში, ყოველ ნაბიჯზე, ტოტალურად ვასხვისებთ საქართველოს. იყიდება წინაპართა სისხლით გაპოხილი მიწები მორბენალი სტრიქონებით, ელექტრონული და ბეჭდური განცხადებებით, დილერებით, ჩალიჩმაისტერებით... პრეზიდენტისგან ესოდენ ქებულ, მართლაცდა ზეფეშენებელურ იუსტიციის სახლში, ელვისებურადაა დანერგილი უცხოელებისათვის მრავალათსწლოვანი ჩვენი ეზოების ჩალის ფასად შეძენის პრაქტიკა. ოღონდაც ქართველს არ შერჩეს, ოღონდაც ქართველი დავტოვოთ ცარიელ-ტარიელზე! აი, „ნაცმოელ” ხელისუფალთა გახვანჯული საქმე.

**ქალაქში** აგორებულია ჭორი 126. 000 ჩინელის თბილისის ზღვაზე ჩამოსახლების შესახებ, როცა ბიუჯეტის ფულით დევნილების ლეგიონი ფოთში გადავისროლეთ ქვიშისგან ბაწრის საგრეხად. (ერწმუნეთ წინდებულ ეზოტერიკულ წიაღსვლებს, მისი ავტორისთანა ტიპები ხომ „არახელდასხმულებად” არიან გამოცხადებულნი მასონურ სახელმძღვანელოებში. მათ არსად ღებულობენ სამსახურში; მათი პროექტები ყოველთვის დაბლოკილია უმომავლობის გარანტიით; მათ იდეებს ასპარეზი არა აქვთ, ვინაიდან პრომეთეს ჩამომავალნი არიან თხემით ტერფამდე. ეს ამათ ჩამოაქვთ ოლიმპოდან ღმერთების უნებართვოდ ღვთიური ცეცხლი დამზრალ-დამშეული ადამიანებისათვის. ამისთანებთან საიდუმლო ლოჟებში სიკვდილზე ფიციც არა ჭრის, თუკი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სასწორზეა შეგდებული და მეამაყება, რომ ჩემი ძელგი, დაღვინებული თუ მაჭროვანი კოლეგები წარბშეუხრელად ვლენან საშვილიშვილო მამითადში – **„ხმელი კოპიტი”** (მურმან ჯგუბურია) – **ჭაბუა ამირეჯიბი, კობა არაბული, ჯემალ დავლიანიძე, გურამ ოდიშარია, ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ კალანდია, შუკო ჯიქია, ლაშა გვასალია...** სიტყვა გამექცა „არახელდასხმულ” პიროვნებათა წყალობით გაშიფრულია ციფრი 26 000-ის არსი – ცის თაღის სრული შემობრუნება პლანეტა დედამიწის თავზე, რაც ასტრონომიული დროით 25 980 წელიწადის ტოლფარდია, ანუ დამრგვალებულად – 26 000. და, აი, ეს 26 000 განგებ, ალესილ დანასავით, ლაპლაპებს თბილისის ზღვაზე ჩამოსასახლებელი ჩინელების რაოდენობაში, რითაც დაფარული ცოდნის მოგვები ქვეტექსტურად გვეუბნებიან: სულ მალე წისქვილის დოლაბივით დაგიტრიალდებათ სრული ეროვნული დეგრადაცია, სრული დემოგრაფიული კატასტროფაო...

**ქვეყნის** მომავალს მიყურადებულს გზარავს „ნაცმოელების” სანაქებო იუსტიციის სახლის ბაქკანალია. (ამ საყურადღებო არქიტექტურულ კომპლექსში – ავტორი – **მ. ფუკსასი** – იდუმალებს მზაკვრული ჩანაფიქრი: იგი ზედხედიდან ლოტოსია. ჰომეროსიდან ცნობილია ლოტოფაგების სემანტიკა – სამშობლოს მჭამელების, სამშობლოს დამვიწყებლების, გნებავთ – სამშობლოს გამყიდველების შინაარსით. მიუსადაგებ ამ დედააზრს იუსტიციის სახლის გარეგნულ ბრჭყვიალებას და ყველაფერი ნათელი გახდება. ამ მოსაზრების გასაძლიერებლად დამატებით შემოვიშველიებთ ნიუ-დელიში 1986 წელს აღმართულ ბაჰაის სათაყვანებელი „ლოტოსის ტაძრის” რეპროდუქციას (ავტორი – **ფარიბორზ საჰბა)**, სადაც ნებისმიერი რელიგიის წარმომადგენელს შეუძლია ილოცოს, რამეთუ ეს მრევლი საკუთარი მეობის დამვიწყებელი კასტაა, იგივე ჩინგიზ აითმათოვის მანქურთები რომანიდან **„È ÄÎ ËÜØ Å ÂÅÊÀ ÄËÈÒÑß ÄÅÍ Ü”**). აქ კი, ჩვენთან, ამ ანტისახელმწიფოებრივ კამპანიაში, ფართო მასშტაბით ჩართულან ინდოელები, ჩინელები, არაბები და კიდევ – ათასი ჯურის მოქალაქენი გაფა-














ციცებული სომეხი თუ დოყლაპია ქართველი დილერების მესვეურობით. მე მოვითხოვე საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახურისაგან სტატისტიკური მონაცემები – რამდენ უცხოელს, რა ოდენობის მიწის ფართობი შეუძენია ლოტოფაგების იუსტიციის სახლის დაარსების დღიდან, მაგრამ მსგავსი ინფორმაციისათვის მათ საჯარო რეესტრის სააგენტოსკენ მიმითითეს.

**საპასპორტო** ვალდებულებანი ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ კუთხით სათანადო სამსახურები თითსაც არ ატოკებენ. მაგალითისათვის, ერთი ჩვენი თანამოქალაქე **ნ. შ.** ვერაფრით გადაურჩა დეპორტაციას ირლანდიიდან, იმისდა მიუხედავად, რომ იმათი ენა მშობლიურივით აითვისა, ყირმიზიც იყო და გავლენიან ხანდაზმულსაც უვლიდა მზრუნველობით. რა სურათია ჩვენთან?! არალეგალი ზანგი **ჯონსონ ვაესია ნიგერიიდან** (თუ მათხოვრის დაქართულებულს დაეჯერება), დღესაც ჯიუტად იწვდის ხელს რუსთაველის მეტროპოლიტენის შესასვლელთან. ეს ჟესტი ნეგროიდის თანამოქალაქედ აღიარების ფსიქოლოგიას ემსახურება. **„გაიღეთ მოწყალება შავკანიანი ქართველის მიმართო!”** გეჭედება გონებში, თითქოს მეტროპოლიტენის ვაგონებში დაჩოქილი ბოშა მათხოვრების არიები არ გვყოფნიდეს. იმოსებიან ნეგროიდები თეთრი ჩოხა-ახალუხებით ობივატელი ქართველების გულის მოსანადირებლად. მათ დეპორტაციაზე ხმის გაღება კი ქსენოფობიაა, რასიზმი. უნებურად გეფიქრება, რომ „ნაცმოელებს” მთელი პლანეტის საქართველოში შეყრა განუზრახავთ. ესეც – ნაკმაზი. ქართული მიწების დემოგრაფიული ფანდით დატაცების საქმეში გამოარჩევენ XXI საუკუნის ხანუმა **წ. ნ.**-ს, რომელიც ჩინებულად აკვარახჭინებს თურმე არალეგალების ჩამოსიძებას ხუთივე კონტინენტიდან. დიახ, უცხოელების მოზიდვის ციებ-ცხელებაა გაჩაღებული დღეს საქართველოში ქართველების ამოსაძირკვად! მაგალითისათვის, 1988 წლის აღწერით საქართველოში 5, 424 400 მოქალაქე აღირიცხა. აქედან ქართველი – 71,3 პროცენტია; 1995 წლის სტატისტიკით საქართველოს მოსახლეობა 5 061 700-ამდეა შემცირებული. 2003-ში – 4, 315 200 მოქალაქეა. აქედან ქართველი 1979-ში – 3, 433 000 მოქალაქეა, 1989-ში – 3, 787 000, 2002-ში – 3 661 000. ამას მივუმატოთ საუკუნეობით გვარნაცვალი ათასობით „ქართველი” თუ ბოლო 9 წლის განმავლობაში „ნაცმოელთა” საჩუქარი არალეგალების ჯგრო და მიმიხვდებით, სატაშფანდუროდ ნამდვილად არ გვცხელა.

**პროტოიბერიული** მოდგმის მისია გენიალური სალვადორ დალის ფერწერული ტილოთია მონიშნული – „ახალი ადამიანი...” 1943. (ამ მიმართებით გირჩევთ იხილოთ მაია ჭელიძე ჩინებული პობლიკაცია: „რა კავშირია ნატოსა და სალვადორ დალის მისტიურ ნახატს შორის”, „საერთო გაზეთი”, № 04, (238), 20-26. II, 2013. მობ.: 593 324 971) – მიშვერილია თითი კავკასიას, საიდანაც უეჭველად უნდა აღმოცენდეს კაცობრიული ხსნა. გავიხსენოთ იოანე-ზოსიმე: „დამარხულ არს ენაი (მოდგმა, ტომი, **ზ. გამსახურდია)** ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა, საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამ ენასა ლაზარე ჰქვიან”.

**კანონი** ატუსაღებს დამნაშავეს; მეთევზენი ზღვის მორიელს შხამს ამოაცლიან და გაუშვებენ ხოლმე. ქართული მწერლობაც ასე იყო ოდითგან (ი. **ჭავჭავაძე, ა. ბაქრაძე, ზ. გამსახურდია)**, ამხელდა საზოგადოების წურბელას და სამშვიდობოს ისტუმრებდა ნიღაბახდილს. ამოანთხევინე უსამართლოდ მისაკუთრებული სახალხო დოვლათი ვიგინდარას და მიუშვი ნებას, იხუნტრუცოს ქვეყანაზე ნიადაგ შეჩვენებულმა. აბა, ისევ ხალხის ფულს ხომ არ მიახარჯავ დამატებით ცხრაკლიტულში გამოსასუქებლად?! ჩვენი კრედო შეუთავსებელთა შეთავსებაა – თეზა-ანტითეზა-სინთეზი (ჰეგელი); ჩვენი კრედო თავისუფლებაა – შეგნებული აუცილებლობა (მარქსი); ჩვენი კრედო მრავალერთიანობაა – ნაწილისა და მთელის თანამშრომლობა (კანტი), მაგრამ ქვეყნიერებაც რომ დაიქცეს მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს! (რომაული **სენტენცია)**. და აი, ამ საუნჯეების მეპატრონე ხალხს, რომელიც დღესაც ჯიუტად იმეორებს ზოგადკაცობრიულ სტრიქონებს: „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისაო”, 9 წელიწადია ულტრაგლობალისტი „ნაცმოელები" უქართველებო საქართველოს გვიკმაზავდნენ ლოტოსისსახურავიანი იუსტიციის სახლის სალაფავით, მაგრამ იღბალზე თანადროულად მოგვწევია კოალიცია „ქართული ოცნების" გამთენიაც და მერამდენედ მოტყუებულო ქართველობავ, სრული იავარქნისაგან გადარჩენა ბეწოთი მაინც თუ გვწადია, პრემიერ-მინისტრის გვერდით ყველა!

# გვჭირდება თუ არა ოკუპაციის მუზეუმი

„მუზეუმი“ თავისთავად უწყინარი სიტყვაა. მისი წარმოთქმისას თვალწინ გვეხატება ქუჩის ხმაურისაგან იზოლირებული, გრილი, ისტორიული სიძველეებით სავსე დარბაზები. იქ სტუმრობის შემდეგ დიდი ხანი არ გვტოვებს სიმშვიდის, სიამაყისა და ბედნიერების განცდა. ასეთივე მორალური და ესთეტური დატვირთვა აქვს ძეგლს, ისტორიული მოვლენისა თუ ცალკეულ პერსონათა ხსოვნისადმი მიძღვნილ ნებისმიერ მემორიალს. ასეა ნებისმიერ ქვეყანაში - თითქმის ყველგან...

თუმცა არსებობენ ე.წ. ვიქტიმური ადამიანები და ერებიც კი. ვიქტიმურობა (ეს სიტყვა ახალმოდური ტერმინია) გარკვეული კომპლექსია - ჩაგრულის კომპლექსი, როცა ადამიანი (ერი) ვერ ივიწყებს




განცდას, რომ მას მუდმივად ჩაგრავდნენ და ჩაგრავენ. როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ზოგიერთისათვის ეს სიამაყის (?) საფუძველიც ხდება. ეს გრძნობა გარდა დიდი ტკივილისა, მაზოხისტური ტკბობის საგნადაც იქცევა და ამიტომ ვიქტიმურ ადამიანებს (ერებს!) არ შეუძლიათ და არც სურთ საკუთარი ვიქტიმურობიდან გამოსვლა; ამიტომაცაა, რომ ზოგიერთი ერი საუკუნეების წინათ განცდილ ტრაგედიას გუშინდელივით მძაფრად განიცდის და „დამნაშავეებთან“ დღემდე მტრობს.

ასეთი ერები ქმნიან საკუთარი ვიქტიმური განცდების უკვდავსაყოფ საკულტო ნიშნულებს, გენოციდების მემორიალებს, მუზეუმებს



ქართველისათვის ვიქტიმურობა არასოდეს ყოფილა დამახასიათებელი და სწორედ ესაა ჩვენი ოპტიმისტური ბუნების, მარადიული ახალგაზრდობის, მომავლის რწმენის საფუძველი.

ჩვენ ომებსა და ბრძოლებში ბევრჯერ დავმარცხებულვართ; ალბათ, ბევრად მეტჯერ, ვიდრე გაგვიმარჯვია, მაგრამ დაჩაგვრით ვერავინ გვჩაგრავდა. ოკუპირებულიც ბევრჯერ ვყოფილვართ, მაგრამ ოკუპაციის პირობებშიც ოკუპანტი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქართველის უტეხი ხასიათისათვის და ყველანაირად ცდილობდა კომპრომისის მიღწევას დამარცხებულ, მაგრამ მაინც გაუტეხავ „მცირე ერთან“. ქართველის ბუნებას ყველაზე ლაკონურად „ვეფხისა და მოყმის“ ბალადა გამოხატავს, რომელიც უნიკალურია და საფუძველშივე სპობს ვიქტიმურობის მორალურ საფუძვლებს. ოკუპაციის მუზეუმი იმთავითვე არაქართული მოვლენაა, რადგან იგია ერის სულმოკლეობის, მონური სულისკვეთების, ლაჩრობის საბუთი;

ეს არაქრისტიანულიცაა!

ბოღმის, სიძულვილის, ზიზღის გულში ჩახვევა და მუდამ ამ სიბინძურით ცხოვრება რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას სამშობლოს არ შეუძლია.

თქვენ წარმოგიდგენიათ, რუსული ოკუპაციის მუზეუმთან ერთად რომ გავხსნათ სპარსული, ბერძნული, არაბული, ოსმალური ოკუპაციის მუზეუმები?! მათ რა, ნაკლები ზიანი მოუყენებიათ საუკუნეების მანძილზე? მარტო ასი ათასი წამებულის ხსენება რად ღირს! ამის გამო ხომ ანათემას უნდა გადავცემდეთ „დამნაშავეებს“?!

ჩვენ ვუფრთხილდებით წამებულთა ხსოვნას; მემორიალებს ვუგებთ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს, მაგრამ არა იმისათვის, რომ სიძულვილის ეკალი ვახაროთ ჩვენს სულში, არამედ სიყვარულის ნერგის გადასარჩენად.

ამიტომაც მიმაჩნია, რომ რუსული ოკუპაციის მუზეუმი არაქართული მოვლენაა და მისი გახსნის ინიციატორიც არ არის ქართველი!

ასეთი მუზეუმები ჩვენი ერის სულიერი გადაგვარების საქმეს ემსახურება, რასაც, ნებსით თუ უნებურად, ასე მონდომებით ცდილობდა ნაცმოძრაობა.

ასეთი რამ სხვა ეპოქის არც ერთ ქართველს არ მოსვლია თავში.

მიმაჩნია, რომ ქართულ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს სიბრძნე, გაუფრთხილდეს ერის სულიერ ღირებულებებს და ოკუპაციის მუზეუმითან გააყოლოს მის შემქმნელ, ისტორიულ მოუსავლეთში მიმავალ პოლიტიკურ გუნდს.

**თემურ კვირკველია**

# შავიშვილების შავი საქმეები და „სამართალი“, რომელიც თაღლითებს იცავს

ერთ გახმაურებულ საქმეზე მინდა გიამბოთ: 2005 წელს დიდი ქართველი მეცნიერის კორნელი კეკელიძის შთამომავალმა, პროფესიით ექიმმა, არაერთი წიგნისა და პიესების ავტორმა, ქალბატონმა ირმა კეკელიძემ და მისმა მეუღლემ, რუსთაველის თეატრის მსახიობმა თენგიზ გიორგაძემ 42 ათასი ამერიკული დოლარი გადაიხადა ბინის მშენებლობისთვის. თანხა შეიტანეს შპს „თისიჯში“, რომლის ხელმძღვანელიც და ერთადერთი დამფუძნებელი იმ დროისათვის იყო ირინა გოგლიძე, რომელიც ქალბატონი ირმას თანამშრომელია, მაგრამ თანხის გადახდის შემდეგ ხელშეკრულება გააფორმა არა ირინე გოგლიძემ, არამედ მისმა დამ მარინე გოგლიძემ, თანაც ამხანაგობა „ბახტრიონი – 2005“-ის სახელით. თანხის გადახდამდე თითქოს მარინე გოგლიძეს და მის სიძეს, ახლო წარსულში ცნობილ კიტა შავიშვილის ვაჟს ზურაბ შავიშვილს ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდათ მშენებლობის დასაწყებად... მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ ეს მშენებლობა აღმოჩნდა ფიქტიური, რომლითაც ისინი დიდ თანხებს ითვისებდნენ. ხუთი წლის ამაო ლოდინის შემდეგ ქალბატონმა ირმა კეკელიძემ განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს პროკურატურას, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე (№007102159) პროკურორ სოფიო ბარაბაძის ზედამხედველობის ქვეშ (გამომძიებელი ნანა ჯიმშელიძე) რომლებიც შეჰპირდნენ მომჩივანს, რომ თანხის მიმთვისებლები დაისჯებოდნენ, თუმცა სამი დღის მერე იმავე გამომძიებელმა დაურეკა ქალბატონ ირმას, რომ შავიშვილების და გოგლიძეების ოჯახის წევრებმა ყველამ პირობა დადეს თანხის უმოკლეს ვადაში დაბრუნებაზე, თუმცა მას მერე ბევრმა „წყალმა ჩაიარა“, მაგრამ 8 წლის განმავლობაში კეკელიძეს მხოლოდ 10 ათასი დოლარი დაუბრუნეს შავიშვილებმა, ისიც 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ... მანამდე კი ზურაბ შავიშვილს ისიც კი უთქვამს ირმა კეკელიძისთვის: – „იქ სადაც ზურაბ და ნიკა შავიშვილები არიან (ნიკა ზურაბ შავიშვილის ძმაა), არავის არაფერი გაუვაო, ვინაიდან მე და ჩემს ძმას მხარს ისეთი კაცი გვიჭერს, როგორიც არის გივი თარგამაძე და მისი ძმა – ჩვენ ბიზნესპარტნიორები ვართ. ასე რომ გირჩევნია წყნარად იჯდე შენთვის და შეეგუო რეალობასო“.


ირმა კეკელიძე

კეკელიძეს ბევრჯერ უცდია ადამიანურად მორიგებულიყვნენ, შეთანხმებულიყვნენ ვადებზე, დაებრუნებინათ მისთვის თანხა, მაგრამ ზურაბ შავიშვილი, როგორც გითხარით, მუქარაზე გადადიოდა. არადა, შავიშვილის მხრიდან ვალდებულების აღიარება რომ არ ყოფილიყო, მაშინ კეკელიძის ანგარიშზე, ყოველგვარი მორიგების აქტის გარეშე იგი 10.000 ამერიკულ დოლარს ხომ არ დააბრუნებდა? არსებობს კიდევ ერთი ამხანაგობა „ცეკური“, სახელწოდება ერთობ საინტერესოა, თუმცა ასეთ რამეს იმ ძველ ცეკაში არავინ გაბედავდა, რადგან აღნიშნულ ამხანაგობას ერთი სახლიც არ აუშენებია.

წინა ხელისუფლების დროს არაერთი მშენებელი იყო დაპატიმრებული, რომლებმაც ხელშეკრულებებიც გაუფორმეს კლიენტებს, სამუშაოებიც აწარმოეს, მაგრამ თანხის რაღაც ნაწილის არამიზნობრივად გახარჯვისა და ვადების დარღვევის გამო წლობით იჯდნენ ციხეში. საინტერესოა, რა „იმუნიტეტი“ იცავს შავიშვილებსა და თარგამაძეებს?! როგორც პარლამენტარმა თინა ხიდაშელმა განაცხადა ამას წინათ: ციხე არ გვსურს ჩინოვნიკებით და კვალიფიციური პატიმრებით შევავსოთო, ასეთი ადამიანები ჰყავდა ხიდაშელს მხედველობაში?

არის კიდევ ერთი არგუმენტი, რითაც თავს იმართლებენ შავიშვილები კეკელიძეებთან. მათი თქმით, საქმე შეწყდა თურმე დავით საყვარელიძის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე და ეს ცნობა გამოძიებას წარუდგინეს შავიშვილებმა, რითაც თავი გაიმართლეს. ეს მაშინ ხდებოდა, როცა დავით საყვარელიძე მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა.

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ 2012 წლის 31 დეკემბერს ქალბატონმა ირმა კეკელიძემ განცხადებით მიმართა მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს (№13-90908), სადაც იგი კბილაშვილს სთხოვდა მისი განცხადება შესასწავლად ისევ არ გადასცემოდა ვაკე-საბურთალოს პროკურორს სოფიო ბარაბაძეს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გამოძიება შავიშვილების სასარგებლოდ წარმართულიყო. ეს ის შემთხვევაა, როცა ბრალდება ძალადობს კანონზე და ამას „ძლიერნი ამა სოფლისანი“ ადვილად ახერხებენ. მთავარ პროკურორთან გაგზავნილ წერილში ქალბატონი ირმა აგრეთვე ითხოვდა შეწყვეტილი საქმის (№007102159) ხელახალ გამოძიებას, სადაც უნდა ჩართულიყო გამოცდილი ფინანსისტი, რომელიც ადვილად გაარკვევდა კეკელიძის თანხის თაღლითურად მითვისების საქმეს. მიუხედავად დაზარალებული ირმა კეკელიძის არაერთი ცდისა, მისი ყოველი განცხადების საბოლოო ადრესატი მაინც სოფიო ბარაბაძე. იყო. პროკურორმა ბარაბაძემ ამა წლის 31 იანვარს ირმა კეკელიძეს გაუგზავნა პასუხი, სადაც იგი მიუთითებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 106-ე მუხლის I-ლი ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს მხოლოდ ერთხელ აქვს გასაჩივრების უფლება ზემდგომ პროკურორთანო, როგორც ჩანს, ძველი ბრალმდებელი დაზარალებულ კეკელიძეს უკრძალავს განცხადების შეტანას ახალი მთავრობის სტრუქტურებში. ე.ი. ირმა კეკელიძე მხოლოდ პროკურორ ბარაბაძის მითითებით უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა დარჩეს წინა მთავრობაში მომუშავე პროკურორების ადეიშვილის, ზოდელავას და მათ „ძმათა“ დროს გამოტანილი განაჩენების ამარა, ის მაინც ასწავლოს ძველმა პროკურორმა ბარაბაძემ დაზარალებულ კეკელიძეს უცხოეთში გაქცეული მთავარი პროკურორი სად ეძებოს?

ეს წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა შევიტყვეთ, რომ ახალი ხელისუფლება გაქცეული პროკურორების გარდა ისევ ძველ სკამებზე მსხდომი პროკურორების „საქმეებით“ უკვე დაინტერესებულა! ნუთუ დადგება ისეთი დრო, როცა ქართველი კაცი აღარ იტყვის: „დავწვი შენი სამართალი, შენი კანონმდებლებიო“.

**ნანა სულავა**

## შინაგან საქმეთა მინისტრი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეხვდა

სტრასბურგში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან ტორბიორნ იაგლანდს შეხვდა.

ორმხრივი შეხვედრა გენერალური მდივნის ოფისში ხელმოწერის ცერემონიით დაიწყო. ხელი მოეწერა დოკუმენტებს: ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების, კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ კონვენციას; კორუფციის შესახებ სისხლის სამართლის კონვენციის დამატებით ოქმს; სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების ევროპული კონვენციის მეორე დამატებით ოქმს.

შსს-ს ინფორმაციით, შეხვედრის დასრულების შემდეგ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილე გაბრიელა ბატაინი დრაგონმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანდასწრებით, ხელი მოაწერა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს გაერთიანებულ პროგრამას ჯანდაცვის კუთხით საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ასევე შეხვდა საქართველოს მეგობარი ქვეყნების ელჩებს. საუბარი შეეხო ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, მიმდინარე რეფორმებს და თანამშრომლობას ევროპის საბჭოსთან. გარდა ამისა, გაიმართა შეხვედრა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დირექტორატის გენერალურ დირექტორ ფილიპ ბოიასთან.

ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მდივან ვოიჩეკ სავიცკისთან.

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# თვითგადარჩენის ინსტინქტი

## საქართველო — კავკასიაში მართლმადიდებლობის ბურჯი და ევრაზიული ქრისტიანული ღერძის მთავარი რგოლი

**გულუბრყვილობაა იფიქრო, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებები წარმატებით მიმდინარეობს. პროცესი რთულია და ამ სირთულეს განაპირობებს ბევრი ფაქტორი: „წითელი ხაზები“, რამა ორივე მხარის კომპრომისს საზღვარი დაუწესა; არ არსებობს „საგზაო რუკაც“, რომლითაც მომავალი ურთიერთქმედებისა და მკაფიო კეთილგანზრახულობის არეალი განისაზღვრებოდა. მართლაცდა, რისი მოლოდინი გვაქვს ჩვენ, რუსებსაც და ქართველებსაც და რა იქნებოდა ამ მოლაპარაკებების ყველაზე სასურველი შედეგი?**



**რა სურს რუსეთს?**

ეს მთავარი შეკითხვაა და მასზე პასუხი არ არის იოლი. მსხვილი ბიზნესი, „ლუკოილი“, „ბილაინი“, „ინტერრაო“, „ვნეშტორგბანკი“, აგრეთვე სხვა სავაჭრო ბრენდები, 2008 წლის ომის შემდეგ, კვლავ განაგრძობენ საქმიანობას საქართველოში. დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობა ბიზნესმენებისთვის, გარკვეულწილად, ხელსაყრელი ფაქტორია — ასეთ პირობებში საქმიანობის სრული გამჭვირვალობა შეუძლებელია. გეგმები უნდა გაიაზროს და ჩამოაყალიბოს მრავალვექტორიანმა სახელმწიფო მანქანამ, რომელსაც დღესდღეობით არ გააჩნია გასაგები და გამაერთიანებელი იდეოლოგია და რაც მთავარია, იგი, პოლიტიკური გავლენის მოსაპოვებლად, კლანებს შორის სასტიკი ბრძოლის პირობებში ცალკეულ ფრაგმენტებად იშლება. საერთაშორისო მოლაპარაკებებისთვის ახლა რუსეთს კარგი დრო არ უდგას.

სწორედ ასეა: საქართველოსთან მოლაპარაკებები რუსეთის უახლოესი ათწლეულის მომავალს განსაზღვრავს. ეს არის მკაცრი გამოცდა, რომლითაც ერთი მხრივ, საგარეოპოლიტიკური მოქმედებები საშინაო იდეოლოგიის საფუძვლებს განაპირობებს და მეორე მხრივ, სერიოზული გეოპოლიტიკური სიგნალია რუსეთის პოტენციური პარტნიორებისთვის, რომლებსაც საქართველოსთან რთული ურთიერთობის მაგალითით შეუძლიათ შეაფასონ, რამდენად მომლაპარაკებელი მხარეა რუსეთი.

როგორ ხედავს რუსეთის ხელისუფლება საქართველოს იდეალურ პოზიციას მიმდინარე მოლაპარაკებებისას?

ზოგიერთ მოსკოველ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ საქართველო ყოველმხრივ ესწრაფვის ნატო-ში შესვლას იმისთვის, რომ რუსეთის ჯინაზე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მისი მოკავშირეების გეოპოლიტიკურ ავანტიურებს თავისი აეროდრომები შესთავაზოს. რუსეთში საქართველოს შესახებ ბოლო წლების პუბლიკაციებით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ: რუსეთს სურს, თავისმა სამხრეთელმა მეზობელმა უარი თქვას დასავლურ სამყაროში ნებისმიერ ინტეგრაციაზე, აღიაროს გამოყოფილი ტერიტორიების, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა და მისცეს სატრანსპორტო დერეფანი.

ნაწილობრივ, ეს ყველაფერი აქტიური პროპაგანდისა და თვითდარწმუნების შედეგია, შესაბამისად, იგი ხელს უშლის რუსეთის საზოგადოებას, ჩასწვდეს საქართველოს რეალურ მოთხოვნილებებს. რუსეთი თავისი საშინაო პრობლემების მოგვარებისას, ელექტორატის მოსაზიდად და საექსპერტო საზოგადოების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად აქტიურად იყენებდა ანტიქართულ რიტორიკას. დღესდღეობით, თითქოს უვნებელი პროპაგანდისტული მუშაობის შედეგები რუსეთის საერთაშორისო რეპუტაციასა და მის გეოპოლიტიკკრ მომავალზე აისახება.

პრაგმატული თვალსაზრისით, რუსეთს სჭირდება საქართველო, რომელმაც შეინარჩუნა თვითმყოფადობა და საერთაშორისო დამოუკიდებლობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. საამისოდ საქართველო უნდა მოღონიერდეს ეკონომიკურადაც და დემოგრაფიულადაც. საქართველო — კავკასიაში მართლმადიდებლობის ბურჯი და ევრაზიული ქრისტიანული ღერძის მთავარი რგოლია. საქართველოს დაშლა იმას ნიშნავს, რომ რუსეთი დაკარგავს ჩრდილოეთ კავკასიას და თავის გეოპოლიტიკურ კონკურენტებს, ყველას ერთად, გააძლიერებს. ევროსტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანების სურვილი არ უნდა განვიხილოთ როგორც რუსეთის გამოწვევა.

რუსეთისთვის პრაგმატული უნდა იყოს შემდეგი კონსტრუქცია: საქართველოს შეუძლია და უნდა განსაზღვროს კიდეც თავისი მომავალი დამოუკიდებლად. იმავდროულად, რუსეთისთვის უმნიშვნელოვანესია სავაჭრო და ჰუმანიტარული სრულფასოვანი ურთიერთობების აღდგენა და განვითარება, აგრეთვე ერთობლივი საერთაშორისო დღის წესრიგის შემუშავება. ამით შეიქმნება და დაგროვდება კიდეც ურთიერთქმედების პოზიტიური გამოცდილება. როცა ქართულ პროდუქციას რუსეთის ბაზარზე ვაბრუნებთ, ნუ დავაყვედრით საქართველოს. ამით ჩვენს თავს ვარიდებთ სამომავლო უსიამოვნებებს — სამხრეთელი მეზობლის ეკონომიკური ცხოვრების დეგრადაცია კავკასიის შუაგულში ფატალურ ცვლილებებს გამოიწვევს.

**რა სურს საქართველოს?**

სურს დაიბრუნოს თავისი ტერიტორია, თუმცა ამის შესახებ — ოდნავ მოგვიანებით.

თუ რუსეთი დასუსტდება და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის შინამტრები გაიმარჯვებენ, ეს საქართველოსთვისაც კატასტროფა იქნება. საქართველოში იციან, გეოგრაფიულად როგორ ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს მათი ქვეყანა. რუსეთსა და სომხეთს შორის სატრანზიტო გზით უზრუნველყოფა მხოლოდ შემოსავალი როდია; ეს არის სტაბილური ურთიერთობა ერთადერთ მეზობელ სახელმწიფოსთან, რომელიც პოტენციური აგრესორი არ არის. საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტს სურს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ იმავე გამოკითხვით, ჩრდილოელი მეზობლისგან სამხედრო საფრთხესაც ხედავენ. სწორედ ამით არის განპირობებული „ევროპული ოცნება“ პატარა სახელმწიფოსი, რომელიც არათუ ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაციას აპირებს, პირიქით, სურს, მეზობლებს შორის სახე შეინარჩუნოს.

**ვინ ეწინააღმდეგება კონსტრუქციულ დიალოგს?**

მომლაპარაკებელ მხარეებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ ძალები, რომლებსაც ხელს აძლევთ ომის მდგომარეობა: რუსეთში — ისინი, ვინც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტებით იხეირა, საქართველოში კი — სააკაშვილი და მისი პარტია. და კიდევ ისინი, ვისთვისაც რუსეთ-საქართველოს ახლანდელი ურთიერთობა „ელდორადოა“ „კლონდაიკთან“ ერთად — „ომი ხომ ყველაფერს ჩამოწერს“.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: რუსეთში არავინ იცის, რომ თბილისის გრიბოედოვის თეატრში გაიმართა ვისოცკის ხსოვნის საღამო, სადაც რუსი და ქართველი მომღერლები მღეროდნენ. „რუსულ სექტორს“, რომელიც საზოგადოებრივი რუსულენოვანი საკოორდინაციო საბჭოს ეგიდით მუშაობს, ამ უპრეცედენტო „კულტურული დიპლომატიის“ ფაქტზე რეაგირება არ გამოუხატავს. თბილისის თეატრის გარდა, დედაქალაქსა და რეგიონებში მუშაობენ პუშკინის საზოგადოებები, რუსული ენის მასწავლებელთა ასოციაციები, რუსულენოვანი ჟურნალისტები, რომლებსაც არა რუსეთის საელჩო, არამედ ქართველი ბიზნესმენები და ფონდი „რუსული სამყარო“ აფინანსებენ. მართლაც და, როგორც ფილმ „მიმინოშია“, ბევრ თბილისელ რუსს ახრჩობს სირცხვილის ცრემლი, როცა ისინი თბილისში ეგრეთ წოდებულ „რუსეთის საელჩოს“ ჩაუვლიან ხოლმე.

**ტერიტორიების შესახებ**

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების პრობლემების მოგვარებისას კომპრომისი გარდაუვალია. აუცილებელია, დადგინდეს როგორც საერთო ინტერესები, აგრეთვე ამ ტერიტორიასთან დაკავშირებული საერთო საფრთხეები. რუსეთიცა და საქართველოც უწინარესად დაინტერესებულია, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მშვიდობისა და განვითარების ტერიტორიად იქცეს. არადა, ნახევრად აღიარებული სახემწიფოს დე-იურე სტატუსი მოვლენათა მშვიდობიან განვითარებას ვერ უზრუნველყოფს.

რუსეთი ნელ-ნელა ველარ აკონტროლებს აფხაზეთს, საიდანაც რუს მოსახლეობას ავიწროებენ. თურქეთი აჭარასთან ერთად აფხაზეთის აქტიურ გათურქებასაც ცდილობს. ეს პროცესი რომ გაგრძელდეს, სოხუმი რისკავს, გახდეს პრიშტინა, ხოლო აფხაზეთი — კოსოვოს ახალი ვერსია. შესაბამისად, აფხაზეთი არა მარტო რუსეთ-საქართველოს დიალოგის ბარიერი გახდება, არამედ ორივე ქვეყნის საფრთხეც. მოსკოვიცა და თბილისიც შეშფოთებით თვალს ადევნებენ, რა ხდება დაღესტანსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში. საქართველოსაც და რუსეთსაც საერთო საფრთხე ემუქრებათ, მათ შორის — უშუალოდ საქართველოს დაკარგულ ტერიტორიასთან დაკავშირებული. სამხრეთ ოსეთშიც ახალგაზრდობის გამუსულმანების ნიშნები შეიმჩნევა, თანაც არა ტრადიციული, არამედ ექსტრემისტული ფორმით. ეს ყველასთვის სარისკო ფაქტორია.

ურთიერთკომპრომისები არა სისუსტის, არამედ ორი ხალხის თვითგადარჩენის ინსტინქტის გამოვლენაა. ორივე ქვეყნისთვის პრიორიტეტი უნდა გახდეს ქრისტიანული კულტურის ერთიანი სივრცე — არა მხოლოდ რუსეთისა და საქართველოსთვის, არამედ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვისაც.

# სააკაშვილს გავლენას ნაწილ-ნაწილ ართმევენ

**საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საპარლამენტო ცვლილებები, რომლებიც პრეზიდენტს ართმევს უფლებას, ერთპიროვნულად დანიშნოს და დაითხოვოს პარლამენტი. ამ ცვლილებებს მხარი დაუჭირეს სააკაშვილის პარტიის დეპუტატებმა. ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასა“ და პრეზიდენტის მომხრე დეპუტატებს შორის კომპრომისის შედეგია.**

ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ ლიდერს ეძებს იმისათვის, რომ პოლიტიკურ ავანსცენაზე თავი შეინარჩუნოს. ზოგიერთი ექსპერტი საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის ნაციონალების მხარდაჭერას სწორედ ამით ხსნის. მოძრაობის წარმომადგენლები აღიარებენ, რომ მათ ახლა მხარს მოსახლეობის 10-12 პროცენტი უჭერს. ისინი თითქოს ჩასაფრებული არიან, რომ კოალიციამ და მისმა ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა წინასაარჩევნო დაპირებები ვერ შეასრულონ და ამით პოლიტიკურ სცენაზე მთავარი ოპოზიციური მოთამაშის ადგილი შეინარჩუნონ.

საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად, სააკაშვილმა დაკარგა უფლება, მოულოდნელად გაათავისუფლოს თავისი მთავარი მეტოქე — პრემიერი ბიძინა ივანიშვილი. პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტი რომც დაითხოვს, ყველა მინისტრი გააგრძელებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ახალ არჩევნებამდე, თუ პარლამენტი კვლავ მხარს დაუჭერს მათ.



აქამდე პრეზიდენტს, პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ, შეეძლო მთავრობის დათხოვნაც და ახლის დანიშვნაც. ეს უფლება ახლანდელმა პრეზიდენტმა კონსტიტუციაში 2004 წელს შეტანილი ცვლილების შემდეგ მოიპოვა. შემდგომ წლებში ოპოზიცია ცდილობდა მისი უფლებების შეზღუდვას, მაგრამ ეს მხოლოდ „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა.

ახლა პრეზიდენტი ჯიუტობს და პარლამენტის დღის წესრიგში „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონპროექტის შეტანას ეწინააღმდეგება. ამ საკითხზე უთანხმოებაა უმრავლესობასა და უმცირესობას შორის. ბიუროზე განსახილველად მაინც გაიტანენ კანონპროექტს, რომელიც სააკაშვილმა დაბლოკა. ამ ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, პრეზიდენტს ერთმევა უფლება, გააკონტროლოს უმაღლესი დონის მოსამართლეები. ოპოზიციას იმედი აქვს, რომ უმრავლესობასთან ამ საკითხზეც შეძლებენ მოლაპარაკებას.

ამავდროულად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარეები. ამის შესახებ ჟურნალისტებს თავად ვალენტინა მატვიენკომ განუცხადა. მისი თქმით, „ნებისმიერი დიალოგი სჯობს უიმისობას. შეხვედრა შესაძლებელია საერთაშორისო ან რომელიმე სხვა ფორმატით. რუსეთი ხედავს საქართველოს ინიციატივას, ახლა ეს სიგნალი კონკრეტული საქმეებით უნდა განმტკიცდეს“.

თუკი ეს შეხვედრა გაიმართება, ეს იქნება მაღალი სახელმწიფო მოღვაწეების პირველი ოფიციალური კონტაქტი 2008 წლის ომის შემდეგ.

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

# გაგიკ დავთიანი — „ღია ბარათი"



*22 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა, ცნობილი სომეხი პოეტის გაგიკ დავთიანის წიგნის - „ღია ბარათი" პრეზენტაცია.*

*პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, სომხეთის კულტურის მინისტრი ჰასმიკ პოღოსიანი, საქართველოსა და სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეები, სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჰოვანეს მანუკიანი, მოწვეული სტუმრები.*

*წიგნი „ღია ბარათი" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და გამომცემლობა "მერანის" მხარდაჭერით გამოიცა.*

*გაგიკ დავთიანი - ცნობილი სომეხი პოეტი, ქართული პოეზიის ანთოლოგიის სომხურად მთარგმნელი და გამომცემელი მრავალი პრემიის ლაურეატია, საქართველოში მიღებული აქვს ივანე მაჩაბლისა და მაიაკოვსკის (საერთაშორისო) პრემიები.*



## როცა მიდიხარ...

ო, ეს ობლობა, წმინდა და სუფთა,
ეს უსახლკარო, დაღლილი გული,
როგორ გაუძლოს იმან
მთელი სამყაროს ტკივილს,
სად შეაფაროს თავი ნეტავ ამ სამყაროში,
სად დაეტიოს
ამ ვიწრო და ბნელ სამყაროში?
როცა მიდიხარ ასე ჩუმად, ასე უსიტყვოდ,
ზეიმობ, რადგან გგონია რომ ნეტარი თრობა
ფიქრით, რომ ძლიერ, ძლიერ უყვარხართ,
უფრო ტკბილია, ვიდრე ტანჯვა სიყვარულისა.
ზეიმობ, რადგან შენ არ უწყი,
როდესაც ასე მიდიხარ ჩემგან,
ჩემგან კი არა
შენი თავისგან მიდიხარ მხოლოდ
და არაფერი თან არ მიგყვება.
შენ ცხოვრობ ჩემი გულის მღვიმეში
როგორ ნამსხვრევი
და თუ არ გინდა ჩემი დაღუპვა,
შეეშვი იმას, ხელს ნუ ახლებ,
რამეთუ უკვე
ნამსხვრევი ჩემს გულს ჩაეზარდა
სამარადისოდ...

## ხსოვნა - ბუმერანგი

სად, სად დატოვე წინანდელი შენი ღიმილი —
დამიბრუნე!
სად, სად დატოვე გამოხედვა, თბილი და ნაზი —
დამიბრუნე!
სად გაქრნენ, ნეტავ, შენს სიტყვებში
მობორიალე
ის იდუმალი მითები და ის ლეგენდები —
დამიბრუნე!
მთელ საუკუნეს დაგეძებდი,
კვალში მოგდევდი
და მაინც ვეღარ წამოგეწიე.
სად, სად დატოვე შენი თავი,
სად, სად დატოვე —
დამიბრუნე!

და ახლა, როცა მარტოობამ
დამრია ხელი,
მითხარი, რა ვქნა,
როგორ ვუთხრა,
როგორ ვუბრძანო
ხელებს ჩემსას,
თვალებს ჩემსას,
ბაგეებს ჩემსას:
— დაივიწყეთ!
— დაივიწყეთ!
— დაივიწყეთ!

## მზე და ჩვენ

ის გასცემს მხოლოდ
და სანაცვლოდ არაფერს ითხოვს,
ჩვენ ვიღებთ მხოლოდ,
ჩვენ ვართმევთ მხოლოდ,
სანაცვლოდ კი არაფერს ვაძლევთ.
უფრო მეტია იგი ჩვენთვის,
ვიდრე შვილთათვის
დედა,
ის უფრო მაღალია,
უფრო შორს არის,
მარად ნათელი და სხივოსანი.
ო, იმას ჩვენი სიმღერები
არა სჭირდება,
არც ჩვენი ცრემლი,
არც სიქველე
და არც დიდება,
მას არ აწუხებს,
სულერთია მისთვის ყოველი,
არის თავისთვის
და ანათებს შუქით ცხოველით.

და აი, უკვე მერამდენე საუკუნეა
მისი გულწრფელი გულუხვობით,
უანგარობით,
სიკეთითა და თავმდაბლობით
განცვიფრებულნი
თაყვანს ვცემთ კრძალვით,
ვით სასწაულს დაუსრულებელს.

მაგრამ მე ვიცი, რადგან ვიცნობ კაცის
ბუნებას,
მას და ჩვენს შორის
თუ ოდესმე უთანხმოება
ჩამოვარდება
და შეგვმოსავს იგი შავებით
არა ის, მხოლოდ ჩვენ ვიქნებით
დამნაშავენი...



## უარმყავი!...

არ შეიძლება ასე გაგრძელდეს,
არ შეიძლება ასე ცხოვრება:

— არ მოხვიდე, გემუდარები,
დღეს არ მოხვიდე,
არ მინდა ზიზღით მოგიხურო სახლის კარები...

— არ მოხვიდე, მე თვითონ მოვალ,
მე მოვალ, ოღონდ შენ უარმყავი,
უარმყავი დღეს სამუდამოდ!...
უარმყავი, გემუდარები,
რადგანაც მინდა იმგვარი დავრჩე
და ისეთივე,
როგორიც შენ
ერთხელ მიხილე...
უარმყავი დღეს სამუდამოდ,
თუ გსურს, რომ შენთვის ვარსებობდე
და ვარსებობდე ისეთივე,
როგორიც შენ ერთხელ მიხილე...
არ მოხვიდე, გემუდარები,
დღეს არ მოხვიდე,
არ მოხვიდე, მე თვითონ მოვალ.
გამაგდე შენი სახლის ზღურბლიდან;
მე მინდა მუდამ
იმგვარი დარჩე,
როგორიც ჩემთვის გამოგძერწე,
ჩემთვის შეგქმენი,
არ მსურს ციური საბურველი შემოგეძარცვოს...
უარმყავი დღეს სამუდამოდ!
გემუდარები, არ მოხვიდე!...

## ჩვენი ოცნებები

ღამე სავსეა
ჩვენი ფიქრების
და ოცნებების
ჩუმი ლანდებით...
(რას გვპირდება
დღე ხვალინდელი?...)

ყველა ფერმკრთალი
და წარმავალი
სიზმრიდან ბოლოს
ჩვენ რაღაც გვრჩება
საოცნებარი, —
გამოუცნობი ლამაზი გრძნობა,
რომელიც
დღეთა
და წელთა შემდეგ
გვაგრძნობინებს
ამ ცხოვრების იდუმალებას...

ასრულებული
ყველა ოცნება
თვითონ ჩვენსავე
ცხოვრებას უდრის,
ხოლო ოცნება
აუხდენელი
თანდათანობით
მზის ნათელს გვიხშობს,
საფრენ ფრთებს გვკვეცავს,
უჯრედებად გვაშორიშორებს,
გვანცალკევებს ნაწილ-ნაწილად,

მაგრამ მაინც
მარადიულ ოცნებით ვცხოვრობთ.

## სიმღერის დაბადება

ალბათ, გინახავთ,
როგორ
წვეთავს
კლდის ქიმზე წყალი...
როგორ
თანდათან,
ნელა-ნელა
გროვდება წვეთი,
როგორ იზრდება,
იწელება
და შემდეგ... წყდება...
ალბათ, ამგვარად იბადება
სიმღერაც ქვეყნად...
მაგრამ რა არის
იგი ძალა
ხელს რომ უწყობს
წვეთის მოწყვეტას...
ქვეყნად უდროოდ შობილ სიმღერებს
უდროოდვე ელით სიკვდილი...

ჯემალ დავლიანიძე

## მსოფლიო და მარადიული ბნელეთი

თურმე რუსეთში ცეცხლი მხოლოდ იმიტომაა, რომ პუტინია პრემიერ-მინისტრი!

სააკაშვილი კი, არა მხოლოდ ბორჯომში გაჩენილ ცეცხლს აქრობს, არამედ ცდილობს, რუსეთის ფედერაციასაც კი უშველოს!

ჰომოსექსუალიზმის ქადაგებით და გავრცელებით, უშვილო მსოფლიო სურთ მიიღონ! კაცთა შორის ქორწინება ხომ პირდაპირ მისწრებაა საამისოდ! რაც უფრო მეტი პედერასტი იქნება, რაც უფრო მეტი მამაკაცები იქორწინებენ, მსოფლიოში შობადობა აუცილებლად იკლებს!

აი სანუკვარი ოცნება დემონური ძალებისა!

ტელევიზიის პირველი არხის სამეურვეო საბჭოს შვიდივე წევრი, უკლებლივ — სააკაშვილის რჩეულნი არიან! 2009 წლის 18 დეკემბერს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა გამოკითხვაც კი ჩაატარა სექსუალური უმცირესობის შესახებ!

სხვათა შორის, გამოჰკითხეს შვიდივე წევრი! აინტერესებდათ მათი აზრი კაცის კაცზე ქორწინების შესახებ!

თან, დარდიანად აღნიშნეს — ეს საქმე, კაცის კაცზე ქორწინების საქმე, საქართველოში ძალიან ცუდად არისო!

სამეურვეო საბჭოს ორი წევრი, ვინმე შავერდაშვილი და ნინია კაკაბაძე (ორივე ქალები ბრძანდებიან!), ამ „საქმეს“ ძალიანაც დადებითად ეკიდებიან! ნინია კაკაბაძემ განაცხადა, რომ: „როცა ჩემი ბიჭი გაიზრდება, მისი საქმე, მისი გადასაწყვეტი იქნება კაცზე გათხოვდება თუ არაო“. შავერდაშვილმაც კვერი დაუკრა — „მე კაცების ქორწინებაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავო!“

მაშასადამე, ევროკავშირში აკრძალეს პირმანდილის, ჩადრის ტარება, სამაგიეროდ დაუშვეს და დააკანონეს უკანალის გასხვისება, პედერასტია, ბისექსუალიზმი, ჰომოსექსუალიზმი და ყველა სხვა სახის ავადმყოფური გარყვნილებანი!

ღმერთმა სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად შექმნა მამაკაცი და დედაკაცი!

სხეულის ის ნაწილები, რომელსაც „ცოლ-ქმარი“ მამრნი სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყენებენ, სულ სხვა დანიშნულებისაა!

მეტი რაღა გითხრათ, ბატონებო?

საქართველოში ორი ძირითადი ცხედარი, გარდაცვლილია ჩასვენებული ევროამერიკულ კუბოში — სოფლის მეურნეობა და მრეწველობა!

2009 წლის 26 ოქტომბერს, ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა უჩვენა ღრმად მოხუცებული ზბიგნევ ბჟეზინსკის ერთ-ერთი პრესკონფერენცია. მან მწვავედ გააკრიტიკა ევროპის ქვეყნები, რომლებიც რუსეთთან ლოიალობით გამოირჩევიან! უფრო მეტიც — მოუწოდა კიდეც — მკაცრი პოლიტიკისაკენ... ახსენა საქართველოც და განაცხადა: რუსული ტანკები თბილისიდან 30 კილომეტრში იდგნენ, ხომ შეიძლებოდა ხელისუფლებაც დაემხოთო. შემდგომ, საქართველოში მომხდარი მოვლენები შეადარა ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების შეჭრას და დაასკვნა — ახლა უკვე უკრაინის და ესტონეთის რიგი მოვიდაო!

ბატონ ბჟეზინსკის ამჟამად „გაუნათდა“ გონება, თორემ... მისმა თვალებმა დღეს მკაფიოდ დაინახა რუსული ტანკები თბილისთან, დაინახა უკრაინა-ესტონეთის ხვალინდელი დღე, მაგრამ... ადრე, ვერასგზით ვერ მოჰკრა თვალი თბილისში 1991-1992 წლებში მომხდარ სამხედრო გადატრიალებას!

აბა, ნახეთ, რა დღეშია მოხუცი სენატორი მაკ კეინი! ახალ პრეზიდენტს, ობამას პოლიტიკას უწუნებს და აშკარად ებრძვის!

მაკ კეინი სააკაშვილის სისხლი, ღვიძლი, ჯიგარი მეგობარია და მისი ჯილა კოჭია! ბნელეთში მათ შორის რა სახის გარიგებაა, ძნელი სათქმელია, მაგრამ... ამ მოხუცს, რომელიც თურმე ვიეტნამში იბრძოდა (სადაც იგი კიდეც დაუპატიმრებიათ!), საქართველოს ბედიბალი ფეხებზე ჰკიდია.

dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02-08

# mware gakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

### ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

თუმცა, საქართველო-მეთქი... საქართველო კი არა, მსოფლიოც რომ აფეთქდეს ერთ დღეს, იმაზეც არ იტყვის უარს! იგი ღვიძლი შვილია, შთამომავალია იმ გამჩანაგებლებისა, რომლებიც ადრე ამერიკის კონტინენტზე ცეცხლით და მახვილით გადავიდნენ! მაკ-კეინი, არაფრით არ განსხვავდება იმ გენერლისაგან, ვინც ამერიკის ჭეშმარიტ შვილებს, ინდიელებს საშინელი ავადმყოფობა — ყვავილი შეჰყარა და ეპიდემია ბაქტერიოლოგიური იარაღის მაგიერ გამოიყენა!

ათასობით ინდიელი ემსხვერპლა ყვავილს. რამდენიმე ტომი პირწმინდად ამოწყდა!

მაკ-კეინი, რომელიც ობამას „რბილ“, „მიმტევებელ“ პოლიტიკას აკრიტიკებს, პირდაპირი იდეოლოგი-უფროსია სააკაშვილისა, რომლის მეოხებით საქართველოს წმენდს ქართველებისაგან!

შეიძლება თუ არა, მსოფლიომ მოინდომოს და ერთი თაობა აღზარდოს ისე, როგორც ამას წმინდა წიგნები მოითხოვენ?

საქართველო სააკაშვილმა რუსეთის ფედერაციის გინების წყაროდ აქცია. უფრო მართალი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამას ევროამერიკელი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი ჰკარნახობს. მაკ-კეინის მსგავს ადამიანებს რა გამოლევს? თანაც, ეს კაცი ხომ სააკაშვილის მამა თუ არა, გამზრდელი მაინც არის!

პოლიტიკური მამა რომ ვუწოდოთ, რაიმე დაშავდება?

სააკაშვილი ხშირად ახსენებს შაჰ-აბასს და ამბობს, რომ რუსეთმა რა დღეც დაგვაყენა, შაჰ-აბასი მონაგონია!

ამჟამად, სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებაა შაჰ-აბასი!

სააკაშვილი არა მხოლოდ შაჰ-აბასია, არამედ ნიკიტა ხრუშჩოვის „შთამომავალიცაა“. ნიკიტამ, თავის დროზე, კახელებს ვენახის მაგიერ სიმინდის დათესვა და მოყვანა ურჩია!

სააკაშვილი აჩქარებული ტემპით ზრდის იმ ახალ თაობას, რომელიც მომავალში ბნელეთის მმართველებს უნდა გამოადგეთ!

ქართველების ყველაზე დიდი შეცდომა იყო ის, რომ შევარდნაძე-სააკაშვილმა შეძლეს ვეშიმშილებინეთ!

როცა გაგაღატაკებენ, ცირკში მოსათვინიერებელი მხეცივით დაგიწყებენ „წვრთნას“.

კაცი, როცა ცირკის ბილეთს იღებს, ფიქრობს მხოლოდ ერთადერთზე — ბავშვები, მეუღლე და ნათესავები დასვას სკამებზე, უყიდოს ნაყინი ან ნამცხვარი. მერე იხარხარებს, ტაშს შემოსცხებს! დააჯილდოვებს ჯამბაზებს, დათვებს, კატებს, ვეფხვებს, ცხენებს, ვირებს, სპილოებს, ლომებს და ა.შ.

მაყურებელს უხარია, რომ ცეცხლმოდებულ რგოლში მარჯვედ ხტება ცხოველი, ან ველოსიპედზეა ამხედრებული, მაგრამ არ აინტერესებს, რა ხერხებით, რა გზით, რა „განათლებით“ მიიღწევა ცხოველთა ამგვარი სიმარჯვე!

საქმე რაშია?

საქმე „რაში“ კი არ არის, არამედ წვრთნაშია!

წვრთნაში კი შიმშილია!

ცხოველებს სასტიკად აწამებენ, როცა წვრთნიან, რადგან ყოველივე მიიღწევა მათი დამშევით!

ბავშვთა სამწუხაროდ უნდა გითხრათ, რომ საწყალი ცხოველები, სანამ „გაგახარებენ“, უდიდეს განსაცდელში იმყოფებიან! ბევრი მათგანი კიდეც იღუპება!

სწორედ ეს ზოგიერთები არიან შეუპოვარი არსებები, რომლებსაც სიკვდილი ურჩევნიათ საცირკო მონობას!

ისინი შიმშილით იხოცებიან და ადამიანის მიერ თავს მოხვეულ დამცირებას არ ღებულობენ!

დასაკლავად გამზადებული ცხვარივით თოკმობმული ჩემი სამშობლო, სამსხვერპლო ბილიკზეა შემდგარი!

თავს გვახურავს მარადიული ბნელეთი.

რა არის ამ წუთში ჩემს მიერ ნახსენები „მარადიული ბნელეთი“?

ოო! ბატონებო!

ეს არის ჩემს მიერ ოთხმოცდაათიან წლებში დაწერილი, ერთი ვრცელი მოთხრობის სათაური და დაბეჭდილია ჯერ გაზეთ „ქართულ მახვილში“, შემდეგ კი ჟურნალ „ცისკარში“ (2001 წ. №5-6).

უფრო ადრე დამიწყია დარდი იმ სივაგლახეზე, რაც საქართველოს ნელ-ნელა დაგვატეხეს თავს!

ვნახოთ ამონარიდი „მარადიული ბნელეთიდან“:

„მე, ბატონები, ბელადების ეპოქაში დავიბადე! კიდეც ვცხოვრობ საბელადოში! სად ვიქნები დღეის ამას იქით, არ ვიცი!

მთელი ჩემი სიცოცხლე ბელადთა ორომტრიალში გავატარე. დღესაც ერთ ბელადს ამხობენ და ახალი ბელადი მოჰყავთ. ბელადს ხალხი შობს! ხალხი მუდამ ფეხმძიმედაა ბელადზე! ვინ არის შამქმნელი? მშობელია ხალხი! მაგრამ... ვინ არის მამა ბელადისა! ვინ ნერბავს ხალხს, რომელსაც ერთი დიდი ძუძუ ჰკიდია და დედობრივად ზრდის მომავალ ბელადს! შეხედე, სულ ქორფა, სულ ყმაწვილი ბელადუკა დგას, როგორც მსოფლიო ერექცია! იგი ყვირის, რომ დღე — დღეა! აღმოაჩინა და კიდეც დაამტკიცა: დღე ყოფილა დღე! ვაშა! აქამდე ეს ხომ არავის უთქვამს! მზე ცხელია! — ღრიალებს ბელადი! ვაშა! ესეც სიახლეა! ბალახი და ხეების ფოთლები მწვანეა! ვაშაა! თურმე, ხეები და ბალახი მწვანე ყოფილა, რადგან ბელადუკამ ბრძანა! აქამდე რატომ არავინ იცოდა? წყალი სველია! ვაშაა! წყალი სველი ყოფილა! დიახ — აქსიომური სიმართლე იბნევა ბელადუკას პირიდან!

ბელადი კმაყოფილია ერთ ინსტრუმენტ-ორგანოს ათამაშებს და ხითხითებს! გასცქერის ცხოვრების ხეს! ყოველივე გაზაფხულს ემთხვევა და ხალხს უჩნდება ილუზია — გაზაფხული არ მოვიდოდა, რომ არა ბელადი! მომავალი შემოდგომა, რომელიც თავისთავად, თვითონ, უფლის მეოხებით ზრდის და ამწიფებს ნაყოფს, უკვე ბელადის დამსახურებაა, ბელადის მიღწევაა! თვითონ ბელადია შემოდგომაც და... ხალხს სწამს, რომ გაზაფხულზე ბელადმა სიტყვათა მარაგი დათესა, რისი მოსავალიც შემოდგომაზე მოვიდა! ღმუის მასა! ღმუის ბრბო! ბღავის ხალხი! ბელადი კი უკიჟინებს: აი, მოვიწიე მოსავალი! სსსსიიიი! — სისინებს მასა და გესლავს სიპატიოსნეს, სიმარ-თლეს, კდემამოსილებას! ღრიანცელი მატულობს: ვინც ჩვენთან არ არის, იგი მტერია და მოსაკვეთი!

ყველა ბელადი, უსასრულოდ, ხალხის ნაღებიცაა და ნაგავიც...

ბელადი! ჯერ კიდევ გაზაფხულზე ჩასკუპდა მალულად კომშის ხის ძირში და მონოტონურად, ხალხის გასაგონად დაიწყო ძახილი: დამწიფდი! დამწიფდი! დამწიფდი! ამის გამგონე ბრბო ბღავის და ჰხავის! ჰკივის და წივის! დიახ! ამაყობენ და სჯერათ, რომ მხოლოდ მათი ბელადი დაამწიფებს კომშის ნაყოფს! ჯერ გააყვითლებს ძახილი მისი! მერე კი... სიმწიფეში შევა და — ღმუუუ! — ღმუის მასა! ზაფხულში რომ დაიძახა სულგაცისკროვნებულმა ბელადმა: შეხეთ, ნაყოფი გამოიბა! ბღაა! — დაიბღავლა ბრბომ! შემოდგომაზე კი ხიუუუ! აროხროხდა ხალხი! სსსიიიი! სისინებს ხალხი და არის უმაღლესი ტაში!..

ამ მარადიულ ბნელეთს ეშველება რამე?

გაუხარელი გავცქერი მშობლიური მთების ფერდობებს!

მიმტკიცდება აზრი მარადიული ბნელეთის მარადიული მარადისობის შესახებ...“

აი, ბატონებო, სულ ეს არის!

ჩემი დარდი საქართველოს ბედ-იღბალს დასტრიალებს და პრობლემა ჩემი იმდენივე ხნისაა, რამდენისაცაა ჩვენი და საერთოდ, კავკასიის მტერი!

მეტროში, დაბლა, მარადიულ სიბნელეში (მაგრამ განათებულში!) რამდენიმე ბეღურა მყავს ნანახი! როგორც ჩანს, მატარებელმა მიწის ზემოდან გვირაბში შემოსვლისას თან გამოიყოლა... ბეღურები თვიდან თვემდე, დღიდან-დღემდე მიმოფრენენ, მათ თავისუფლება მოენატრათ, მზეზე ამოსვლა მოუნდომებიათ, მაგრამ ქვესკნელიდან უკვე თითქმის შეუძლებელია თავის დახსნა!

ბეღურა და ჩემი მამული ერთმანეთისთვის შემიდარებია!

ზეცა, ზღვა, მთების სილაჟვარდე, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, ისევ ძველებურადაა, ჩიტისთვის კი ყველაფერი მომსპარია და აწყდება გულისფანცქალით, მაშველ ხელს ელოდება, მაგრამ...

ქართველებო, გიფიქრიათ და გიდარდნიათ ოდესმე ამგვარი „წვრილმანების“ გამო?

რომ მიმტკიცებთ — მხოლოდ რუსეთია ერთადერთი მტერი ჩვენიო, რა ვუყო, ტამბოველ ჩემს მეგობარს, სლავა ანდრეევს, მაშ ხმა აღარ გავცე? უიმისოდ ვიცხოვრო?

რამდენიმე ათეული წლის წინათ, დუშეთისკენ გავასეირნე ჩემი სტუმარი — სლავა ანდრეევი! აღმართი ავათავეთ და ჟინვალის წყალსაცავს გადავადექით... უკვე ის დროა, როცა წყალსაცავი ნელ-ნელა ივსება... ვხედავთ, როგორ თანდათან იფარება ჟინვალის შესანიშნავი ეკლესია! ვხედავთ, იხრჩობა, იძირება საყდარი... ღმერთო, ჩემო! — მწუხარედ ჩურჩულებს ჩემი რუსი მეგობარი სლავა ანდრეევი, ნუთუ ვეღარასოდეს დავინახავთ ამ სიმშვენიერეს? ნუთუ ვეღარ დავანთებთ სანთელს? ნუთუ აქ ვეღარასოდეს გადავიწერთ პირჯვარს და ვეღარ გავახმიანებთ მართლმადიდებლურ საგალობლებს?

წყალი კი ულმობლად, როგორც ოდითგანვე სჩვევია, უკვე გარსშემოადგა გუმბათს და რამდენიმე წუთში გაჰქრა ეკლესია!

„ღმერთო გვაპატიე“ — დაიძახა სლავამ, გადამეხვია და ცრემლები მხარზე დამაყარა!

და სააკაშვილმა, მისმა ხელისუფლებამ, მისმა მომხრეებმა, სლავა ანდრეევი და მისი სამშობლო სურთ შემაზიზღონ?

ვდარდობ უსასრულოდ, რომ მარადიული ბნელეთი დასწოლია არა მხოლოდ ჩვენს საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს!

ამ წიგნს უკვე მალე დავამთავრებ და კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ არა მხოლოდ სრულიად კავკასიის ხალხს, არა მხოლოდ სამეზობლოს, არამედ მთლიანად შუა აზიას, რუსეთის ფედერაციაში შემავალ თითოეულ რესპუბლიკას და მთელ მსოფლიოსაც (სადაც მეტ-ნაკლებად უკვე იწვნიეს კიდეც თავს დატეხილი მოურჩენელი ჭირი!) ყურადღებით გადაიკითხეთ თქვენი მონა-მორჩილის წინამდებარე წიგნი (რომელსაც „უბედურებათა გორგალიც“ შეიძლება ეწოდოს!) და დაფიქრდით!

გაჭირვებამ, საქართველოს საშინელმა, შავმა დღემ დამაწერინა თითქმის 800 ფურცელი, როგორც ერთგვარი გაფრთხილება — რაოდენ დიდი, მოურჩენელი, დამღუპველი, ავთვისებიანი სნეულება, იგივე — კიბო მოემართება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისკენ!

მეტი რაღა გითხრათ?

ასეთია ჩემი შეხედულება მსოფლიოს თავზე ჩამოწოლილ ბნელეთზე!

მარადიული ბნელეთი ხომ საერთოა... მაინც არ მტოვებს აზრი: იქნებ მსოფლიოს მოსახლეობამ მოვაწყოთ ერთი საბოლოო შეკრება და საერთო ძალისხმევით ძლიერად შევაჯანჯღაროთ ეშმაკის გზაზე მოსიარულე პოლიტიკოსები, რომლებიც უკვე საერთაშორისო ბანდად ყალიბდებიან!

მე, ერთი უბრალო ადამიანი ვარ, საკუთარ მამულზე უსაზღვროდ შეყვარებული!

უსასრულო, ღვთიურ ვენახში ერთ-ერთ ვაზს წარმოვადგენ.

არ მსურს უფლის ზვრის გადაშენება და მით უმეტეს, უნიკალური რომელიმე ჯიშის ამოძირკვა!

ვნატრობ, - როგორც ჩემი, ასევე სხვისი ჯიში არ ამოწყდეს და უფლისმიერ საერთო გვირგვინში ღაღანებდეს ენდემურ ყვავილად!

არ მსურს ამ ქვეყნად იზრდებოდეს მხოლოდ ერთი გვარის ხე! ერთი ჯიშის ყვავილი! ერთი ჯიშის ვაზი და... ერთი ჯიშის ადამიანი!

ღვთიური სიმშვენიერე ხომ ნაირგვარობაშია!

ამ წიგნის შესავალში, სამეზობლო ჭიშკარი ვახსენე!

დიახ, ასე გახლდათ:

ჩემს წინაპარს, ჩემს პაპას, კარ-მიდამოს გარშემო, ღობეებში იმდენი სამეზობლო ჭიშკარი ჰქონდა დატანებული, რამდენი მეზობელიც ჰყავდა!

ჩვენ, ბავშვები, ხანდახან ერთმანეთს ვეჩხუბებოდით, ერთმანეთს დავემდურებოდით, ერთმანეთს გავებუტებოდით... მოზრდილებიც წამოგვეშველებოდნენ... იმათაც მოუვიდოდათ დავიდარაბა, მაგრამ... არ შეიძლებოდა (ამას თითქმის კანონის ძალა გააჩნდა და იყო კიდეც დაუწერელი კანონი!) სამეზობლო ჭიშკრის ხელის ხლება და მისი აჭედვა-გაუქმება!

სამეზობლო ჭიშკარი არასოდეს არ ილურსმებოდა!

და, როგორც მისალმებისას გაწვდილი, გაშლილი ხელის მტევანი აღნიშნავს — შემომხედე, ნახე ჩემი ხელი, იარაღი არ მიჭირავს ხელში, სამტროდ არ გიახლოვდებიო, ასევე ოდითგანვე მოყოლებული, მამა-პაპური ჩვევა-ადათით ვიცოდით, რომ ადრე თუ გვიან, ადამიანები აუცილებლად შერიგდებიან და რაც მტრობას დაუნგრევია, იმას სიყვარული ისევ ააშენებს!

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი







## თავსატეხი

ჰორიზონტალური: ავოსი, ამიგო, ბერია, განგი, გალა, ელისი, კონია, ოქრო ტი, პერსი, სელინ, სიგუა, ტიტრი, ფუჟერ, ჩუქი, ციცქა, ძელი, ზარა.

ვერტიკალური: აზატი, ამიგო, ალეია, ბორდო, დრამა, გალლი, ინტერი, კლიში, ლეანი, მაგია, ნესტო, ოთიკი, პოლკა, რითმი, სამბო, ტვიში, ქორფა, ჩაიკა, წამლა, ჭარბი, ჯეკინ, პინდი.

## სამიდან ერთი

ჰორიზონტალური: 1. ყანილი, მურენა, ბეკარი. 2. პალაცო, ლიმილი, მედალი. 3. სახელი, ხელენი, ქიტინი. 4. წარბი, რიქშა, გონგი. 5. შაქალი, პოსტი, პორილი. 6. ქოთქოთა, კონტური, ტურისტი. 11. ფორმატი, გატრინა, სანტომი. 12. ოათარი, ნელიბი, ფასადი. 13. გალელი, სოშალი, ფულური. 14. ქლორი, შტაბი, ტრიდუ. 15. ხრაკი, მანტი, ქურქი. 16. ნისლი, ფირმა, ლიმფა. 17. ოთუოგი, ეკალი, ამალი.

ვერტიკალური: 3. კალატონი, კოლორატი, ქარამიტი. 7. კვანძი, ხურალი, კოარი. 8. ტექნიკური, კრეტინელი, სანდრეული. 9. კანიონი, მელანი, სოსომი. 10. წყვილი, პრილი, ნაკლი. 12. მეთანი, ფეტრონი, ლოლორია. 15. მეტანია, მარკსი, ნექტარინა. 18. საფრია, ჩუმბი, ტანეტი. 19. მეტრი, კამბი, ლეპიკი. 20. რქა, სპა, შეტი. 21. კაბაი, ოარსი, ლოლერა. 22. მინარეთი, კაპიტანი, მონადირე.

## შიფრვორდი

**რაც უნდა ხელოვნების დიდი მოყვარული იყოთ და ბევრი სპექტაკლი გქონდეთ ნანახი, მათ შორის მსგავსი არ იქნებოდა...**

**და თუ იყო, კიდევ ერთხელ გაოცდით - ყოველ კვირა დღეს კლუბ „დივანში" ექვსი შესანიშნავი მსახიობის მონაწილეობით რეჟისორ ნინო ბასილიას მიერ განხორციელებული წარმოდგენით „წელს ზევით შენი არ ვარ" - კინოპროექცია ვიდეარტით.**

ნინო ბასილიას საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც მწერალს, ბევრი მეტად საინტერესო,




# ეს წარმოდგენა თავს დაგაკარგვინებთ!

ორიგინალური წიგნის ავტორს, პუბლიცისტს, ჟურნლისტს, საქართველოში ერთ-ერთი პრესტიჟული ჟურნალ „იმიჯის" რედაქტორს. ნინო რეჟისორის რთულ პროფესიას დაეუფლა და ამჟამად საყვარელ საქმეს აკეთებს.

ჟურნალისტები წარმოდგენის დაწყებამდე შევედით:

მომცრო სცენაზე 6 ახალგაზრდა ქალია ამჟამად „შაჰიდის" ტრადიციულ სამოსად შერაცხულ შავ ჩადრებში, სადაც ულამაზეს სახეს და სხეულს მალავენ. ყოველი მათგანის წინ ვიღაც ზის, რომელსაც ყურში რაღაცას ეჩურჩულებიან, როგორც კი გათავისუფლდებიან, ხელში იღებენ წარწერას: „თავისუფალი ვარ", მსმენელები გულისყურით უსმენენ.

რეჟისორმა წინასწარ ორიოდე სიტყვა მითხრა: „მსგავსი ნანახი არ გექნება" და „ისტორიების მოსმენა შეგიძლია"... ეს მართლაც ასე იყო...

შაჰიდი ქალის მოსასმენად რომ ავედი, წამით სადღაც შორს „გადავიკარგე", არა, ეს ავღანეთი კი არა, რაღაც მისტიური სამყარო იყო — აზიური სურნელით — საქართველოსა და დანარჩენ სამყაროს შორის... აღმოსავლელი ქალი ისეთი გრძნობით და ემოციით მიყვება.

„სპექტაკლი სპექტაკლში", „სპექტაკლი პერფორმანსი" უწოდა პრესამ ნინო ბასილიას მიერ ხორცშესხმულ ოსნე საიეშტადის „ქაბულელი წიგნებით მოვაჭრედან" აღებულ „წელს ზემოთ შენი ვარს" და სრულიად ორიგინალურად გადაწყვიტა ავღანელი და სხვა მუსულმანი ქალების ამჟამინდელი ცხოვრების ნამდვილი ისტორიები, რომელზეც ჩვენ ძალიან მწირი წარმოდგენა გვაქვს, არა და... კარგად ჩანს, როგორ ცხოვრობენ ქალები ყოველგვარი პირადულის, ქალური ბედნიერების გარეშე.

როგორი რთული ცხოვრებაც უნდა გქონდეთ, საბოლოოდ მაინც შეგიპყრობთ განცდა: „მადლობა ღმერთს, რომ ქართველად გავჩნდი და საქართველოში". ამაში დაგეხმარებიან მაკა შალიკაშვილი, ლელა მეტრეველი, ნინი არჩაია, ანი იმნაძე, ნინო ახობაძე, თინათინ ცისკარაძე, თორნიკე ქარჩხაძე...

რეჟისურის, მსახიობების უზადო შესრულების გარდა კოსტუმების მხატვრობა და ჩაცმულობის დიზაინიც მოგხიბლავთ, ამაზე ნანა მელქაძის მოდის სახლს უზრუნია, ქორეოგრაფიაში ნინო ახობაძეს, ხმის რეჟისურაზე დავით თოიძეს.

ნახეთ სპექტაკლი და დარწმუნდით, რომ უარესი ცხოვრებაც არსებობს, ამიტომ დატკბით იმით, როგორიც არის!

**ქეთევან ჩემია**




## xalxis azriT

ისე გაიმარჯვა დღეს მიშამ, როგორც რუსეთთან ომში! თქვენ რა, ვერ ხვდებით? რაც უფრო მძიმე მარცხს განიცდიან, მით უფრო კივიან ისტერიულად თავის გამარჯვებაზე. და დასავლეთმაც ნახა, ვინ მიდის დათმობაზე და ვინ უფრო ფიქრობს ქვეყანაზე. არ გახსოვთ გერმანელი ნაცისტების თეზა, რომელსაც ჩვენი ნაცები ერთგულად მისდევენ? “არასდროს აღიაროთ მარცხი”. კარგია, იხავლონ, იხავლონ, რაც უფრო მაგრად ხავიან, მით უფრო უტყუარი დასტურია იმისა, რომ ეს მცირეკალიბრიანი ჭინკები საშინლად, კატასტროფულად დამარცხდნენ :)

დღეს ნაციონალური მოძრაობა კიდევ ერთხელ დამარცხდა „ქართულ ოცნებასთან" მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი წესებით ითამაშეს. ნაციონალურმა მოძრაობამ, თავისი უგუნური საქციელით, კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი უსუსურობა და წინხედვის უნარის აბსოლუტური უქონლობა. დღეს როდესაც საქმე ეხებოდა კონსტიტუციურ ცვლილებებს აშკარად გამოჩნდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის" მთავარი მიზანი იყო საკუთარი მხარდამჭერების თვალში ერთიანობის ილუზიის შენარჩუნება, რათა ისევ იტივტივონ მათ გულებში, როგორც ანგარიშგასაწევმა ძალამ.

სარეიტინგო კენჭისყრა ძველარქაული გამოთქმაა და ქართულად — შავი და თეთრი ტრ... აბანოში გამოჩნდებას ნიშნავს.

რამაზ საყვარელიძემ თქვა ყველაზე ნაღდი — საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულმა მოვლენებმა ნაციონალები ბანდიდან ნამდვილ ოპოზიციად ჩამოაყალიბაო.... ოცნებასთან მაქვს „აძინ მალინკი ვაპროს". — რატო აპრავებთ ამ მართლა ბანდას? რატო უსრულებთ ყველა ახირებას და რატო უქინდრავთ თავებს ფეხების ბაკუნზე?

ესე იგი, მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ზოგიერთებისთვის დაჩმორებული ნაციონალის ხილვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური თუ სახელმწიფოებრივი საკითხის გადაწყვეტა. საკმარისია, მიშა გამოვიდეს და ყინჩად და აგრესიულად ილაპარაკოს, თუნდაც იგავმიუწვდომელი სისულელეები, ეგრევე პანიკა ეწყებათ. აბა, სხვანაირად რა ლოგიკით შეიძლება ადამიანი დაიბოლმოს იმაზე, რომ პრეზიდენტს ჩამოერთვა პარლამენტის უკითხავად საკუთარი მთავრობის დანიშვნის უფლება? მაინცა და მაინც მუხლებაკანკალებული აკო მინაშვილი უნდა ეხილათ ან თმაგაშლილი და მგლოვიარე ჩიორა?

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- რა არის ირიბი ჩვენება და დასაშვებია თუ არა სასამართლოში ირიბი ჩვენების გაზიარება?**

-დასაშვებია. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76- მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვიტ, ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ ინფორმაციის წყაროს მითითებით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დადასტურდება სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

* * *

**- სისხლის სამართლის ხაზით, რა შედის საპროცესო ხარჯებში?**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 90- მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საპროცესო ხარჯებია:

ა/ ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი;

ბ/ექსპერტის გამოხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;



გ/თარჯიმნის გამოცხადებისა და მისი საქმიანობის ანაზღაურების ხარჯი;

დ/მოწმის გამოცხადების ხარჯი;

ე/ ნივთიერი მტკიცებულების შენახვისა და გადაგზავნის ხარჯი;

ვ/ბრალდებულის ან მისი ადვოკატის შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების საგამოძიებო მოქმედების ცატარების ხარჯი;

ზ/ დაცვის მხარისათვის ბრალდების მხარის მიერ გადაცემული ინფორმაციის ასლის გადაღების ხარჯი;

თ/ ნაფიც მსაჯულთა გამოცხადებისა და სასამართლო განხილვაში მონაწილეობის ხარჯი;

ი/მტკიცებულებათა მოპოვების ხარჯი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ექსპერტს ან თარჯიმანს ანაზღაურება არ ეძლევა, თუ საქმიანობისათვის სახელმწიფოს მიერ დანიშნული აქვს ხელფასი.

* * *

**-არასრულწლოვნობის პერიოდში ჩავიდინე ქურდობა. შეფარდებული მქონდა პირობითი მსჯავრი, რომელიც უკვე მოვიხადე. როდის გამიქარწყლდება ნასამართლობა?**

-თქვენ ნასამართლობა უკვე გაქარწყლებული გაქვთ.

საქართველოს სსკ-ის მე-100 მუხლის მიხედვით, იმას ვინც დანაშაული თვრამეტ წლამდე ჩაიდინა, ნასამართლობა გაუქარწყლდება პირობითი მსჯავრდებისას - გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ.

* * *

**- ჩემს ახლობელს ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენისათვის სასამართლოს მიერ დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. აქედან, 2 წელი- რეალური სასჯელი, ხოლო 7 წელი-პირობითი მსჯავრი. გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 8 წელი. რამდენად კანონიერია ეს?**

-ზოგადად, შეკითხვის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერია. ამ შეკითხვის დასმა, ალბათ, განაპირობა 8 წლიანი გამოსაცდელი ვადის საკითხმა. ამ შემთხვევაშიც სასამართლოს გადაწყვეტილება გახლავთ კანონიერი.

აღნიშნულ საკითხს არეგულირებს საქართველოს სსკ-ის 64-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას -პირობით მსჯავრზე ერთი წლით მეტი. დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს პირობით მსჯავრზე ერთი წლით მეტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, თქვენს ახლობელს სასამართლოს მიერ შეეფარდა პირობითი მსჯავრი 7 წლის ვადით, მისთვის გამოსაცდელი 8-წლიანი ვადის დანიშვნა აბსოლუტურად კანონშესაბამისია.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# ახლადდაბადებული „ნაციკოს“ სუროგატი დედა — საპარლამენტო უმრავლესობა, მამა — საერთაშორისო თანამეგობრობა

— ახალი ნაციონალური მოძრაობა დაიბადაო, — ისე გვახარა ამასწინათ სააკაშვილმა, თითქოს ეს ნორჩი არსება პირადად მას ეშობოს.

პირადად მას კი არა, ორი თვეა „მელოგინეს“ 90-მდე „ბებიაქალი“ დასტრიალებდა თავს და მაინც არაფერი ეშველა, სანამ მთავარმა მეან-გინეკოლოგმა ბატონმა დავითმა საკეისრო ოპერაცია არ გაუკეთა პაციენტს და ისე არ მოავლინა სამზეოზე პატალა ნაციკო, რომელმაც დაბადებისთანავე ჭყლოპინით და ჭყივილით აგვიკლო — ნახეთ, რა მაგარი ვინმე დავიბადე, ნახეთ, რა დევგმირი ვარ, ნახეთ, საკონსტიტუციო ცვლილებებს როგორ უშიშრად მივეცი ხმაო.

იმდენად უტიფარი და თავხედი ვინმე ჩანს ეს პატარა ნაცუკელა, ზოგიერთები ამბობენ, სჯობდა, საერთოდ არ დაბადებულიყო, მაგრამ, აწი, რა დროსია თითზე კბენანი — უკან ხომ არ შევაბრუნებთ იქ, საიდანაც გამოვიდაო.

სამშობიარო სახლში, რომელსაც პარლა-




მენტი ჰქვია, დიდი ფაციფუცია — ამას ოთხი წელი რა გაუძლებს? იქნებ ძნელად აღსაზრდელთა სახლში გავგზავნოთ, ან ვინმეს მივაშვილოთ, თორემ ისეთი მონსტრი ჩანს, შეიძლება, შეგვჭამოსო.

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ჩვილი ხელოვნური განაყოფიერების გზით გაჩნდა. სუროგატი დედა — საპარლამენტო უმრავლესობა, მამა — საერთაშორისო თანამეგობრობა.

პატარა ნაციკოს ორი ნათლია ჰყავს — ერთი აშშ-ს ელჩი ნორლანდი, მეორე კი ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე მარტენსი.

წინ მძიმე და დაძაბული ოთხი წელი გველის — ნაციკო წამოიჩიტება, ღონეს მოიკრებს და მერე შეიძლება, ისეთი რამეები ჩაიდინოს, მთელი ქვეყანა თავ-ბედს იწყევლიდეს — ამას დაბადების საშუალება როგორ მივეცით, ერთი აბორტი რა გახდა, ამ დავიდარაბას ხომ გადავრჩებოდითო?

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

## ბებომ ტყუპები გააჩინა

ბრაზილიაში 61 წლის ქალბატონი ტყუპი ახალშობილების დედა გახდა. ის წლების განმავლობაში ცდილობდა დაორსულებას. 10 წლის წინ კი მან თავისი კვერცხუჯრედები სამედიცინო ბანკში ჩააბარა. რამდე-



ნიმე თვის წინ დაიბადა ჯანმრთელი გოგონა და ვაჟი. დედა და ახალშობილები თავს კარგად გრძნობენ. ასაკოვანი მამა კი ფიქრობს როგორ აღზარდოს და უზრუნველყოს პატარები.

## ყავა კიბოს განვითარებას აფერხებს

კვლევებმა აჩვენა, რომ ყავის რეგულარული მიღება სპორტთან ერთად კანის კიბოს გაჩენის რისკს ამცირებს. ცდები თაგვებზე ჩატარდა. დოქტორი იაო აინგ ლუ, რომელიც ნიუ-ჯერსის ფარმაკოლოგიის სკოლის ხელმძღვანელია, აცხადებს: „ვვარაუდობთ, რომ ამ მეთოდს ადამიანებზეც გამოვიყენებთ, კერძოდ კი იმ პაციენტებზე, რომელთაც კანის კიბოს სიმსივნური გამოხატულებები აღენიშნებათ“.



ექსპერიმენტისას თაგვების ორგანიზმში ყავის მოხვედრის შემდეგ მათ სვამდნენ ბორბალზე, კოფეინმა და შემდეგ ფიზიკურმა დატვირთვამ პოზიტიური შედეგი გამოიღო. თაგვებს, რომელთაც დაალევინეს ყავა, სიმსივნის 27 პროცენტი გაუქრა, 61 პროცენტს კი სიმსივნის მოცულობა შეუმცირდა.

## ბერმუდის სამკუთხედის გამოცანა ამოხსნილია

ბერმუდის სამკუთხედის გამოცანა, თუ როგორ „ყლაპარავდა“, ის მასში მოხვედრილ გემებს, საუკუნეებია აწუხებს კაცობრიობას. ავსტრალიელმა მეცნიერებმა შეძლეს გამოეცნოთ ეს საიდუმლოება.

მელბურნის უნივერსიტეტის პროფესორები ჯოზეფ მორგანი და მისი თანაშემწე დევიდ მეი ირწმუნებიან, რომ ხომალდების და თვითმფრინავების საიდუმლოებით მოცულ გაუჩინარებას ლოგიკური ახსნა აქვს. მათი შეხედულებით, ამის მიზეზია მეთანის გაზი, რომელიც „ჩამონტაჟებულია“, როგორც უძველესი ღუმელი ამ რეგიონში ოკეანის სიღრმეში.



მეცნიერების თეორიით, გაზი, რომელიც ამოდის ოკეანის სიღრმიდან ქმნის გიგანტურ ძაბრს, რომელიც იწევს მაღლა-მაღლა და ნთქავს ყველაფერს, რაც შეხვდება გზად ჰაერში გაფანტვამდე. ამ ნაკადში ხვდება შედარებით დაბლა მფრინავი საჰაერო ხომალდებიც.

დასაწყისში მკვლევარებმა შექმნეს კომპიუტერული მოდელი, რომლის საშუალებითაც ცხადი ხდებოდა, თუ როგორ ისრუტავდა გაზის ძაბრი იქ მოხვედრილ საგნებს და როგორ მიაქანებდა ფსკერისკენ.

მეცნიერებმა ისიც გამოიცნეს, თუ რატომ იყო ჩაძირულ ხომალდებზე ადამიანთა გვამები, მათი თეორიით, ისინი მეთანის მომწამვლელი გაზისგან გაიგუდნენ...

მსოფლიოს მეცნიერული საზოგადოება ჯერ არ აღიარებს ამ აღმოჩენას, თუმცა ბევრი თანხმდება, რომ, შეიძლება, ყველაფრის მიზეზი, მართლაც მეთანის გაზი იყოს.

## გახსნილია ქალთა მომხიბვლელობის საიდუმლო

ადამიანებს არავითარი ფორმულა არ სჭირდებათ. მათთვის საკმარისია ერთი შემოხედვა და დასკვნა დადებულია — ლამაზია თუ არა?!

მეცნიერი-ანთროპოლოგებისთვის საინტერესოა, თუ რატომ ხდება ასე? რა მოსდის თავის ტვინს, ასე უცებ რომ იხიბლება?

დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ მამრები თავიანთ განსაკუთრებულობას უმტკიცებენ მდედრებს, რომ ხაზი გაუსვან საკუთარ საუკეთესო გენებს და დაამტკიცონ, რომ შეუძლიათ კარგი შთამომავლები იყოლიონ. ამ შემთხვევაში სიტყვები ითვლება ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად პარტნიორის მოზიდვის საქმეში. მამაკაცებიც და ქალებიც აღიარებენ, რომ სასურველ პარტნიორში ყველაზე მეტად ინტელექტს აფასებენ, მაგრამ ერთი შეხედვით შექმნილი ეფექტი მაინც სულ სხვაა.

## რუმინეთში ყველაზე ახალგაზრდა ბებია ცხოვრობს

23 წლის ბოშა რიფკა სტანესკუ ბებია გახდა. რიფკამ თავისი ქალიშვილი მარია 13 წლისამ გააჩინა, მარია ახლა 11 წლისაა და იმის მაგივრად, რომ სკოლაში დადიოდეს დედას საჩუქარი გაუკეთა, შვილიშვილი აჩუქა. 11 წლის მარიას მეუღლე 12 წლის ბიჭია.



საინტერესოა, რომ ადრიანი დედობა ნორმალურ მოვლენად მიაჩნიათ ბოშებში, რომლებიც ტრადიციულად, როგორც ამბობენ, თავს არ იკლავენ დედობრივი მოვალეობებით.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**